ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ქართველობის გადასარჩენად

# ილორი

www.ilori.ge

№115 (176) 19-26 აპრილი 2011 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

# ქრისტე აღსდგა!

## სახალხო მოძრაობა “სამეგრელო” და გაზეთი “ილორი” გილოცავენ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!



ბატონო ოპოზიციონერებო, ხალხს ერთი საფიქრალი გვაქვს, კისრიდან როგორ მოვიშოროთ ეს ურჯულო მკბენარები, ხელისუფლებად რომ მოიხსენიებენ საქართველოში! ახლა კი თქვენ გაგვიხდით თავსატეხი! ჩვენ უსაქმოდ და ულუკმაპუროდ დარჩენილი უბრალო მშრომელი ადამიანები, ამასთან, არაოპოზიციონერი ინტელიგენცია და სხვებიც, ძალიან კარგად ვართ გაცნობიერებული ამ მთავრობის საიდუმლო წიაღსვლებში, მის პოლიტიკასა და მტრულ ქმედებებში.

მე პოლიტიკოსი არა ვარ, მაგრამ კარგად ვხედავ რაც ხდება, ძალიან კარგად! სხვათა შორის იმასაც ვამჩნევ, რა უნდა ამ ხელისუფლებას და მის მეთაურს, ისიც ვიცი, რომ ესენი უნდა მოცილდნენ აქაურობას. ჩვენ ამათი არ გვეშინია, იცით რატომ? ჩვენ სიკვდილისაც არ გვეშინია – ჩვენ მონები ვართ დღეს და მონას არაფერი აქვს დასაკარგი, ბორკილის გარდა. ეს ხელისუფლებას ეშინია, რადგან კარგავს დიდ სიამოვნებას, არამად მოხვეჭილ მილიონებს და უკანონოდ მითვისებულ ქონებას. ამას წინააღმდეგობა ჭეშმარიტმა ოპოზიციამ უნდა გაუწიოს! სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ოპოზიციონერი არ შეიძლება იყოს თქვენნაირი ხალხი. დამისახელეთ თუნდაც დღევანდელი ერთი ოპოზიციონერი, რომელიც სააკაშვილმა არ წამოაგო თავის ანკესზე.

პოლიტიკაში ოპოზიცია მოვიდა გაძვალტყავებული, დაიწყო ლაქლაქი, დღეს კი დადიან გამოპრანჭულები, მანქანები, ბინები, ფული – თავსაყრელად აქვთ ამ მთავრობის ხელდასმით და მხოლოდ ყასიდად ებრძვიან “ნაციონალებს”. თქვენ გგონიათ შეუმჩნევლები ხართ უღირს საქციელში, მაგრამ ხალხი ყველაფერს ხედავს.

დღეს საპარლამენტო ოპოზიცია, პარლამენტის ტრიბუნიდან იმოძღვრება, მაგრამ როგორ შეიძლება დავუჯეროთ მათ?

ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას, რომელიც ეროვნულ ხელისუფლებას განუდგა (კარგი იყო ის თუ ცუდი დრომ დაამტკიცა) და საქართველოში შევარდნაძის ჩამოთესლებას ტაში დაუკრა, არავინ დაუდგება გვერდში! რა თქმა უნდა, გარდა ძმები ბერძენიშვილებისა და მათი კონსერვატორების.

ქრისტიან-დემოკრატებსაც ქულების დაწერა სურთ და მინისტრების მოხსნის წინადადება წამოუყენეს! რას ერჩით, ბიძია, მაგ საწყლებს, ვინ კითხავს სასჯელ-აღსრულების მინისტრს ციხეში რა უნდა გააკეთოს – ვინ მოკლას, როგორ გააფორმოს! ეს ხომ წინასწარ განსაზღვრული და დაგეგმილია იმ კაცის მიერ, რომელსაც ქართველი ერის გენოციდი აქვს დავალებული...

კობა სუბელიანიც ამ არაქართული ხელისუფლების ხუშტურების ისეთივე ბრმა შემსრულებელია, როგორიც სხვები. მას ეუბნებიან: შეშას აგერ თბილისიდან წაიღებთ, უგულავა რომ ქალაქში ჭადრებს მოჭრის, იმას დაურიგებს ლტოლვილებს, ფულს კი აქ მოგვიტან და ჩაგვაბარებო. სოფლის მეურნეობის მინისტრს მოხსნა რად უნდა, ის უბრალოდ მოლაყბედ ყავთ დაბმული ამ თანამდებობაზე. მიცემენ ფულს და ეტყვიან: 2000 ლარი გადაუხადე გლეხს ვენახის აჩეხვაში და თუ კარგად შეასრულებ ამ საქმეს, პრემიებსაც გამოგიწერთო. თქვენ კი ყვირით – მოხსენითო. რატომ არ ფიქრობთ, რომ მერე იმაზე უარეს შტერს დანიშნავენ?! თქვენ იტყვით, აი, მინისტრები მოვხსენითო; მიშა კი კვდება სიცილით (ხომ იცით როგორი ხითხითი იცის).

მოკლედ, ხელისუფლება თავისას მიერეკება, თქვენ კი თქვენსას მიერეკებით და ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ სადღაც, ამერიკაში, ერთი კაცის მიერ დაწერილი სცენარის მიხედვით მოქმედებთ პოზიციაცა და ოპოზიციაც!

აი, რა არის თქვენი დღევანდელი პოლიტიკური დატვირთვა!

თქვენ კი ამტკიცებთ, ოპოზიციონერები ვართო!

დაიწყეთ ოპოზიციონერობა მშიერ-მწყურვალებმა, დღეს კი გამოდიხართ ყაენებივით თავდაჯერებულები, შეიძინეთ მანქანები, არ იკლებთ საზღვარგარეთ მოგზაურობებს, ფირმებიც შეგიქმნეს... ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, მაგრამ ჩვენს ხარჯზე?

დაგვანებეთ ბიძია თავი, ჩვენ თავად მივხედავთ ჩვენს გასაჭირს!.

ჩვენ გვჭირდება ჭეშმარიტი მამულიშ-ვილებისაგან დარაზმული, ქართლის ჭირთან მებრძოლი ოპოზიცია და არა ქარაქუცები, რომლებიც უკანონობასთან ბრძოლის ფარსის დიდოსტატებად იქცნენ.

ნუ გეწყინებათ, თუ პირდაპირ გეტყვით: ძალიან დიდი იმედი გვქონდა ლეიბორისტების, ბატონ შალვასი, მაგრამ შენც, ის აღარა ხარ რაც იყავ, ბატონო შალვა!

ჩვენც კარგად ვიცით, რომ “ნაციონალები” და მათი ლიდერი გულ-მუცელს უხრავენ საქართველოს, ვიცით რომ ხელისუფლება სავსეა გამყიდველებით, ვიცით, რომ მათი ძირითადი მიზანი ქართველი ხალხის გენოციდია. რასაც ახორციელებენ კიდეც სახელმწიფოში ფრიად საეჭვო სულიერი და მატერიალური ფასეულობების მანევრირების გზით!

ნუთუ ვერ ხედავთ, რომ ძალიან გვიჭირს და საზოგადოება სულს ღაფავს?

ამ სენის წინააღმდეგ მედგარი ბრძოლაა საჭირო, თქვენ კი განმარტებითი სამუშაოების იქით აღარ მიდიხართ, დღედაღამ გვიხსნით – ვინ როგორია, რას აკეთებენ, რას ჭამენ, რას იშენებენ და ასე შემდეგ და ასე შემდეგ! ჩვენ კი გვინდა როგორმე პირიდან გამოვაცალოთ მათ ეს არამი ლუკმა ,მაგრამ თქვენი გადამკიდეები ბრძოლის გზას ვერ ვხედავთ!

ვერც ის გამიგია, ჩვენი ოპოზიცია რატომ უცხადებს ნაციონალებს სეზონურ ბრძოლას და რატომ გადააქვს აქცენტი საპროტესტო აქციების გაზაფხულზე მოწყობაზე. რამდენადაც ვიცი, სეზონურ ბრძოლას სოფლის მეურნეობაში სარეველებისა და იმ მღრღნელების წინააღმდეგ აჩაღებენ, რომლებიც ყველაფერს იპარავენ და საკუთარ სოროებში ეზიდებიან. ამ თვისებებით ნაციონალები შეიძლება ჰგვანან კიდეც სარეველებსა და მღრღნელებს, მაგრამ მათ სეზონურად კი არა, გამუდმებით უნდა ვებრძოლოთ. თქვენ კი კალენდარულ გამოდარებას ელოდებით, რაც სრულიადაც არ ნიშნავს პოლიტიკურ გამოდარებას!

თქვენ კი ისვენებთ „ძალების მოსაკრებად“, მაგრამ ახლა ჩვენ გვკითხეთ: შიმშილისაგან ხერხემალზე კუჭმიმხმრებს გვაქვს კი დასვენების განწყობა?

ახლა, რაც შეეხება ახლად ჩამო-ყალიბებულ პარტია “საქართველოს”!

ჩვენ ამ პარტიაში ვხედავთ მხოლოდ ერთ პატიოსან ადამიანს – ქალბატონ ნონა გაფრინდაშვილს... დანარჩენებმა სასიკეთოდ დასახსომებელი ვერაფერი გააკეთეს!

ქალბატონ ნონას იმედი გვაქვს, მისგან მეტს მოველით! საჭიროა მოუსმინოთ უბრალო ხალხს, იმ ადამიანებს, რომელთაც კარგად იციან თუ რით სუნთქავს გაჭირვებული სოფლელი ადამიანი, რა არის საჭირო მათ გამოსაფხიზლებლად.

აღარაფერს ვამბობ გაჩეჩილაძესა და სხვა ანგაჟირებულ პოლიტიკოსებზე, რომლებიც გამოაშკარავდნენ ხელისუფ-ლებასთან ვაჭრობასა და სამარცხვინო გარიგებებში!

აუცილებელია ეროვნული წინააღ-მდეგობის ცენტრები დაფუძნდეს რაიონებში. ჯერჯერობით თავს ვიკავებ სხვა ოპოზიციურ პარტიათა შეფასებებზე, მაგრამ როცა დრო დადგება, მათაც ვეტყვით რამდენიმე “ტკბილ” სიტყვას.

ამიტომ, მივმართავ სრულიად საქარ-თველოს მოსახლეობას: საჭიროა შეიქმნას თვისობრივად და ხარისხობრივად ახალი პოლიტიკური ძალა, რომელშიც გაერთიანდებიან უმწიკვლო რეპუტაციის მქონე ის ადამიანები, რომლებიც არ არიან შენიშნული ბინძურ სახელისუფლებო გარიგებებში.

სხვაგვარად, სასურველის მიღწევა, შეუძლებელი იქნება!

ამიტომ, საჭიროა ვიმოქმედოთ!

მანამდე კი, თქვენ და სრულიად საქართველოს გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

პენსიონერთა სახელით
პაპა იოსები

## იოსება პაპას უმორჩილესი სააღდგომო მიმართვა ქართულ ოპოზიციას!

---

სერგეი კრემლიოვი
ბერია – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი
4 თარგმანი როლანდ ჯალაღანიასი

გური ოტობაია 11
“შუროჭუმუ”

5 დაგვიანებული პასუხი ბატონ გულბათ ტორაძეს

ვის ალიზიანებს ჯვრები და ხატები სკოლებში?
2

8 როგორ გასხვისდა აფხაზეთი

ახალი „არგო“ ახალ კოლხიდაში 2

ილორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი "არგო" ახალ კოლხიდაში

***პრესის გაყვითლებული ფურცლები***

**ტიმ სევერინი:**
***"მჯერა ლეგენდარული "ოქროს საწმისის" რეალობისა"***

მეოცე საუკუნის ოთხმოციან წლებში (ეს წერილიც მაშინ დაიბეჭდა – **"ილორი"**) შავი ზღვის ჩვენი ქვეყნის ტერიტორიულ წყლებში, აჭარის დედაქალაქ ბათუმს მოუახლოვდა ისტორიული სახელწოდების მქონე გემი – **"არგო"**. განიერი იალქანი, რომელზეც ფარითა და შუბებით აღჭურვილი ელინი მეომრები იყვნენ გამოსახული, ზურგის ქარს დასკდომამდე გაებერა და წარსულის რეალიებიდან ამოზრდილი გემი სწრაფად უახლოვდებოდა ჩვენს ნაპირს.

ეს ხდებოდა 33 საუკუნის შემდეგ, იმ დღიდან, როცა კოლხეთის ნაპირს ლეგენდარული არგონავტების გემი **"არგო"** მიადგა და **"ოქროს საწმისი"** გაიტაცა კოლხეთის მეფის ასულ მედეასთან ერთად. **"არგოს"** მეორედ შემოსვლის დღე ღრუბლიანი და ქარიანი იყო, შავ ზღვაზე ოთხბალიანი შტორმი დააქანებდა სახლის სიმაღლე ტალღებს. სტუმრების **"არგოს"** თითქმის შუა ზღვაში შეეგება მასპინძლების გემი **"ამხანაგი"** და რამდენიმე საკრეისერო იახტა.

პირველად თავგადასავლებისმაძიებელ ინგლისელ მოგზაურებთან მივიდა ქართული იახტა **"კოლხიდა"**. მისი გემბანიდან ღრუბლებით მოხავერდებულ ცისკიდურს შეასკდა მისასალმებელი ფეიერვერკების მთელი წყება, მათმა ფერებმა და **„ვაშას"** ამოგრიალებამ დაძაბულ გარემოს თითქოს სახე უცვალა.

– ფანტასტიკურია! – აღტაცებით წამოიძახა **"არგოს"** კაპიტანმა ტიმ სევერინმა, როცა შეიტყო, რომ მთელი ეს არმადა მის დასახვედრად იყო მოსული, რომლის მიზანს მითის სინამდვილედ დადასტურება წარმოდგენდა.

შავგვრემანი, ცისფერთვალება და წვერებიანი, მხეზე მაგრად გარუჯული საშუალო სიმაღლის მამაკაცი ნამდვილად მოგვაგონებდა **"შკიპერს"**, როგორც ტიმ სევერინს მშობლიურ ირლანდიაში უწოდებენ. იგი ხალისიანი ღიმილით პასუხობდა საქართველოს ტელერადიოს ჟურნალისტის თენგიზ სულხანიშვილის შეკითხვებს, რომელიც ერთ-ერთი პირველი ავიდა **"არგოს"** გემბანზე.

– ჩვენი ექსპედიციის მთავარი მიზანია მითიური **"არგოს"** გზის გამეორება. მოხარული ვარ, რომ ლეგენდაში მოყვანილი ყოველი ფაქტი დღემდე დასტურდება! არის ბევრი რამ საქართველოს თაობაზე, რაც მე მსურს დავაზუსტო. ჩემთვის უაღრესად მნიშვნელოვანია ქართველ მეცნიერებთან შეხვედრა, რაც საშუალებას მომცემს საბოლოოდ დავადგინო, რომ ძველბერძნების კოლხეთში მოგზაურობა არის რეალური ფაქტი და არა ლირიული წიაღსვლა. ვიმედოვნებ, რომ ქართველ მეცნიერებთან შეხვედრის შემდეგ ეს ჰიპოტეზა მთლიანად დადასტურდება.

ვიდრე ეს ინტერვიუ მიმდინარეობდა, ჩვენს იახტა **"ამხანაგზე"**, დამხვედრი ხალხი ნაპირზე მოუთმენლობისაგან ღელავდა. მათ შორის, ვისთვისაც დრო სასწაულად გაიჭიმა, იმყოფებოდა ცნობილი ქართველი მეცნიერი, არქეოლოგი ბატონი ოთარ ლორთქიფანიძე. ჯერ კიდევ მანამდე – 1984 წლის 15 მარტს მას ლონდონიდან წერილი გამოუგზავნა, სადაც აუწყებდა, რომ პოლონურ ჟურნალ **"არქეოლოგიაში"** გამოქვეყნებულმა მისმა წერილმა **"ადრეანტიკური პერიოდის კოლხეთი და მისი კავშირი ძველბერძნულ სამყაროსთან"** გადაადგმევინა ეს თამამი ნაბიჯი, რათა გაჰყოლოდა ძველბერძენი არგონავტების გზას. **"თქვენ თანამედროვეობის უდიდეს მკვლევარ-მეცნიერად ხართ აღიარებული და ჩემი დიდი სურვილია შეგხვდეთ იქ, სადაც გათხრებს აწარმოებთ! ეს კიდევ ერთხელ მომცემს იმაში დარწმუნების საშუალებას, რომ რეალური კავშირები არსებობდა მიკენის საბერძნეთსა და იმჟამინდელ კოლხეთს შორის"** – სწერდა ინგლისელი მოგზაური ქართველ მეცნიერს.

და, აი, ეს შეხვედრა შედგა.

– თქვენ ჩემი იდეის სრულუფლებიანი თანაავტორი ხართ! – ეუბნება სევერინი ლორთქიფანიძეს და თბილად ხვევს ხელს მხრებზე. შემდეგ იგი ინტერესდება, თუ რამდენი საათის სავალია ვანამდე და უამრავ შეკითხვას იძლევა **"აია-ქვეყნის თაობაზე"**.

საყურადღებოა, რომ კოლხეთამდე გზა ჩვენთვისაც ისეთივე ძნელი იყო, როგორც არგონავტებისათვის, მაგრამ მთელი ეს წვალება ღირს იმად, რომ ჩვენ ფასდაუდებელ მასალებს მოვიპოვებთ. პირადად მე მიმაჩნია, რომ კოლხეთი ძველბერძნების ყურადღებას იქცევდა განვითარებული მეტალურგიით და მაღალი დონის მედიცინით, რომელიც მხატვრულად ასახულია მაგიური მედეას სახით. განა სწორედ აქედან არ მოდის სიტყვა **"მედიცინა"**? ჰომეროსის უკვდავ ლიტერატურულ ნაწარმოებში რეალურია სხვა ფაქტებიც, თუნდაც ის, რომ ღამით მეზღვაურებს ესმოდათ სირინოზთა გალობა. ჩვენც ჩაგვესმა ეს ხმები, როცა ერთ-ერთ ნაპირთან სასმელ წყალს ვიღებდით.

ტიმ სევერინი, იური სენკევიჩი და **"არგოს"** ეკიპაჟის წევრები იახტა **"ამხანაგზე"** გადმოდიან, არგოს ნიჩბებს კი ქართველი ნიჩბოსნები იჭერენ, რომელთაც თავკაცობს ცნობილი ქართველი სპორტსმენ ვლადიმერ ბერაია.

მალე იწყება ვრცელი პრეს-კონფერენცია. დიდი სურვილი გვაქვს მასში მონაწილეობის, მაგრამ ქალაქ ბათუმში მიგვეჩქარება, რათა დროულად გადავაგზავნოთ შესაბამისი ინფორმაცია რედაქციაში. **"არგოს"** სილუეტი თანდათან უჩინარდება შავი ზღვის სითალხეში.

ახალი **"არგო"** კი ფოთისაკენ მიეშურება, რიონის ხეობაში შესასვლელად, სადაც გადიოდა მისი ლეგენდარული წინამორბედის მარშრუტი. მას თან გაჰყვა მრავალი ადამიანის ფიქრი, რონელიც ამ მოგზაურობას უკავშირდება: **"მართლაც ღირს იმისათვის ცხოვრება, რათა დადგინდეს – ჰომეროსის ქმნილება ლეგენდაა თუ ლამაზი რეალობა"!**

21 ივლისს ჩატარდა პრესკონფერენცია. **"რაოდენ ბევრი ხალხის თავშეყრილი"!** – ეს ფრაზა ტიმ სევერინს რამდენიმეჯერ წამოსცდა კოლხეთში, რადგან მართლაც დიდი იყო ქართული საზოგადოების ინტერესი უცხოელი მოგზაურების და მათი მოტივების მიმართ.

ფოთის ნავსადგური, გემსადგომები და საზღვაო სადგურის ტერიტორიაზე ხალხი ველარ ეტეოდა. ბევრი მათგანი პორტთან ახლოს მდებარე საცხოვრებელი კორპუსების სახურავებიდან აკვირდებოდა აქ განვითარებულ მოვლენებს. ტიმ სევერინის ჩამოსვლა იმითაც იყო მისასალმებელი, რომ მან ინტერესი გაუღვიძა ქართულ საზოგადოებას მისი სამშობლოს შორეული წარსულისადმი, რომელიც არაერთ ლამაზ და საინტერესო ფურცელს მოიცავს. ეს კი აუცილებელია, რადგან არ არსებობს მომავალი წარსულის გარეშე. ის რაც ხდება დღეს, ფასდაუდებელ სამსახურს გაუწევს საქართველოს მომავალ თაობებს, კიდევ უფრო შეაყვარებს მათ სამშობლოს! მოკლედ, გმირული სულისკვეთების მქონე ინგლისელის ტიმ სევერინის ინიციატივა კატალიზატორად ექცა სრულიად საქართველოს, რაც აშკარად გამოვლინდა ძვირფასი სტუმრების დახვედრის ადგილზე – ქალაქ ფოთში.

მაგრამ მანამდე იყო კიდევ ერთი შეხვედრა და ისიც გასაოცარი! ეს მოხდა საბჭოთა იახტა **"ამხანაგის"** გემბანზე, სადაც ტიმ სევერინი თავის ერთგულ თანამგზავრებთან ერთად გადავიდა გაფართოებულ პრესკონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად. ერთიანად გაკრიალებული გემბანი და დარბაზი მართლაც შესანიშნავი ადგილი გახლდათ მაღალი სტუმრების მისაღებად.

ტიმ სევერინს პირველი შეკითხვა დაუსვეს:

– რა მოგცათ თქვენ ამ ადგილების მოხილვამ? რა სამომავლო გეგმებს უკავშირებთ ამ მოგზაურობას და აპირებთ თუ არა მომავალში მეცნიერული კვლევების გაგრძელებას?

– საქართველო, ჩემთვის, უპირველესად, შთაბეჭდილებათა პიკს წარმოადგენს! ისტორიისა და არქეოლოგიის კუთხით მე აქ უამრავი საინტერესო და შედეგიანი შეხვედრა მელოდება!

– თქვენი მოგზაურობა სპორტია თუ გართობა?

– ჩემთვის ეს, უპირველესად, მეცნიერულ ღირებულებას წარმოადგენს. რაც შეეხება ჩემს ეკიპაჟს, მათ სხვადასხვა მოტივები აქვთ. თავგადასავლების სიყვარული და საკუთარი თავის გამოცდა ექსტრემალურ სიტუაციებში. ახალ ადგილებში მოგზაურობის სურვილიც დიდია.

– რა კრიტერიუმებით შეარჩიეთ ეკიპაჟი?

– მე მსურს აღმოვაჩინო თითოეულ მათგანში იუმორის გრძნობა, სულის სიმტკიცე, უშიშრობა, ღირსების გრძნობა, მოთმინების უნარი, შრომისმოყვარეობა...

– მოგვითხრეთ მათ შესახებ!

– თან მახლავს 14 ირლანდიელი და ინგლისელი. მათ შორის არის ორი ექიმი, რომლებიც, ღვთის მადლით, ჯერჯერობით უსაქმოდ არიან. არიან სტუდენტები, მუშა-მოსამსახურეები, მოკლედ, მეტად საინტერესო საზოგადოებას მოვუყარე თავი, რომლებიც ერთმანეთთან უკვე მეგობრობენ. სხვაგვარად წარმოუდგენელია უდუმალ, შორეულ და ხანგრძლივ მოგზაურობაში წასვლა. საბერძნეთის წყლებში გვეხმარებოდნენ ბერძენი ნიჩბოსნები, თურქეთის წყლებში – თურქი სპორტსმენები, ახლა კი ქართველები გვეხმარებიან. ამიტომაც ღირს მოგზაურობა! თანაც, ისტორიამდელი იასონის გემ **"არგოს"** გზის გამეორება საერთაშორისო პროექტია.

– რითი განსხვავდება თქვენი მოგზაურობა ტურ ჰეიერდალის მოგზაურობისაგან?

– მე თავს მის მიმდევრად მივიჩნევ. მისმა **"კონ-ტიკმა"** წამაქეზა საიმისოდ, რომ შემექმნა პირველი ტყავგადაკრული ნავი **"ბრენდანი"**. განსხვავება მხოლოდ ჩვენს მეცნიერულ მისწრაფებებშია. ჩემთვის მთავარია მოვახდინო ამა თუ იმ მითის, ან ლეგენდის რეკონსტრუქცია და მყარად დავარწმუნო ხალხი მის რეალობაში. ბევრმა შეიძლება ისიც კი არ იცის, რომ იასონის **"არგო"** კაცობრიობის ისტორიაში პირველი ხომალდია, რომელსაც საკუთარი სახელი ერქვა.

– და კიდევ ერთი ხუმრობით დასმული კითხვა: თუ თქვენ იასონი ხართ, ხომ არ აპირებთ მედეას მოტაცებას?

– მეც ხუმრობით გაგცემთ პასუხს: ვნახოთ, ცხოვრებაში ყველაფერი ხდება!

– და კიდევ, მსოფლიოს მეცნიერთა დიდი ნაწილი სადავოდ მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ მიკენის ეპოქის ბერძნებს შეეძლოთ გემით ემოგზაურათ კოლხიდამდე. გარდა არსებული მითისა, რა აძლიერებს თქვენს ჰიპოტეზას ამ საკითხთან დაკავშირებით?

– ქართველ მეცნიერთა, უპირველესად კი ბატონ ოთარ ლორთქიფანიძის აღმოჩენები!

– კოლხეთში თავისი ექსპედიციით ბატონმა ტიმ სევერინმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ადრეული ანტიკური ხანის ბერძნებს თავისუფლად შეეძლოთ მოეღწიათ ჩვენამდე! – განაცხადა პრესკონფერენციის დასასრულს ბატონმა ოთარ ლორთქიფანიძემ.

პრესკონფერენციის დასრულების შემდეგ **"არგო"** რიონის ხეობაში შევიდა და მოგზაურობა განაგრძო. აბსოლუტურად ვეთანხმებით ინგლისელი მოგზაურის ტიმ სევერინის გამოთქმას ექსპედიციის თაობაზე, რომ ეს გახლდათ **"გმირების ტურნე შორეულ წარსულში"!**

**თ. მამალაძე,**
**ზ. საფრაზიანი,**
**"საქინფორმის" სპეციალური კორესპონდენტები**

**გაზეთ "ილორის" კომენტარი –** როგორც ვიცით, ადრე **"ოდისევსის"** მსგავსად, ჰომეროსის მეორე ნაწარმოები **"ილიადაც"** ლეგენდად მიაჩნდათ მეცნიერებსა და მკვლევარებს, ვიდრე ცნობილმა გერმანელმა მკვლევარმა ჰენრიხ შლიმანმა არ გათხარა ბაბილონში (ახლანდელ ერაყში) მდებარე ჰისარლიყის მთა და დოკუმენტურად არ დაადასტურა ისტორიამდელ ქალაქ ტროას არსებობა. სწორედ მაშინ იქცნენ რეალურ პიროვნებებად მანამდე ლეგენდარულ პერსონაჟებად მიჩნეული მეფე პრიამოსი, მისი მემკვიდრეები ჰექტორი და პარისი, პირმშვენიერი ელენე, აქილევსი და სხვები. ისტორიული ფაქტია ისიც, რომ სამშობლოდან გადახვეწილი მედეა შესანიშნავი მკურნალი და დედა გახლდათ და რომ მისი შვილები გამხეცებულმა კორინთელებმა ტაძრის საკურთხეველთან დაკლეს. ხუთასი წლის შემდეგ, ამ სამარადისო სამარცხვინო ლაქის ჩამოსაშორებლად კორინთელებმა 5 ტალანტი ოქრო (დაახლოებით 200 კილოგრამი) უბოძეს ქრთამად ქალთმოძულეობით ცნობილ ძველბერძენ დრამატურგ ევრიპიდეს, რათა მას უბედური დედისათვის დაებრალებინათ საკუთარი შვილების სიკვდილი. დღემდე დადის უსამართლოდ შეურაცხყოფილი კოლხი დედის აჩრდილი დედამიწაზე და სამართალს ელოდება.

ისიც ფაქტია, რომ დღეს, ყოველი წვიმის მოსვლის შემდეგ, ვანის ნაქალაქარზე ნიაღვარი უამრავ ძველებურ ოქროს ნივთებს და სხვადასხვა არტიფაქტებს გამოიტანს ხოლმე, რაც იმის მიმანიშნებელია, რომ ეს ადგილი ოდესღაც მაღალკულტურული ცივილიზაციის ცენტრი იყო. ბუნებრივია, პირველ რიგში ამ საკითხით საქართველოს ხელისუფლება უნდა დაინტერესდეს და სახსრები გამოჰყოს კვლევისათვის, რათა წავაწყდეთ იმის დამადასტურებელ ისტორიულ საბუთებს, რომ ბერძნები კოლხეთში ჩამოვიდნენ არა ცხვრის საქალამნე ტყავის წასაღებად, არამედ იმ ცივილიზაციასთან საზიარებლად, რომლითაც მაშინ დედამიწის ზურგზე განთქმული გახლდათ კოლხეთი. მაგრამ, სამწუხაროდ, საქართველოს სომხურ ხელისუფლებას, რომელიც ამტკიცებს, რომ საქართველოს ისტორია 2003 წლიდან იწყებაო, ასევე ქართულ გვარ-სახელებს ამოფარებულ ახვერდოვებსა და სხვა უჯიშოებს დიდად არ აინტერესებთ იმ მტკიცებულებების მოძიება, რომ ცივილიზაცია სწორედ კოლხეთიდან იწყება და არა არარატის მთიდან. და ეს მაშინ, როცა **"ისტორიის მამად"** წოდებული ჰეროდოტეს მტკიცებით, კავკასია კოლხთა ბეჭებზე იდგა, სომხები კი აქ არცერთ ისტორიულ წყაროებში არ მოიხსენიებოდნენ. ეს არ გახლავთ **"ანტისომხური ისტერია"**, როგორც ამას რუსეთის ზოგიერთი საინფორმაციო წყაროები უწოდებენ. ეს გახლავთ ობიექტური პასუხი იმ სიყალბის მთესველებისადმი, ვინც კოლხეთის და სრულიად საქართველოს ისტორიული მნიშვნელობის დაკნინებას ცდილობენ!

ისე, ჩვენში დარჩეს და, საკუთარ თავს მაინც უნდა დავუსვათ ერთი ფრიად არასასიამოვნო შეკითხვა: ვართ კი მედეასთანა, ფიროსმანისთანა და ტერენტი გრანელისთანა გენიოსების ღირსი, თუ მათ ვერც სიცოცხლეში მივაგებთ სათანადო პატივს და ვერც სიკვდილის შემდგომ, რადგან არ ვიცით მათი საფლავის ადგილები. მერე კი გვწყინს, როცა სომხები უსინდისოდ ამტკიცებენ, ეგენი სომხები იყვნენ, თორემ ქართველები ასე უდიერად არ მოეპყრობოდნენო.

სასაცილოა, სატირელი რომ არ იყოს: რომ არ ჩამოსულიყო პოლონეთიდან მკვლევარი ვადბოლსკი, ქართველებს ერთად თავმოყრილი არ გვექნებოდა ჩვენი ჰერალდიკური სიმბოლიკა და საგვარეულო ნიშანღერბები, და რომ არ ჩამოსულიყო იგივე პოლონეთიდან ზდანევიჩი, შეიძლება საერთოდ არ გვცოდნოდა დღეს, რომ ქართველებს გვყავდა გენიალური მხატვარი ნიკო ფიროსმანი!

ღრმესი მადლობა მათ, ქართველ ხალხზე გაწეული ესოდენ დიდი ამაგისათვის, მაგრამ, ჩვენ როდემდე უნდა ვიყოთ სხვების იმედზე?

***დიდ მადლობას ვუხდით ჩვენს აფხაზ მეგობრებს გალიდან, რომლებმაც "არგოს" ექსპედიციაზე მასალები მოგვაწოდეს!***

**როლანდ ჯალაღანია,**
**ჟურნალისტი,**
**საპატიო დოქტორი**

## აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიში

საქართველოს მთავრობა არ ეთანხმება საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშის ზოგიერთ ნაწილს. თუმცა ის **„საყურადღებო და მნიშვნელოვანია"**,– განაცხადა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნინო კალანდაძემ 11 აპრილს. **„არ დაგეთანხმებით იმ ნაწილში, რომ [ანგარიში] არის მხოლოდ კრიტიკული"**,– უპასუხა მან ბრიფინგზე დასმულ შეკითხვას **„საკმაოდ კრიტიკული"** შეფასებების შესახებ. **„ეს ანგარიში, ასევე, ასახავს და მიესალმება იმ პროგრესს, რომელსაც საქართველომ მიაღწია გასული წლის განმავლობაში". „ამავე დროს, ჩვენთვის კრიტიკაც მისაღებია. დასმული საკითხების დიდი ნაწილი [აშშ-თან] ჩვენი თანამშრომლობის ფარგლებში რეგულარულად განიხილება"**,– აღნიშნა მან. თუმცა მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ **„ანგარიშში არის ნაწილები, რომელთაც ჩვენ არ ვეთანხმებით"**. მისი თქმით, სხვა ქვეყნებზე ანალოგიურ ანგარიშებთან შედარებით, საქართველოს მიმართ შეფასებები **„არის უდავოდ ძალიან პროგრესული"**.

## სააკაშვილის ადმინისტრაცია მათიას ჰუტერის განცხადების კომენტირებას არ აპირებს

ქართულ პრესაში გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ პრეზიდენტმა სააკაშვილმა პარლამენტში სიტყვით გამოსვლისას იცრუა, როცა განაცხადა, რომ **„Financial Times"**-მა საქართველო №1 რეფორმატორად აღიარა. **„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს"** წარმომადგენელმა მათიას ჰუტერმა საგანგებო სტატიით საქართველოს №1 რეფორმატორად აღიარება უარყო, რომლის მტკიცებით, **„მსგავსი სტატია „Financial Times"-ში არასოდეს გამოქვეყნებულა" „გაზეთში მხოლოდ რეკლამა დაიბეჭდა, რომელშიც ქართულმა მხარემ 100 ათასი გირვანქა სტერლინგი გადაიხადა"**,– აღნიშნა ჰუტერმა სტატიაში. საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია ჰუტერის განცხადებას აბსურდულად მიიჩნევს და კომენტარს არ აკეთებს **„ამ ტიპის აბსურდულ განცხადებაზე ჩვენ, როგორც წესი, კომენტარისაგან თავს ვიკავებთ"**, – განაცხადა 12 აპრილს გამართულ ტრადიციულ ბრიფინგზე პრეზიდენტის პრესსპიკერმა მანანა მანჯგალაძემ. ასეა, როცა სიმართლე თვალებს წვავს, ასეთი სიმართლე ცრუპენტელებს არ უყვართ, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ სიცრუე ადვილი გამოსააშკარავებელია. ეს რომ ერთადერთი სიცრუე იყოს, რა გვიჭირდა, მაგრამ სააკაშვილს ხომ მთელი თავისი საპრეზიდენტო სტრატეგია სიცრუესა და ხალხისათვის თვალებში ნაცრის შეყრაზე აქვს აგებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვის აღიზიანებს ჯვრები და ხატები სკოლებში?

რელიგიური ატრიბუტიკის პრობლემამ საჯარო სკოლებში კვლავ აქტუალობა შეიძინა. დანამდვილებით ცნობილი არ არის, ჩატარდა თუ არა თათბირი განათლების სამინისტროში, სადაც დირექტორების კაბინეტებიდან ჯვრების და ხატების გატანის აუცილებლობაზე მიუთითეს, არ არსებობს დადასტურებული ინფორმაცია იმის თაობაზე, ჰქონდა თუ არა ადგილი ამ საკითხთან დაკავშირებულ ინციდენტს ერთ-ერთ სკოლაში, თუმცა ეს ბუნდოვანი ცნობებიც კი საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ თემა ქართულ, შემდეგ კი უცხოურ საინფორმაციო საშუალებებში მოხვედრილიყო და საზოგადოებისთვის განსჯის საგნად ქცეულიყო, რაც მკაფიოდ მიანიშნებს იმაზე, რომ საზოგადოება რელიგიასთან დაკავშირებული საკითხების მიმართ ძალზე მგრძნობიარეა.

ეს, საქართველოში ბოლო წლების განმავლობაში განვითარებული ბრძოლის ერთ-ერთი ეპიზოდია, რომელშიც ერთ მხარეს მზარდი რელიგიურობა და ყოველივე ტრადიციულისკენ ლტოლვა ახასიათებს, რაც თავის მხრივ წარმოადგენს მის რეაქციას გარემოს მზარდ ანტიჰუმანურობაზე, ხოლო მეორე მხარეს- საზოგადოების ცნობიერების სასწრაფო და რადიკალური სეკულარიზაციის სურვილი. ორივე მხარეს განხილულ საკითხთან დაკავშირებით საკმაოდ მოცულობითი არგუმენტაცია და ქვეყნის მომავლის განსხვავებული ხედვა აქვს. თუმცა, ალბათ, საჭიროა დაფიქრება იმაზე, თუ რა შედეგი შეიძლება მოიტანოს დაპირისპირების ამ კონკრეტულმა ეპიზოდმა.

ამისთვის, ალბათ, სასარგებლო იქნება განვიხილოთ ის პროცესები, რომელიც რამდენიმე წელია იტალიაში მიმდინარეობს, რომელიც ცნობილი პოლიტიკოსის მასიმო დ'ალემოს საკმაოდ ზუსტი განსაზღვრების თანახმად „საერო, მაგრამ უაღრესად კათოლიკური სახელმწიფოა". ყოველივე 2002 წელს დაიწყო, როდესაც ქალაქ აბანო-ტერმაში მცხოვრებმა წყვილმა განაცხადა, რომ ჯვარცმა საკლასო ოთახში, ხელს უშლით შვილები „თავისუფლების სულისკვეთების" შესაბამისად აღზარდონ. მას შემდეგ, რაც იტალიის სასამართლო ინსტანციებმა, უზენაესი სასამართლოს ჩათვლით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი უთხრეს, სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს მიმართეს, რომელმაც გასული წლის ნოემბერში გადაწყვიტა, რომ იტალიის ხელისუფლებამ სკოლებიდან ჯვრების გატანა უნდა უზრუნველყოს. რომში მყისვე გააცნობიერეს რა ვნებათაღელვა შეიძლება მოჰყვეს ამას და ეს გადაწყვეტილება გაასაჩივრეს, საქმის მეორე განხილვა ამა წლის 30 ივნისს დაიწყო და, სავარაუდოდ, 2011 წლის დასაწყისში დასრულდება. ყოველივე ამას იტალიაში შემდეგი პროცესების განვითარება მოჰყვა: ადგილობრივმა მუნიციპალიტეტებმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა დაიწყეს დიდი რაოდენობის ჯვარცმების შეძენა და მათი გაგზავნა სკოლებში, უნივერსიტეტებსა თუ საავადმყოფოებში, მაღაზიების და კაფეების ბევრმა მეპატრონემ რელიგიური ატრიბუტიკა ყველაზე თვალსაჩინო ადგილას გამოფინა. ბევრი ჯვარცმა უშუალოდ სკოლების სიახლოვეს დაიდგა.

„ჩვენ ღია ვართ ყველა რელიგიისთვის, ამაზე მიუთითებენ მეჩეთები, სინაგოგები და პროტესტანტული ეკლესიები ჩვენ ქალაქებში,- წერდა იტალიელი პუბლიცისტი ალესანდრა პაოლინი ამ ვნებათაღელვასთან დაკავშირებით,- მაგრამ უპირველეს ყოვლისა კათოლიკური ქვეყანა ვართ და ჩვენ ფესვებზე უარი არ უნდა ვთქვათ. დარწმუნებული ვარ, რომ ქვეყანა, რომელიც კარგავს ან ივიწყებს თავის ტრადიციებს, გადაიქცევა ქვეყანად ისტორიის გარეშე და შესაბამისად მომავლის გარეშე."

იტალიელი მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ იმ შემთხვევაშიც კი (რაც დღეს წარმოუდგენელი ჩანს) თუ იტალიის მთავრობა იძულებული გახდება სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებას დაემორჩილოს, უამრავი ჯვარცმა მყისვე გაჩნდება სკოლის შენობებიდან რამდენიმე მეტრში და ბრძოლა ჯვარცმის სკოლებში დაბრუნებისთვის საყოველთაო-ეროვნულ ხასიათს მიიღებს.

ამ ისტორიიდან საქართველოს ხელისუფლებამ, კერძოდ კი განათლების სამინისტრომ, ალბათ, შესაბამისი დასკვნები უნდა გამოიტანოს იმისთვის, რომ ვნებათაღელვა რელიგიურ ნიადაგზე თავიდან აიცილოს. მათ, ალბათ, განსაკუთრებული სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს, რადგან მცირე ინციდენტსაც კი შეიძლება საზოგადოების მკვეთრად უარყოფითი რეაქცია მოჰყვეს. რაც მთავარია, ამ რეაქციის ფორმების ამოცნობა დღეს საკმაოდ რთულია და მან ხელისუფლების იმიჯს, ისევე როგორც ზოგადად მისი პოზიციებს შეიძლება ძალზე სერიოზული დარტყმა მიაყენოს.

უახლოეს მომავალში ჩვენ შესაძლებლობა გვექნება ვიხილოთ თუ რა მიდგომას აირჩევს ხელისუფლება ამ საკითხთან დაკავშირებით და, შესაბამისად, გამოვიტანოთ დასკვნა იმის თაობაზე თუ რა მოტივები დგას მისი მოქმედებების უკან და რა საბოლოო მიზნის მიღწევას ცდილობს ის.

ა. ხიდიშვილი

# ქართული პოლიტიკური ლიტერატურის მშვენება

სამწუხაროდ, საქართველოს წიგნის თაროზე აშკარად არ შეინიშნება იმ პოლიტიკური ლიტერატურის მოძალება, რომელშიც ობიექტურად იქნება გაშუქებული საქართველოში დღეს არსებული სავალალო პოლიტიკური მდგომარეობა, რაც ყველა ჩავარდნისა და სიბოროტის ქვაკუთხედს წარმოადგენს. დროდადრო თუ გამოვა ბროშურად **"ნაციონალების"** მიერ მოქრთამულ-თავმოქონილი საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციათა კვლევის შედეგები, სადაც, როგორც წესი, ყველა პარამეტრებში ისევ და ისევ საქართველოს დამაქცევარი **"ნაციონალები"** და მათი ბელადი ლიდერობენ! ამიტომ, დიდად გაგვახარა ახალგაზრდა ქართველი პოლიტოლოგის ბატონ ზურაბ ჯამბურიას წიგნის ხილვამ, რომელიც სამი პუბლიცისტური წერილისაგან შედგება: **"როგორ მოვიგოთ არჩევნები, ანუ...", "პოლიტიკური პარტიის შესახებ" და "საარჩევნო "ბელადომანია" თუ პოლიტიკური მითოლოგია".**

წიგნის ლამაზ გარეკანზე გამოტანილია დალაი-ლამას **თენზინ გიათსოს** სიტყვები: **"პოლიტიკა კი არ არის ბინძური, არამედ კაცობრიობის პოლიტიკური კულტურის დონეა ძლიერ დაბალი და სწორედ ამიტომაც, სუფთა ზრახვები, მაღალი იდეალები და კეთილშობილური მიზნები დამახინჯებულ სახეს იღებენ პოლიტიკაში".**

წიგნის ავტორი ბატონი ზურაბ ჯამბურია 1985 წელს დაიბადა მარტვილის რაიონის სოფელ გაჭედილში. 2007 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის სოციალ-პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი პოლიტოლოგის სპეციალობით. აღნიშნული წიგნი ბატონი ზურაბის პირველი ფუნდამენტური ნაშრომი გახლავთ.

წიგნის საწყის პუბლიცისტურ ნაშრომში, რომელიც პოლიტიკოსის იმიჯთან დაკავშირებულ პრობლემებს ეძღვნება, აღნიშნულია, რომ **"მასობრივ შეგნებაში სპეციალურად ჩამოყალიბებული მითი, სიმბოლიზმი ხელს უწყობს ინფორმაციის, კანდიდატის იმიჯის უკეთ გაგებას, აღქმას ან საზოგადოების "დაპყრობას". იმიჯიდან მითზე გადასვლა ერთი იმიჯის მეორე იმიჯთან შეხამებით ხორციელდება. მასობრივ შეგნებაში იგი გააზრებულად უნდა იქნეს წინასწარ კოდირებული. ისევე, როგორც ეს ხდებოდა 2003 წლის 2 ნოემბრის წინასაარჩევნო კამპანიის დროს და რევოლუციის შემდგომ პერიოდში ნინო ბურჯანაძის მიმართ. თითქოს ის "ჰგავდა" თამარ მეფეს და ამიტომ გახდებოდა "ერის ლიდერი" მეფე-თამარის მსგავსად და "გადაარჩენდა" საქართველოს. მისი შედარება თამარ-მეფესთან, იმ მეფესთან, რომელიც ერის სათაყვანებელი და სიწმინდის სიმბოლოა, ხელს უწყობდა ქალბატონ ნინო ბურჯანაძის შესახებ მსჯელობის დაწყებას და მისი პიროვნებით დაინტერესებას. რეალურად კი თამარ მეფე გმირი ქართველი მეფეა, მაგრამ ნინო ბურჯანაძე წარსულში არც გმირი ყოფილა და არც უცდია, რომ გმირი გამხდარიყო. თუმცა, ამ მეთოდმა იმუშავა და იგი ჩვენს საზოგადოებაში მაღალ რეიტინგსაც ინარჩუნებდა, გარკვეული დროის განმავლობაში".**

ამ ფრაზას მოსდევს კონკრეტული განსჯა იმის თაობაზე, რომ პოლიტიკოსის იმიჯი ემყარება პირად მახასიათებლებსაც: ოჯახი, ბავშვები, წარსული, ჰობი, ცხოველები და ა.შ. აქ მთავარი პოლიტიკური რეალიები არ არის, რადგან საზოგადოებას არ აინტერესებს პოლიტიკოსი – მხოლოდ აბსტრაქტული ობიექტი, არამედ ცოცხალი ადამიანი, რომელსაც ანდობს თავის ბედს, ამიტომ მასზე ყველანაირი ინფორმაცია აინტერესებს. დღეს კი, საზოგადოება, სამწუხაროდ, ვერავითარ დამაიმედებელ ინფორმაციას ვერ იღებს ვერც ყველას გამაბეზრებელ პოზიციაზე და ვერც მასთან **"მებრძოლ"** ფსევდოპოზიციაზე!

ბროშურის ავტორი დაწვრილებით განმარტავს, რომ საარჩევნო კომპანიის დროს კანდიდატის (პარტიის) პოზიციური იმიჯის ფორმირება და გამოყენება არჩევნებში წარმატების მიღწევის და ელექტორატის მოზიდვის განმსაზღვრელი ფაქტორია, რადგან ამომრჩეველთა უმეტესობა არ იცნობს კანდიდატებს, არა აქვს მასთან პიროვნული ურთიერთობის შესაძლებლობა, რის გამოც ისინი (ამომრჩევლები) ამ უკანასკნელთა სიმბოლურ წარმოდგენაზე, ანუ შექმნილ იმიჯზე რეაგირებენ. ამიტომ, არჩევნებში კანდიდატის წარმატების **"ფორმულა"** სწორად ჩამოყალიბებული იმიჯი ხდება.

ალბათ არჩევნების ტოტალურად გაყალბებით, ძალმომრეობითა და პოლიტიკური მექანიზმების გაუთავებელი ჟონგლირებით გამორჩეული ვითომ ქართველი **„ნაციონალები“** ადრე თუ გვიან მიხვდებიან, რომ არჩევნები ნებისმიერ სახელმწიფოში დემოკრატიულობის, ხალხის ნების გამოხატვის მძლავრი ინსტრუმენტია (ყოველი შემთხვევისათვის, ამგვარი უნდა იყოს!). იგი პოლიტიკური პროცესების შემადგენელი ნაწილია, რომელიც საშუალებას აძლევს სუბიექტს, მოსახლეობის მხარდაჭერისა და ნდობის ვოტუმის გამოცხადების შედეგად არჩეულ იქნას აღმასრულებელ, საკანონმდებლო, ადგილობრივი თვითმმართველობის და სხვა ორგანოებში სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობაზე, ხოლო მოქალაქეებს – გამოხატონ საკუთარი ნება დეპუტატობის ამა თუ იმ კანდიდატის სასარგებლოდ.

საარჩევნო ტაქტიკის სისტემათა განხილვისას ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს კონკურენტების ზეგავლენას საარჩევნო პროცესებზე. ამიტომ, იგი აუცილებლად მიიჩნევს კონკურენტების შესწავლას, მათი შესაძლებლობების, ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლო სოცილაური ბაზის, მათი კამპანიის სავარაუდო სტრატეგიის და გამოყენებული ხერხების, აშკარა და ფარული ფინანსიური და ინფორმაციული შესაძლებლობების გამოვლენას და სხვა საკვანძო საკითხებს. სასურველია დადგინდეს თუ სავარაუდოდ რომელი პოლიტიკური ძალა უჭერს მხარს კონკურენტს ფინანსურად და პილიტიკურად. ბოშურის ამ ნაწილში ცალკე თავებადაა გამოყოფილი ისეთი მნიშვნელოვანი წინასაარჩევნო ფაქტორები, როგორიცაა **„სპინდოქტორი“, „სლოგანი“, „მასობრივი საინფორმაციო საშუალებანი“, „პოლიტიკური რეკლამა“** და **„კანდიდატის იდენტიფიცირება“.** ბროშურაში ასევე ცალკე თავი აქვს დათმობილი პოლიტიკური იმიჯის ფორმირებას საარჩევნო კომპანიის დროს, კერძოდ – უცხოეთის გამოცდილებას. კონკრეტულადაა მითითებული იმიჯის ფორმირებისას კანდიდატის ხაზგასასმელი მახასიათებლები: პირდაპირობა, შრომისმოყვარეობა, გულწრფელობა, სიძლიერე, თავდაჯერებულობა, გამბედაობა და ა.შ. (რაც დღეს სრულიად ატროფირებული აქვთ ქართველ **„ნაციონალებსა“** და მათ **„ნეტარღიმილიან“**, მასისადმი ცინიკური დამოკიდებულებით გამორჩეულ ბელადს).

ამრიგად, ბროშურის ეს ქვეთავი იმის დასკვნის გაკეთების საშუალებას გვაძლევს, რომ კანდიდატის (პარტიის) იმიჯს საარჩევნო კამპანიის დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან სწორედ მისი ზემოქმედების სიძლიერეზეა დამოკიდებული ეფექტური საარჩევნო კამპანიის ჩატარება და წარმატების მიღწევა. სამწუხაროდ, ყოველივე ეს გათვლილია ნორმალურ საარჩევნო ატმოსფეროზე და არა, ჯერ შევარდნაძის **„მოქკავშირისა“** და შემდეგ სააკაშვილის **„ნაციონალების“** მიერ ქართველ ხალხზე თავსმოხვეულ სიყალბეზე, რომელიც ყველა დონის საარჩევნო გარემოს გათახსირებისკენ არის მიმართული. გასაოცარი ამაში არაფერია – თავიანთი მმართველობის ოცლიან სამარცხვინო ეპოქაში შევარდნაძეს და მის პოლიტიკურ მემკვიდრეებს იმდენი დანაშაული აქვთ ჩადენილი, რომ გამოაშკარავების შემთხვევაში სასამართლოს წინაშე მოუწევთ წარდგომა. ამიტომ არ ეთმობათ მათ მაღალი პოსტები და ყოველ საძრახის საქმეზე აწერენ ხელს იმ ძალაუფლების შესანარჩულებლად, რომლის მეშვეობით მილიარდობით თანხა და ქონება დააგროვეს. ხალხის ყვლეფისა და გაღატაკების ხარჯზე, უკვე **„დე იურედ“ „საიმედოდ“** დაკარგულ ძირძველ ქართულ ტერიტორიებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, რაც ასევე მათი ბინძური საიდუმლო გარიგებების შედეგია.

ასევე საინტერესოა ბატონ ზურაბ ჯამბურიას წიგნის მეორე ნაწილი, სადაც საუბარია პოლიტიკური პარტიების არსისა და რაობის თაობაზე.

ავტორის მტკიცებით პოლიტიკურ თეორიაში დიდი ყურადღება ეთმობა პოლიტიკური პარტიის არსის დადგენას. შუა საუკუნეებიდან მოყოლებული მრავალი მეცნიერი, ცდილობდა გაერკვია პარტიის არსი და მოეცა მისი ზუსტი განსაზღვრება. ეს ალბათ არცაა გასაკვირი, რადგან შუა საუკუნეების მიწურულიდან პარტიები პოლიტიკური ცხოვრების ერთ-ერთი (თუ მთავარი არა) მამოძრავებელი ძალა გახდა. საზოგადოების გარკვეულ პოლიტიკურ ჯგუფებად, ნაწილებად (პარტიებად) დაყოფამ და სახელმწიფო თუ საზოგადოებრივ საქმიანობაში პარტიების მონაწილეობამ ხელი შეუწყო პლურალისტური ურთიერთობების განვითარებას. წიგნის ამ ნაწილში დაწვრილებითაა გარჩეული პარტოგენეზისი, ანუ პარტიათა წარმოშობის და განვითარების პროცესი, პოლიტიკური პარტიის ფუნქციები, პოლიტიკური პარტიების ტიპები და პარტიული სისტემები და ასკვნის, რომ პარტიული სისტემის ეფექტურობის შეფასების ერთიანი სტანდარტი მსოფლიოში არ არსებობს და ამიტომაც ყველაფერი ფარდობითია.

ასევე, დაინტერესებული მკითხველის დიდ ინტერესს იწვევს აღნიშნული წიგნის მესამე პუბლიკაცია **„საარჩევნო „ბელადომანია“ თუ პოლიტიკური მითოლოგია“**, სადაც დაწვრილებითაა განხილული სხვადასხვა პოლიტიკური სუბიექტების მიერ შემოთავაზებული საქართველოს სახელმწიფოს მმართველობის ფორმის **„სამომავლო“** მოწყობის მოდელები. ეს თავი წიგნის შემაჯამებელი ნაწილი გახლავთ, რადგან პასუხს იძლევა წიგნის გაცნობისას წამოჭრილ სხვადასხვა შეკითხვებზე.

სახალხო მოძრაობა **„სამეგრელო“** და გაზეთი **„ილორი“** გულითადად ულოცავენ ახალგაზრდა პოლიტოლოგს ამ შემოქმედებით წარმატებას და იმედოვნებენ, რომ ბატონი ზურაბ ჯამბურია გააგრძელებს ნაყოფიერ კვლევას პოლიტიკის დარგში და კვლავაც გაახარებს დაინტერესებულ აუდიტორიას ახალი ნაშრომებით.

***P.S.* მოკლე ხანში ჩვენი გაზეთი მკითხველებს მიაწვდით ზურაბ ჯამბურიას აღნიშნული წიგნის სრულ ვერსიას.**

**როლანდ ჯალაღანია,**
**საპატიო დოქტორი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



სერგეი კრემლიოვი

# ბერია XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი

თარგმანი როლანდ ჯალაღანიასი

ამ მართლაც უდიდესი პროექტის ავტორ-შემოქმედების ჩანაფიქრის განხორციელებაში ყოველწლიურად მონაწილეობდა საქმიანი ადამიანებისაგან შემდგარი ურთულესი ქსელი, რომელშიც ჩართული იყვნენ:

– ათეულობით ადამიანი, რომლებიც იდეის ყოველი მიმართულების ძირითადი გენერატორები იყვნენ;

– ასეულობით ადამიანი, რომლებიც ძნელად თუ შეიცვლებოდნენ ვინმეთი და რომლებიც მუშაობდნენ ძირითადი იდეის ხორცშესხმაზე და თავადაც ქმნიდნენ საკუთარ იდეებს;

– ათასობით ადამიანი, რომლებიც ერთგულ სამსახურს უწევდნენ მეორე კატეგორიას მიკუთვნებულ სპეციალისტებს, დაბოლოს ასეულ ათასობით ტექნიკოსები და სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროებში, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში, ქარხნებსა და მშენებლობებზე დასაქმებული სპეციალისტ-მუშები, რომლებიც კონკრეტულ მითითებებს ასრულებდნენ და მუშაობდნენ მკაცრად ფორმულირებული დავალებებით.

მაგრამ მთელი ეს სამუშაო წარმატებით მიმდინარეობს მაშინ, როცა მას ჰყავს ჭეშმარიტი ლიდერი. ბერია სწორედ ასეთი ლიდერი იყო. ურანის პრობლემასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელიც გამოდიოდა სსრკ მინისტრთა საბჭოს განკარგულების სახით, ხელმოწერილი იყო სტალინის, როგორც სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარისა და ბერიას, როგორც მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის მიერ. მაგრამ, ყველა შემთხვევაში, ეს დოკუმენტები მხოლოდ ბერიაზე გავლით იქმნებოდა. გარდა ამისა, სახეზეა ბერიას მიერ სტალინის სახელზე შედგენილი წერილების ვეებერთელა მასივი, ასევე ბერიას მიერ ხელმოწერილი სპეციალური კომიტეტის ოქმები და წერილები თვით ბერიას სახელზე. ზოგჯერ პირდაპირ სტალინს დოკუმენტებს უგზავნიდნენ, მაგალითად, ვანნიკოვი და პერვუხინი, მაგრამ, ამ წერილებს მაინც უნდა გაევლო სპეცკომიტეტის თავმჯდომარის ხელში. ბუნებრივია, მას არ ექნებოდა ამა თუ იმ დადგენილებაში რაიმე ტექნიკური კორექტივის შეტანის შესაძლებლობა – ამას სხვადასხვა დარგის სპეციალისტები აკეთებდნენ. მაგრამ ბერია ღრმად შეისწავლიდა ყოველ დოკუმენტს, რაც საშუალებას აძლევდა მოეწონებინა ესა თუ ის იდეა და საკუთარი იდეებიც კი წამოეყენებინა.

დავუშვათ, რომ ზესუფთა გრაფიტის გარეშე ვერ მიიღებ პლუტონის გამოსაშვებ რეაქტორს... ზესუფთა გრაფიტს ვერ მიიღებ სათანადო აგრეგატების გარეშე. ასეთ აგრეგატებს კი სჭირდება გასუფთავების ახალი სისტემები... ეს მეთოდიკა კი უნდა შეიმუშაონ იმ ქიმიკოსებმა და ინჟინრებმა, რომლებსაც მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში ერთხელაც კი არ მოუწევთ შეხება ატომურ ბომბთან და ვერც იმას გაიგებენ ვერასოდეს, რომ ატომური ბომბის შექმნის პროცესების უშუალო მონაწილეები იყვნენ.

ბერია უშუალოდ არ წყვეტდა **"გრაფიტის პრობლემების"** გროვას, მაგრამ იგი ვალდებული იყო ყველაფერი სცოდნოდა ამ პროცესების თაობაზე, ისევე, როგორც სხვა პრობლემების არსებობის შესახებ. ისინი კი ძალიან ბევრი იყო.

აი, მე ვფურცლავ დოკუმენტებისა და მასალების II ტომის მესამე წიგნს **"საბჭოთა კავშირის ატომური პროექტი"** და 173-ე გვერდიდან ვიწერ დოკუმენტთა დასახელებებს. მკითხველს შევახსენებ, რომ **"A-9"** ბუნებრივი ურანის კოდური სახელწოდებაა, **"B-9"** კი თორიუმის კოდური სახელწოდება გახლავთ (ყველა სპეციალური **"ატომური"** მასალებისათვის ამგვარ კოდური სახელწოდებების მინიჭება სტანდარტული პრაქტიკა გახლდათ).

მაშ ასე, დავიწყოთ...

სსრკ მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 24 მარტის **№656-232cc** დადგენილება: **"სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პირველი მთავარი სამმართველოს საჭიროებისათვის სპეციალური მძლავრი ვერცხლისწყლის გამმართველების წარმოების შესახებ"** (ხელმოწერილია სტალინის მიერ).

სსრკ მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 24 მარტის **№657-233cc** დადგენილება: **"A-9-ის წარმოების შესახებ კრივოი როგის რკინის მადნის ბაზაზე"** (ხელმოწერილია სტალინის მიერ).

სსრკ მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 25 მარტის **№2919-pc** დადგენილება: "**სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პირველი მთავარი სამმართველოს შენობის დაცვის სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის გადაცემის შესახებ**" (ხელმოწერილია მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ბერიას მიერ).

სსრკ მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 25 მარტის **№3138-pc** დადგენილება: **"პამირში, ვანჩის მთაგრეხილზე "A-9" და "B-9" სამუშაოებზე დაზვერვითი ღონისძიებების ჩატარების შესახებ"** (ხელმოწერილია მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ბერიას მიერ).

სსრკ მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 9 აპრილის **№3745-pc** დადგენილება: **"ცენტრალური მომარაგების უზრუნველსაყოფად კონტიგენტის დამტკიცება (მათ შორის მოსკოვიდან, ლენინგრადიდან და სხვა 43 ქალაქიდან ჩამოსული მათ კმაყოფაზე მყოფი პირები – სულ 16.220 ადამიანი და 23.770 12 წლამდე ასაკის ბავშვები) და კვების ლიმიტების განსაზღვრა 1947 წლის მეორე კვარტლისათვის"** (ხელმოწერილია სტალინის მიერ).

1947 წლის 19 აპრილს ბერიას მიერ სტალინისადმი გაგზავნილი წერილი, რომელშიც შეთავაზებული იყო სსრკ მინისტრთა საბჭოს დადგენილების პროექტის განხილვა "**M**"-ის (მძლავრი ციკლოტრონი, რომლის ელექტრომაგნიტის წონა გახლდათ 6-7 ათასი ტონა, რომლის ბაზაზეც მოსკოვიდან 125 კილომეტრში, ივანკოვსკის ჰიდროელექტროსადგურთან იმუშავებდა ელემენტური ნაწილაკების ამაჩქარებელი) მონტაჟის შესახებ.

1947 წლის 19 აპრილს ბერიას მიერ სტალინისადმი გაგზავნილი წერილი, რომელშიც შეთავაზებული იყო სსრკ მინისტრთა საბჭოს დადგენილების პროექტის განხილვა: **"სსრკ შეიარაღების სამინისტროს №92 ქარხანაში** (გორკის მანქანათმშენებელი ქარხანა, რომელიც აწარმოებდა ურანის გამამდიდრებელ დიფუზიურ მანქანებს) **სპეციალური ტურბოკომპრესორების წარმოების და ამ ქარხნისათვის დახმარების გაწევის შესახებ"**.

სსრკ მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 20 აპრილის №4285-pc დადგენილება: **"A-9"-ს მოსაპოვებლად კარელიაში დაზვერვითი სამუშაოების წარმოების შესახებ".**

ალბათ საკმარისია, ძვირფასო მკითხველო!

ვფიქრობ, დიახ...

მაგრამ, ეს გახლავთ მხოლოდ ერთ გვერდზე დაფიქსირებული დოკუმენტები, ამ წიგნში კი 895 გვერდია. 7 ბერიასეულ ტომში კი ამგვარი გვერდები 6.000 ფურცელზე მეტია, რომელშიც განთავსებულია მხოლოდ განსაიდუმლოებული დოკუმენტები, რომლებიც დიდი გაცხრილვის შემდეგ შევიდნენ წიგნში. ამრიგად, ეს მხოლოდ ნაწილია იმ დოკუმენტებისა, რომელიც ბერიას მეშვეობით მიეწოდებოდა სტალინს.

ბევრ მათგანს საკმაოდ დამაინტრიგებელი სათაური აქვს. მაგალითად:

**"ლ.პ. ბერიაზე, ბ.ლ. ვანნიკოვზე, მ.გ. პერვუხინზე და ა.პ. ზავენიაგინზე მიცემული დავალება გერმანელ სპეციალისტებთან მუშაობის თაობაზე". 1946 წლის აგვისტო;**

**"ურანის მადნის თვითმფრინავიდან დაზვერვის სამუშაოების შესახებ", 1946 წლის აგვისტო;**

**"გეოფიზიკური კომპლექსური ექსპედიციის მუშაობის შედეგების შესახებ", 1946 წლის ოქტომბერი;**

**"საქსონიაში (საბჭოთა კავშირის ჯარების მიერ ოკუპირებულ გერმანიის ტერიტორიაზე) ბისმუტისა და კობალტის მადნის მოპოვების შესახებ", 1946 წლის ოქტომბერი;**

**"საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ძალების ბაზაზე აფინაჟის ქარხნის მშენებლობის შესახებ", 1947 წლის აგვისტო;**

**"ბერიასადმი მიწერილი ვ.ა. მახნევის ბარათი 20 წლის განმავლობაში ატომური ენერგიის გამოყენების გენერალური გეგმის შემუშავების შესახებ", 1947 წლის სექტემბერი;**

**"სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ბიოლოგიურ ქვეგანყოფილებასთან რადიოლოგიური კაბინეტის შექმნის შესახებ", 1947 წლის ოქტომბერი;**

**"ს.ი. ვავილოვის მიერ ბერიასადმი გაგზავნილი მოხსენებითი ბარათი კოსმოსური სხივების გამოკვლევის შედეგების პუბლიკაციის შესახებ", 1948 წლის თებერვალი...**

და ა.შ. და ა.შ...

ახლა კი, რადგან გადავწყიტე მკითხველის გადაღლა, ბოლომდე მივიყვან ამ საქმეს!

ახლა უკვე არა შერჩევით, არამედ მკითხველს დაზუსტებით და უკლებლივ ვაუწყებ იმ წერილთა სათაურებს, რომლებსაც კურჩატოვი, ვანნიკოვი და პერვუხინი უგზავნიდნენ სტალინს 1945-1946 წლებში ატომური ენერგიის გამოყენების თაობაზე:

**ურანის ნედლეულის ბაზა**

ურანის საბადოები საბჭოთა კავშირში

ურანის საბადოები საზღვარგარეთ

ურანის მადნის მოპოვების ღონისძიებები

სუფთა მეტალური ურანის მიღება

თორიუმი

**ურან-გრაფიტის ქვაბის მუშაობის შესახებ**

ურანის ბლოკების კოროზიისაგან დაცვის სამუშაოები

წმინდა გრაფიტის დამზადება

წმინდა გრაფიტის მიღების სამუშაოები

საცდელი სტენდის გამოყენებით პროექტის ჰიდროდინამიკური საკითხების შესწავლა

იმ მასალების კოროზიაგამძლეობის შესწავლა, რომელიც გამოიყენება ურან-გრაფიტის ქვაბის დასამზადებლად და მისი უნარი, შეაკავოს დასხივება

ქვაბიდან პროდუქტის ტრანსპორტირება

წყალგამწმენდი ნაგებობის დაპროექტება

ქვაბის სიმძლავრის დარეგულირება

ქვაბიდან პლუტონის გამოყოფა

№817 ქარხნის (მკითხველს ვთხოვ, დაიხსომოს ეს ნომერი) და ურან-გრაფიტის ქვაბის მშენებლობა

**იზოტოპების დიფუზიური მეთოდით დაშლა**

იზოტოპების დეფუზიური დაშლის მეთოდი

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის №2 ლაბორატორიის მუშაობა დიფუზიური მეთოდებისადმი ორგანიზაციების მიზიდვის შესახებ

დამშლელი ქარხნის ძირითადი ელემენტები

ნედლეული – ექვსფტორიანი ურანი

ფილტრების პრობლემა

კომპრესორები, შეჭირხვნა და შეზეთვა

გორკის მოსკოვის სახელობის ქარხნის მუშაობა

საზეთი და ჩამკეტი სითხეები

მსუბუქი იზოტოპების გამდიდრების ანალიზი

პროცესების ავტომატური რეგულირება

**IV იზოტოპების გახლეჩის ელექტრომაგნიტური მეთოდი და ელექტრომაგნიტური დანადგარები**

ძირითადი ამოცანები

მეთოდების შემუშავებაში მონაწილე ინსტიტუტები, საკონსტრუქტორო ბიუროები და ლაბორატორიები და მათი ამოცანები

გათვლების ახალი მეთოდების შემუშავება

№2 ლაბორატორიის №5 სექტორის მუშაობა

ლენინგრადის ფიზიკო-ტექნიკური ინსტიტუტის №1 სექტორის მუშაობა

ქარხანა **"ელექტროძალის"** საკონსტრუქტორო ბიუროს მუშაობა

ცენტრალური ვაკუუმური ლაბორატორიის მუშაობა

ბირთვული ფიზიკის განვითარებისათვის აუცილებელი ახალი დანადგარები

ვაკუუმური საწარმოების ორგანიზაციის აუცილებლობა

**V მძიმე წყლის წარმოების სამუშაოები**

მძიმე წყლის დანიშნულება

სამეცნიერო კვლევითი და სხვა დაწესებულებები, რომლებიც მუშაობენ მძიმე წყლის მიღებაზე

მძიმე წყლის მისაღები მეთოდები

ელექტროლიზის მეთოდით წყლის მიღება

ჩირჩინსკის ელექტრომექანიკურ კომბინატში მძიმე წყლის საბოლოო კონცენტრირებისათვის აუცილებელი დანადგარების მონტაჟი

ელექტროლიზის ახალი ქარხნების მშენებლობა

წყლის იზოტოპური ცვლის ელექტროლიზი

მოსკოვის ელექტროლიზის ქარხანა

წყლის დისტილიზირების გზით მძიმე წყლის მიღება.

აზოტ-წყალბადისაგან მიღებული წყლის რექტიფიკაციის გზით მძიმე წყლის მიღების მეთოდი

ამიაკის დისტილირების მეთოდით მძიმე წყლის მიღება

კარპოვის სახელობის ფიზიკო-ქიმიური ინსტიტუტი

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკური პრობლემების ინსტიტუტი

**VI. სსრკ მეცნიერებათა აკადემიის №2 ლაბორატორიასთან არსებული №11 საკონსტრუქტორო ბიუროს მიერ ჩატარებული სამუშაოს შესახებ**

სამუშაოთა განთავსება,

სამუშაოთა მდგომარეობა

ჩვეულებრივი ასაფეთქებელი ნივთიერებების მუხტის შემადგენელი ელემენტების დამუშავება

მეტალის აფეთქებით გამოწვეული შეკუმშვის პროცესების მეთოდიკის კვლევა

დეტონატორის ამფეთქებელი მაღალი ძაბვის დანადგარის შექმნა

ატომური ბომბის კორპუსის კონსტრუქციია შემუშავება

ორივე ლულიდან ერთდროულად გასროლის შემუშავება

ამფეთქებლის შემუშავება, რომელიც გარკვეულ სიმაღლეზე ამოქმედდება

ნეიტრონის ამფეთქებლის შემუშავება

საანგარიშო-თეორიული სამუშაოები

**(გაგრძელება შემდეგ ნომერში)**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დაგვიანებული პასუხი ბატონ გულბათ ტორაძეს

ხომ ყველაფერი (მაღალი რანგის კეთილსინდისიერი, ჭეშმარიტი ენათმეცნიერების მიერ გამოხატული ერთგვარი შიშის, და მისი საფუძვლის, ჩათვლით) ნათელია, ბატონო გულბათ?

ამჯერად, აღსანიშნავია, რომ ნაშრომების ავტორებს მიღებული გვაქვს საყურადღებო გამოხმაურებები: ესპანეთიდან, აშშ-დან, შვეიცარიიდან, ინგლისიდან (ლონდონის უნივერსიტეტიდან), საფრანგეთიდან, გერმანიიდან, თურქეთიდან, ავსტრიიდან და ნორვეგიიდან (ამ ხუთი უკანასკნელიდან შინ გვეწვივნენ სპეციალისტები, ესპანეთიდან კი მიღებული გვაქვს მიწვევა).

ჩვენი ნაშრომების რეცენზენტ-შემფასებლების უბრალოდ ჩამოთვლაც შორს წაგვიყვანდა.

ამჯერად შემდეგ გარემოებაზეც:

რაც დიდად მნიშვნელოვანია, მრავლად არიან საპატიო რეცენზენტ-შემფასებლებიც. აი, რა უნდა მოგახსენოთ მათ შესახებ:

მართალია, საგნის სახელდებისა და ენის წარმოშობის შესახებ ძველთაგანვე წარმოშობილი თეორიები, მათ შორის, ბუნებითობის თეორია, და კერძოდ, ხმაბაძვითობის თეორია ენათმეცნიერების მიერ უარყოფილ იქნენ, მაგრამ მის შესახებ ფრიად საყურადღებო მოსაზრებები, ჰიპოთეზები და თეორიები აქვთ წამოყენებული შემდგომდროინდელი და ჩვენი ეპოქის ცნობილ ქართველ და უცხოელ მეცნიერებს, თვით მეცნიერებათა კორიფეებს, თუმცა, ენის წარმოშობის საკითხის შესწავლა მათ არ უწარმოებიათ, მის შესახებ შრომები არ წარმოუდგენიათ, ფრიად ფასეული მოსაზრებები მათ, და სხვებსაც, არ დაუმტკიცებიათ. ასეთ პირობებში, ზოგი მათგანი უარყოფილ იქნა, სხვები კი, მიწის წიაღში მიმარხული მარგალიტებივით (დაუმტკიცებლად და გამოუყენებლად), თვლემდნენ, აქამდე, საენათმეცნიერო ლიტერატურაში. აი, მათი ერთი ნაწილიც:

„სიტყვები ბუნების მიერ არის შექმნილი“ (ჰერაკლიტე, დაბად. დაახლ. 544-540 ძვ. წ.).

„შეიძლება ითქვას, ადამიანური მეტყველება იწყება დიფერენცირებული არტიკულაციით, რაც მხოლოდ თანხმოვნებისთვისაა დამახასიათებელი; თანხმოვნებია ზღვარს რომ დებს, ამ მხრივ, ცხოველებსა და ადამიანებს შორის, რადგანაც არც ერთ ძუძუმწოვარს არა აქვს არტიკულირებული წარმოთქმა, არა აქვს თანხმოვანი“... (გ. ახვლედიანი).

„ადამიანური ბგერები თავისი გენეზისით ცხოველური ბგერებია, ხმოვნურია. უმთავრესად სწორედ ხმოვნურია ზმუილი, ბღავილი, ღმუილი და ა.შ.“ ბიოლოგიურად პირველადია ხმოვანი, ხოლო სოციალურად თანხმოვანი“. „ცვლილებები აქვთ განცდილი ხმოვნებსაც, თავისი ასე ვთქვათ, „გასოციალურების“ გამო“. „თანხმოვანთა პირველადობის შესახებ სხვა კონტექსტში და სხვა საბუთიანობით დასვა საკითხი ვ. ა. დესნიცკაიამ (В. А. Десницкая, чередование гласных в германских языках, 1939)“ (გ. ახვლედიანი).

„ხმოვანი და თანხმოვანი განსხვავებული ბგერებია... განსხვავებულია მათი ისტორიული განვითარებაც და ჩვენი აზრით, მათ შორის ფიზიოლოგიური და სოციალური განსხვავების სათავე მათ გენეზისურ განსხვავებაშია“.

„ამ უკანასკნელი საკითხის დასმა და მით უმეტეს გადაჭრა ერთ-ერთი კარდინალური საკითხთაგანია, მეტყველების წარმოშობის საკითხთა რიგში. მეტიც შეიძლება ითქვას: სამეტყველო ბგერათა წარმოშობის საკითხის გადაჭრას შეუძლია გადამწყვეტი სიტყვა თქვას საერთოდ მეტყველების წარმოშობის საკითხში, რადგანაც არაფერი ენობრივი არაა ისეთი საერთო რამ ყველა ენისათვის, როგორც ფიზიკურ-ბიოლოგიური ბგერის გამოყენება სამეტყველო მასალად“. „არათუ გრამატიკული ფორმა, რომლითაც ენები ერთმანეთისაგან ძლიერადაა განსხვავებული, არამედ თვით სიტყვის მნიშვნელობაც არ შეიძლება ჩაითვალოს იმდენად სპეციფიკურ მოვლენად ბგერითი მეტყველებისათვის, როგორც ფიზიკურ-ბიოლოგიური ბგერის გამოყენება სამეტყველო მასალად“ (გ. ახვლედიანი).

„...თანხმოვნები წარმოადგენენ სიტყვის ნივთიერი მნიშვნელობის მატარებელ ნაწილს, ხოლო ხმოვნები — გრამატიკული მნიშვნელობის მატარებელ ნაწილს“ (გ. ახვლედიანი).

„...თანხმოვნებს მინიჭებული აქვთ უნარი დროისა და ადგილის განუსაზღვრელად გამოხატონ იდეები და გაგებანი, ესენია ბგერები იდეამტარებლები, ხოლო ხმოვნები, პირიქით, ფლობენ უნარს შემოსაზღვრონ იდეის უსასრულობა დროისა და ადგილის მიხედვით. ესენია ბგერები საზღვარდამდებნი“ (ი. ყიფშიძე).

„იმ ძველ ეპოქაში, ცხადია, არ იყო გარჩევა ზმნისა სახელისაგან, როგორც ეს თანამედროვე ენაში გვაქვს. მაშინ არც ზმნა არ იყო, არც სახელი, იყო მხოლოდ ბგერათა კომპლექსები, რომელთაც თავთავისი დანიშნულება ჰქონდათ“ (არნ. ჩიქობავა).

„სიტყვის მნიშვნელობა მდგომარეობს მიმართებაში სათანადო საგანზე, მოვლენაზე“.

„ენათმეცნიერებაში ეტიმოლოგია ნიშნავს სიტყვის ფუძეში ჩაქსოვილი წარმოდგენის ამოშიფრვას ანდა, სხვანაირად რომ ვთქვათ, იმ დახასიათების მიგნებას, რომლის საფუძველზეც საგანს (თუ სხვა ობიექტურ მონაცემს) სახელი დაერქვა“ (არნ. ჩიქობავა).

„შეუძლებელია მოცემულ იქნეს სიტყვის სწორი ეტიმოლოგია სიტყვის სწორი ანალიზის გარეშე: უნდა ვიცოდეთ, რა არის სიტყვის მარტივი ფუძე და რა წარმოადგენს აფიქსებს. აფიქსები შეიძლება შეეზარდოს ფუძეს, შესაძლოა აფიქსისა და მარტივი ფუძის შემადგენლობამ ფონეტიკური პროცესების წყალობით განიცადოს ცვლილება — ან დაეკარგოს ბგერა, ანდა ჩაერთოს ახალი: განსაკუთრებით ადვილდება ეს მას შემდეგ, რაც „ჩაქრება“ ფუძეში ჩაქსოვილი წარმოდგენა და მანამდის ცოცხალი სახის შემცველი ფუძე უტყვ პირობით ნიშნად იქცევა. სიტყვის სწორი ანალიზის გარეშე ეტიმოლოგიის საკითხის სწორად გადაჭრა შეუძლებელია; ეს თავისთავად ცხადი გახდება, თუ მოვიგონებთ, რომ ეტიმოლოგია მარტივ ფუძეში მოცემულ დახასიათებას ეძიებს, ფუძის გამოყოფა კი სიტყვის სწორ ანალიზზეა დამოკიდებული. „სიტყვის სწორი ანალიზის წინაპირობაა სიტყვის ბგერითს შემადგენლობაში მომხდარ ცვლილებათა ზუსტი აღრიცხვა, რაც დიდად უწყობს ხელს უტყვი ფუძის ამეტყველებას“ (არნ. ჩიქობავა).

„ეტიმოლოგიური ანალიზის ძირითადი წესი მოითხოვს: სიტყვა სწორად დავშალოთ და დაშლისას გამოყოფილი ყველა ნაწილი ავხსნათ, გავააზრიანოთ“ (არნ. ჩიქობავა).

„აფიქსთა უმეტესობა ისეთ დროს არის წარმოქმნილი, რომ ისტორიული დოკუმენტური ძიება მათ ვერ სწვდება“ (არნ. ჩიქობავა).

„მაშინ როდესაც აფიქსები ჯერ კიდევ არ არსებობდა, ენაში მხოლოდ ფუძეები“, ზუსტად რომ ვთქვათ, ახლანდელი ფუძისმაგვარი ერთეულებიღა უნდა გვქონოდა.“ „ანალოგიურ დასკვნამდის მივიდა შედარებითი გრამატიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი ფრანც ბოპი“ (არნ. ჩიქობავა).

„უძველესი ინდოევროპული ვოკალიზმი დაიყვანება ერთ ხმოვნამდე (ც ტიპისა)...“ (ჰ. ხირდტი, ა. ვალდე, ი. პოკორნი).

„ნებისმიერ ენაში ფიქსირებული მონაცემები შეიძლება დაგვეხმაროს არა მხოლოდ მოცემული კონკრეტული ენის წარსული სურათის, მისი თავგადასავლის კვლევაძიება-წარმოჩენაში, არამედ საერთოდ (ზოგადად) ენის ისტორიის კვლევა-ძიებაში“ (არნ. ჩიქობავა).

„სიტყვა შემთხვევით კი არ უკავშირდება ობიექტს, და მაშასადამე, შემთხვევით კი არ იღებს სახელდების ფუნქციას თავის თავზე, არამედ სიტყვისა და ობიექტის წარმოდგენითი მიმართების შესაფერისობას ემყარება, რომელშიც სიტყვისა და ობიექტის მნიშვნელობა ერთმანეთს ხვდება“ (დ. უზნაძე).

„ყოველი საგნის სახელი ჩაფერფლილ ვულკანსა გავს, მიჩქმალულია და იდუმალი მისი შინაგანი ძალა ვიდრე ჟამის მოღწევამდის“ (კ. გამსახურდია).

„პოეტური ჰარმონიის, თვით პოეზიის საიდუმლო, ჩანს, ბგერისა და მნიშვნელობის იდუმალ კავშირში ძევს“ (ჯ. ბონფანტე).

„საგნის სახელდების ბუნებითობის თეორიას, რომელიც შეიქმნა ანტიკურ პერიოდში, და რომელიც თითქმის ერთსულოვნად უარყოფილია ამ უკანასკნელ დროს, გააჩნია თავისი რეალური საფუძველი“.

„საგნის სახელდებაში განსხვავებულობის მიზეზს შეადგენს არა არამოტივირებულობა, არამედ სახელდების პრინციპში არსებული განსხვავებანი“ (ზ. ჯორბენაძე).

„ენის წარმოშობის პრობლემა ისევე ძველია, როგორც ენა“...

„...მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ამ თვალსაზრისით ენათმეცნიერებაში ყველაფერი გადაწყვეტილია, რომ გვაქვს მეცნიერულად დასაბუთებელი და მიღებული თეორია“.

„გულუბრყვილო და გასართობი თეორია მრავლად მოგვეპოვება, მათი მეცნიერული ღირებულებაა ფრიად საეჭვო“ (ზ. ჯორბენაძე).

„...თუმცა ენობრივი ნიშნის პირობითობის თეორია, თითქმის უფრო გავრცელებულია (განსაკუთრებით ენის, როგორც სემიოტიკური სისტემის დროს), მიუხედავად ამისა, აზრი იმის შესახებ, რომ საგანს სახელი ბუნების შესაბამისად აქვს შერქმეული, სულ უფრო მეტ დასაბუთებას პოულობს ამ ბოლო ხანებში, რაც, რასაკვირველია, არ გამორიცხავს გარკვეული პირობითობის ფაქტორსაც“ (ზ. ჯორბენაძე).

„ხმოვანს ჰქონდა ერთი დანიშნულება, მარცვლის შექმნა, თანხმოვანთა წარმოთქმის გასაადვილებლად“ (ზ. ჯორბენაძე).

„...ხმოვნის მიმართ ივარაუდება: მცირე რაოდენობიდან მრავლისკენ: ამოსავალია მონოვოკალიზმი. მრავალხმიანობა მეორეულია, თანხმოვნებთან ურთიერთობის შედეგი. სხვა მდგომარეობაა თანხმოვნებთან: თანხმოვანთა სისტემა მარტივდება“ (ზ. ჯორბენაძე).

„ენა სამყაროში არსებული ბგერების დახვეწისა და აბსტრაგირების შედეგადაა მიღებული“ (ზ. ჯორბენაძე).

„ენა მუსიკალური სტიქიონის ცნობიერი გამოცხადებაა და არა მარტოოდენ ნიშანთა სისტემა. ენა შეითავსებს რაციონალურ და ირაციონალურ საწყისებს“ (ზ. გამსახურდია).

„აღნიშულ და ანალოგიურ მოსაზრებებს, დებულებებსა და თეორიებს, უკლებლივ, სავსებით ასაბუთებენ წინამდებარე ნაშრომში (შვიდტომეულში) და მის წინამავალ და ფუძემდებლურ ნაშრომებში წარმოდგენილი ცოცხალი ენობრივი მონაცემები, ჩვენმიერ შემუშავებული დებულებები და დასკვნები. მათს ჭეშმარიტებასა და მეცნიერულობაში ეჭვის შეტანა ყოვლად შეუძლებელია, ისევე როგორც შეუძლებელია ეჭვის შეტანა დასახელებული საყოველთაოდ ცნობილი ავტორებისა და ენათმეცნიერების კორიფეების მეცნიერულობაში. ამიტომაც, ჩვენდა საბედნიეროდ, ზემოთ დასახელებულ და სხვა ცნობილ ლინგვისტებს, ჭეშმარიტად დიდ მეცნიერებს, ვინც ენობრივი ნიშნის ბუნებითობის თეორიას აღიარებენ და აღნიშნულ და ანალოგიურ მოსაზრებებს, დებულებებსა თუ თეორიებს წარმოგვიდგენენ, ჩვენ, დიდის მოკრძალებით, სავსებით საფუძვლიანად, ჩვენი წინამდებარე და სხვა ნაშრომების საპატიო რეცენზენტებად მივიჩნევთ (დასახ. შვიდტომეული, ტ. VII. გვ.. 667).

აი, ვინ არიან, ბატონო გულბათ, სინამდვილეში, ჩვენი შვიდტომეულისა და სხვა ნაშრომების საპატიო ჭეშმარიტი რეცენზენტ-შემფასებლები, თანამედროვე ცოცხალ კეთილსინდისიერ ჭეშმარიტ მეცნიერებთან ერთად. ჩვენც გვირჩევნია, გვიფასებდნენ და გვიქებდნენ ჩვენს ნაღვაწს ასეთები, და არ გვიფასებდნენ, არ გვიქებდნენ ან სულაც გვიძაგებდნენ მათ, არაასეთები, ანუ ცალკეული კვაზიმეცნიერები.

ჩვენ, ჩვენი ნაშრომებით წარმოვაჩინეთ ენის წარმოშობის ჭეშმარიტი საფუძვლები, რითაც, ამავე დროს, გავაბათილეთ ენის წარმოშობის საკითხის შესწავლის შეუძლებლობისა და სხვათა შესახებ ენათმეცნიერებაში გაბატონებული არასწორი შეხედულებები, ანუ ბლეფი... და თუ ვინმეს, ეს, ბლეფი (უსწორო, მოგონილი) ჰგონია, ეს მისი პიროვნული პრობლემაა.

აქ უნებლიედ მახსენდება, ჯერ კიდევ 23 წლის წინ, ენათმენიერების ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკის, „მეგრულ-ჭანური ენების საუკეთესო სპეციალისტის“,— როგორც მას ახასიათებდნენ,— ქალბატონ ირინა ასათიანის სიტყვები: „ნეტავი გააცოცხლა ახლა, თუნდაც ორი-სამი თვით, აკადემიკოსი არნოლდ ჩიქობავა! რომ იცოდეთ, ბატონო მამანტი, რა ბედნიერი იქნებოდით მაშინ!..“ მართალია, არნოლდ ჩიქობავა დღეს ცოცხალი არ არის, მაგრამ არიან მისი და მისნაირი მეცნიერული სინდისის მქონე ჭეშმარიტი მეცნიერების იდეებზე აღზრდილი სპეციალისტები, რომლებიც ჩვენს ნაშრომებს ჯეროვნად აფასებენ, რაზეც ზემოაღნიშნული ნათლად მეტყველებს.

აქ, ერთი თანამედროვე სპეციალისტის ასეთი გამონათქვამიც გამახსენდა: „ძალიან მინდა დავწერო ამ შვიდტომეულის რეცენზია, მაგრამ სამსახურში მისვლა არ გინდა, მერე!..“

აკადემიკოსი არნოლდ ჩიქობავა და ჩვენი ნაშრომების სხვა საპატიო რეცენზენტ-შემფასებლები დღესაც ცოცხალნი არიან და მუდამ იცოცხლებენ თავიანთი ჭეშმარიტი მეცნიერული თვალთახედვებით, რაც ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილი მათი მოსაზრებებითაც ცხადია. მაგრამ მეეჭვება, ასევე მოხდეს იმ „მეცნიერების“ შემთხვევაში, რომლებიც ყოველნაირად ცდილობენ „დაამტკიცონ“, რომ ქართველური ენები არ არსებობენ. თუმცა ამას რა ენათმეცნიერული ცოდნა სჭირდება: მეგრული, ლაზური და სვანური რომ ენები არ იყვნენ და ქართულის ისეთივე დიალექტები იყვნენ, როგორიცაა ქართლური, კახური, გურული და სხვა, განა შეიძლება, შედგენილ იქნას მეგრულ-ქართული, სვანურ-ქართული, ლაზურ-ქართული, სვანურ-მეგრული და მისთანა ლექსიკონები, და რატომ არ შეიძლება ქართულ-ქართლური, კახურ-ქართული, კახურ-გურული და მისთანა ლექსიკონების შედგენა? ანდა, რატომ ითარგმნება მეგრული, ლაზური და სვანური ქართულად და ასევე რატომ არ ითარგმნება ქართლური, კახური, გურული და სხვანი? რატომ შეიძლება დაიწეროს ლექსები და შესრულდეს სიმღერები სვანურ, მეგრულ და ლაზურ ენებზე, და არ შეიძლება იგივე, გურულ, კახურ, ქართლურ და სხვა დიალექტებზე? რატომ სჭირდება შესწავლა ქართულისა მეგრელს, ლაზს, სვანს და არ სჭირდება იგი ქართლელს, კახელს, იმერელს და სხვებს?

მკითხველისთვის უთუოდ ნათელია, თუ ვის შეიძლება არ აწყობდეს ჩვენი ნაშრომების აღიარება, ვინ შეიძლება გამოდიოდეს „სირაქლემას პოზიციაში“, ვინ შეიძლება მას „ბლეფს“ უწოდებდეს და ა. შ.

ღმერთო ჩემო, როდის განიკურნებიან, ზოგიერთები, მეგრელთმოძულეობის სენისაგან?!. როდემდე უნდა შეეწიროს საუკეთესო ეროვნული ფასეულობანი ამ სენს?!.

მართლაც, რა ბრძნული ანდაზები გვაქვს ქართველებს: „კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდაო...“, „კუმ ფეხი გამოჰყოო...“, „ისეთმა ფურმა დამწიხლოსო...“

რას ვიზამთ, როცა აზრის კონსერვატიზმის ტყვეობაში მყოფი ზოგი ძალად ენათმეცნიერი, რომელსაც მეცნიერული ნაღვაწით არასდროს გამოუჩენია თავი, ქათამივით თუ იქცევა,— კვერცხს რომ დადებს და ქვეყანას იკლებს კაკანით, თითქოსდა დედამიწა დაედოს; ამ დროს კი, მას არ სურს დაინახოს სხვისი, მართლაცდა დიდმნიშვნელოვანი ნაღვაწი, ანდა სულაც არ ძალუძს მისი დანახვა. მაგრამ, ღმერთია ყველას განმსჯელი.

„მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვათწარმომავლობა“, შარშან, ოთხმა სამეცნიერო აკადემიამ წარადგინა შ. რუსთაველის სახელობის პრემიაზე (სულელები იყვნენ?). შედეგად, ასეთი სიტყვიერი პასუხი მივიღეთ: „ძალიან მოიწონეს, მაგრამ, კონკურსზე ვერ გავიდა“.

მამანტი ძაძამია

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

## ავე მარია

მთვარე ნამტირალ უპეებს იშრობს,
ხეების მიღმა ისევ ქარია,
მცივა ძვირფასო, იმაზე ვშიშობ,
რომ ვერ გადიდო ავე მარია!!!

თუ კი ცრემლები სინანულს იწვევს,
გულში წუხილის დიდი ღარია,
ლექსი მოყვება აპრილის წვიმებს,
რომ შენ გადიდოს ავე მარია!!!

თუ კი დაიტევს სამყაროს სტროფი,
მაშ რაღას იზამს მთელი არია?
შემართულია პაოლოს თოფი!
არ დაგვაობლო ავე მარია!!!

სად დაიკარგა ძვირფასო ტიტე?!
სხვა პოეტები საით არიან?!
ნუ გაიმეტებ ლექსების გვრიტებს,
ნუ გაიმეტებ ავე მარია!!!

ისევ აუდის ბოლი ტრამალებს,
სიტყვების მიღმა ისევ ქარია,
უწინდელივით ახლაც მანაღვლებს,
რომ ვერ გადიდო ავე მარია!!!

უკვე დაწერილს წაკითხვა თენთავს,
გულში წუხილის დიდი ბზარია,
დიდება შენდა!!! დიდება შენდა!!!
დიდება შენდა!!! ავე მარია!!!

გ.გობეჩია

# სამეგრელო დავით დადიანის დროს

*ჩვენს მკითხველებს ვთავაზობთ ნაწყვეტებს ცნობილი ქართველი მწერლისა და მეცნიერის იონა მეუნარგიას 1939 წელს გამოცემული წიგნიდან "სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი და დავით დადიანი" (ავტორისეული სტილისტიკა შენარჩუნებულია).*

## დავითის საქმეთა აღნუსხვა. სხვა და სხვა მოგონებანი.

სასახლის გვერდით არის აშენებული ეკლესია აგებული მთავრის კაცია II დადიანისაგან 1782 წელს. ეკლესიის ერთსა და ერთს სვეტზე ამოჭრილია მისის ბრძანებით შემდეგი წარწერა:

ქრისტეს დედავ,
მცირე წვლილს ვბედავ
შენს სახლად იძღვენ ეს ეკლესია,
შენს მიერ შენდა
გძღვნობ ვით შეგშვენდა,
ჩემზე მხედველ ყავ ჩემი მესია,
მე დადიანმან
შენგან მოსავმან
კაციამ გიგე სახლი ესია
და მეუღლით და ძით
მნათობდა მბაძით
მრჩობლ სუფევა გვეც უმჯობესია

ეკლესიას გარედამ სპონდიოს ქვა აქვს შემოვლებული. ეს ქვა, როგორც მითხრეს, აბაშის წყალ-ვარდნილიდამ არის მოტანილი. ლევან დადიანის დროს ამ ეკლესიას წინიდამ სამრეკლო მიაშენეს.

## სასახლის წყობილება, აღდგომის დღესასწაულის გადახდა

დავით დადიანს თავის სასახლეში უნდოდა შემოეღო ევროპული წესები, ის წესები, რომელიც უნახავს თბილისსა და პეტერბურგში.

მოუხსენებლად ვერავინ შევიდოდა მასთან.

მოუწვევლად ვერავინ დაჯდებოდა მის სუფრაზე, თვით ახლობელნიცა.

მთავრად ყოფნის დროს სადილად იწვევდა ის: მდივანბეგებს, მაზრის უფროსებს და ხანშიშესულ თავად-აზნაურებს.

ხანდახან კი სასახლის ერს თავის მთავრობას აგრძნობინებდა.

თავადმა **გრიგოლ გურიელმა** მიამბო: ერთხელ **გიორგი ჩიჩუა** და მე მივედით ერთად სასახლეში. სადილობის დროს მთავარმა თავის სუფრაზე მე მიმიწვია და გიორგი ჩიჩუა არა. მე ეს გამიკვირდა, რადგანაც ვიცოდი, რომ გიორგი ჩიჩუა პირველი თავადიშვილი იყო სამეგრელოში და ჩემი გაკვირვება მთავარს გავუზიარე.

– რა გენაღვლებაო,– ბრძანა თავადმა.

ამ დღეს, დასძინა გურიელმა, ივანე ჩიქვანიც სასახლეში იყო და იმასაც ცალკე სუფრა დაუდგესო.

სასახლეში მთავარს საკუთარი მხლებლები – **კანვოი** – რიგის კაცები ჰყავდა, დამბაჩით და ლეკურით შეიარაღებული. ამათი უფროსი იყო **გრიგოლ ტარიელის ძე დადიანი**. საღამოს მოხსენდებოდა ამას მეორე დღეს ვინ უნდა ყოფილიყო სასახლეში **"დეჟურნად"** და იმას წინა-საღამოს შეატყობინებდნენ, რომ მეორე დილას ალიონზე სასახლეში ყოფილიყო. რიგის კაცები იყვნენ: პეტრე მხეიძე, გიორგი გელოვანი, თეიმურაზ ახვლედიანი, ხოსია ჩიქვანი, არჩილ ფაღავა, დუტუ ბატონიშვილი, გრიგოლ დგებუაძე, გახუ ფაღავა, სოლომონ ფაღავა. **"დეჟურნები"** გაჩერებული იყვნენ სასახლის ზალაში, ან აივანზე. თუ ვინმე მთხოვნელი მოვიდოდა, ესენი დაუხვდებოდნენ, თხოვნას ჩამოართმევდნენ და ბატონს მიართმევდნენ. თუ სადმე მთავარი წაბრძანდებოდა, ესენი თან ახლდნენ ცხენით თუ ფეხით.

დავით დადიანის სასახლის ამალაში, როგორც ძველად, გამოულეველნი იყვნენ ხუმარანი.

პირველი ადგილი ამათში ეჭირა ერთ ჯუჯას, რომელსაც ივან იაკოვლევიჩს ეძახდნენ. ეს კაცი რომელიღაც ეგზარქოსს ჩამოეყვანა თბილისში სარატოვიდამ და ეგზარქოსისათვის დავით დადიანს გამოერთმია. 35 წლის კაცი, ტანით პატარა, იმ ზომამდის პატარა, რომ როდესაც უნაგირზე შესვამდნენ იმას უზანგის სიგრძე 5-6 ვერშოკზე უნდა დაეყენებიათ, პირტიტველი ივან იაკოვლევიჩი სულ ბალღსა გავდა და აკვირვებდა კაცს, როცა მუსაიფში გაერეოდა და ლაპარაკობდა, როგორც ხანში შესული კაცი. ივან იაკოვლევიჩი მუდამ მთავრის ოჯახში იყო, მთავრის სუფრაზე იჯდა, მთავრის მიღების ცერემონიების მონაწილე იყო.

ხუმარა ივანე ტარიელის-ძე ქართველთაგანი, ხუმარა ხერგიანი – სვანი, სულ მუდამ ართობდნენ დარბაზის ერს.

ხშირი სტუმარი იყვნენ სასახლეში: ხუმარა ნიკო ჩარკვიანი, ხუმარა გლახუა მიქელაძე.

უკანასკნელის მოსწრებულ სიტყვად გამიგონია:

მარტვილს მიბრძანდებოდა აფხაზეთის მთავარი – მიხეილ შარვაშიძე. ჭყონდიდელმა იმის შესაგებებლად გაგზავნა რამდენიმე წარჩინებული პირები და მათ შორის გლახუა მიქელაძე, რომელიც თურმე ვერ იჯდა მთლად კარგს ცხენ-უნაგირზე.

– გლახუა, ამისთანა კარგი უნაგირი სად გიშოვია? – კითხა დამცინავად მთავარმა მიქელაძეს.

– ბატონო, ბაბუა თქვენი რუხის ომიდამ გაქცეული რომ მირბოდა, მეფე სოლომონი ამ უნაგირზე იჯდა და ისე მისდევდაო, უპასუხა გლახუამ.

სასახლის მოსამსახურეთ-უხუცესი იყო თავადი ივანე ჩიქვანი. იმის ხელქვეით იყვნენ:

უფროსი მოლარე ბეჟუკი დევდარიანი,

უფროსი მეღვინე ბერუკელა კუხალეიშვილი,

მებაღე ავსტრიელი ჟოზეფი.

მზარეული ფრანცუზი სოლომონი.

– ჩემი მზარეული როგორ მოგწონს? – ჰკითხა ერთხელ მთავარმა მსაჯულთ-უხუცესს როსთო ჩიქოვანს, – დახე, რა რბილი ხორცია, თითონ ადნება კბილზე.

– სწორედ ამიტომაც მგონია, ბატონო მთავარო, რომ თქვენი მზარეული **ყარს-**იდამ უნდა იყოს მოსულიო, – უპასუხა ჩიქვანმა.

უფროსი ქეშიკი – ჩაგუნავა.

ერთი, დავითის წერილი, მიწერილი გრიგოლ დადიანთან მემკვიდრეობის დროს, იხსენიებს თავქეშიკად ამ ჩაგუნავას. **"ჩაგუნავა მომკვდარა უეცრად, ძალიან დამაკლდა საწყალი და ძალიანაც ვწუხვარ მის სიკვდილს, შენ ნუ მომიკვდე, მართლაც ჩინებული მცველი იყო და ვაპირებდი ოცდაოთხ კაცს მის ხელთ ქვეშ ქეშიკებად დაზრდას, ის უცხოდ დაზრდიდა, ამ გვარობაშიდ ნამდვილად ჩინებული იყო"** – წერს მემკვიდრე თავის ძმას.

მოსამსახურეების და საზოგადოდ დარბაზის ერის კეთილ-ზნეობას დავით დადიანი ყოველთვის დიდს ყურადღებას აქცევდა.

ერთხელ, აღდგომის წინადღეს დავითმა თვალი მოჰკრა, რომ ერთი ვიღაც ჯგუშია ძლიერ ახლო და გულსმოდგინედ ეარშიყებოდა სასახლეში მყოფს ერთს ყმაწვილ ქალს. ეს რომ მთავარმა დაინახა, მოატანინა წკნელი, გააწვინა არშიყი ყმაწვილი იატაკზე და გაროზგა. ეს შეურაცხყოფა ვერ აიტანა თავმომწონე ყმაწვილმა და იმ დროს, როცა ზარის ხმა იწვევდა ხალხს გაბრწყინვებულს ეკლესიაში, ჯგუშიამ დაიდვა შუბლზე დამბაჩა და თავი მოიკლა.

მრუშობის გიებას დავით დადიანი არა შემთხვევაში არ დარიდებია.

როცა ლევან დადიანი გაასვენეს, ზუგდიდიდამ, სამგლოვიარო პროცესიას თმა გაშლილად და ჩვეულებრივის ტირილით და მოთქმით მისდევდა დავით დადიანის მახლობლად მართა დედოფლის პირისფარეში ედემყვავილისა. **"შენ მიდიხარ, ბატონო, მაგრამ მე უბედურმა რა ვქნა, მე ვის მიტოვებ"**, მოსთქვამდა ის და ეს მოთქმა არ თავდებოდა, **"მე ვის მიტოვებ, ბატონო, მე ვის მიტოვებ, ბატონო, მე ვის მიტოვებ, ბატონო"**. მთავარი ამაზე გაგულისდა, მიუბრუნდა იმას და თავისებურის წვრილის ხმით უთხრა პასუხად: **"გიორგი ჩიქვანს, გიორგი ჩიქვანს"**. თურმე ედემყვავილს სწამობდნენ გიორგი ჩიქვანთან კარგ განწყობილებას და ეს მთავარსაც სცოდნია.

(გაგრძელება იქნება)



## კახი კალაძე გიორგი დემეტრაძის განთავისუფლებას ითხოვს

საქართველოს ეროვნული ნაკრების კაპიტანი კახი კალაძე გიორგი დემეტრაძის პატიმრობიდან გათავისუფლებას ითხოვს. კალაძემ აღნიშნულის შესახებ ერთ-ერთ სოციალურ ქსელზე განცხადება გაავრცელა, სადაც ფეხბურთელი წერს, რომ საზოგადოებამ ხელისუფლებას მეტი უნდა მოსთხოვონ. **„ვფიქრობ, დგება დრო, როდესაც უფრო მეტი უნდა მოვთხოვოთ ხელისუფალთ, მეტი გამჭვირვალობა. დემოკრატიის შუქურად წოდებულმა ქვეყანამ უკანასკნელ წლებში აშკარა რეგრესი განიცადა“**, – წერს კალაძე. ფეხბურთელი იმასაც აცხადებს, რომ ოცდამეერთე საუკუნეში ადამიანებს საუბარი კოდირებულად, ფარულად არ უნდა უხდებოდეთ. **„არსებობს შიშის სტერეოტიპი, რომელიც დასამსხვრევია და ის პირველ რიგში თითოეულმა ჩვენგანმა შინაგანად, თავის თავში უნდა გაანადგუროს“**,– ნათქვამია განცხადებაში. – **„მთელი ცხოვრება ვიბრძოდი ჩემი ქვეყნისთვის, მინდორსა თუ მის გარეთ, არასოდეს შევშინებივარ სიძნელეებსა და გამოწვევებს. ყოველთვის მჯეროდა, რომ სამართლიანობა ადრე თუ გვიან იზეიმებდა, რომ ქვეყანაში კანონი იკანონებდა და არ იქნებოდა მისი ორმაგი სტანდარტებით გაგება და გამოყენება. თუმცა გუშინ რეფორმირებულმა ქართულმა სასამარ- თლომ, საზოგადოების გარკვეული ნაწილის აზრით, მორიგი ტესტი ვერ ჩააბარა. ჩვენი ქვეყნის ასობით ათასი მოქალაქის მსგავსად, მეც ვფიქრობ, რომ გიორგი დემეტრაძის საქმე თავიდან გადასახედია, შესასწავლია თითოეული დეტალი. აღნიშნულმა ვერდიქტმა საზოგადოების უნდობლობა დაიმსახურა“**, – წერს საფეხბურთო კლუბ **„ჯენოას“** ფეხბურ- თელი.

მისი თქმით, ადამიანების ბედით არ უნდა თამაშობდნენ.

**„გიორგის მეგობრებს უამრავი ადამიანი გვირეკავს, გვხვდება სხვადასხვა სახის მხარდამჭერი განცხადება სოციალურ ქსელში. სასამართლოს დასრულებამდე მქონდა მიზერული, მაგრამ მაინც, იმედი, რომ ქართული თემიდას სასწორი უდანაშაულოდ დაკავებული ადამიანის სასიკეთოდ გადაიხრებოდა, თუმცა ამაოდ“**, – ნათქვამია მიმართვაში.

კალაძე დემეტრაძის უდანაშაულობაში დარწმუნებულია.

**„მტკიცედ მჯერა, რომ გიორგი დემეტრაძე უდანაშაულოა და ჩვენ, მისი მეგობრები და მისი ნიჭის დამფასებელი მრავალათასიან გულშემატკივართა არმია ამ საქმეს ბოლომდე მივყვებით! სამართლიანობა გაიმარჯვებს“**, – წერს კახი კალაძე.

შეგახსენებთ, რომ ქართველ ფეხბურთელ გიორგი დემეტრაძეს საქალაქო სასამართლომ 8 წლით თავისუფლების აღკვეთა 23 მარტს მიუსაჯა.

ცნობილია, რომ დემეტრაძეს ბრალად ქურდულ სამყაროსთან კავშირი ედება. აღნიშნული პირი კრიმინალურ ავტორიტეტ ვატო ყიფიანთან ერთად ე.წ. ობშჩიაკის შესახებ მოლაპარაკებას აწარმოებდა.

## საარჩევნო მოლაპარაკებები შეფერხდა, მხარეები კი ერთმანეთს ბრალს სდებენ

„საარჩევნო რეფორმაზე მოლაპარაკებები **„მნიშვნელოვნად შეფერხდა“**, ვინაიდან ხელისუფლებამ უარი თქვა **„ოპოზიციური რვიანის“ „რაციონალურ და დასაბუთებულ“ წინადადებებზე“**, – განაცხადა რესპუბლიკური პარტიის ლიდერმა დავით უსუფაშვილმა.

დეპუტატმა მმართველი პარტიიდან პავლე კუბლაშვილმა მანამდე განაცხადა, რომ სწორედ ოპოზიციას და მის მიერ ერთობლივ განცხადებაში გამოყენებულ **„ულტიმატუმების ენას“** მიჰყავს მოლაპარაკებების პროცესი ჩაშლისკენ. მან ისიც აღნიშნა, რომ მმართველი პარტია მზად არის, განაგრძოს მოლაპარაკებები, თუმცა ულტიმატუმები **„მიუღებელია“**.

ტელეკომპანია **„მაესტროსთან“** ინტერვიუში უსუფაშვილმა განაცხადა, რომ რვა ოპოზიციური პარტია, რომლებიც მმართველ პარტიასთან საარჩევნო სისტემის რეფორმაზე მოლაპარაკებებს ერთიანი პოზიციიდან აწარმოებენ, არ აპირებს ამ პროცესიდან გამოსვლას.

მან, ასევე, განაცხადა, რომ ისინი მაშინვე დაუბრუნდებიან მოლაპარაკებების მაგიდას, როგორც კი მმართველი პარტია მოქნილ წინადადებებს წამოაყენებს, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელი იქნება ორმხრივი კომპრომისების გზით შეთანხმების მიღწევა. ოპოზიციამ უარყო მმართველი პარტიის საარჩევნო წინადადებები, მათ შორის ის, რომელიც ერთმანდატიან ოლქებში არჩეული მაჟორიტარი დეპუტატების რაოდენობის ზრდას ითვალისწინებდა.

უსუფაშვილმა განაცხადა, რომ ამგვარი წინადადებების შემოთავაზებით მმართველ პარტიას უთანხმოებების პროვოცირება სურდა ოპოზიციურ რვიანში იმ იმედით, რომ რამდენიმე პარტია მაშინვე დატოვებდა მოლაპარაკებებს.

**„ჩვენ მოვლენათა განვითარება ასეთი სცენარით გააზრებული გვქონდა,**– განაცხადა უსუფაშვილმა,– **ჩვენმა ხუთთვიანმა მუშაობამ ძალზე სერიოზული შედეგი გამოიღო; ხელისუფლება არის კუთხეში, დღეს ჩვენ ვერანაირ არგუმენტს ვერ გვეუბნებიან, გარდა იმისა, რომ, თურმე, ისტერიკა მოვაწყეთ... ის, რომ რვიანი ერთიანია, არის წარმატების ერთ-ერთი საწინდარი“.**

მან, ასევე, განაცხადა, რომ ერთობლივი განცხადების გამოქვეყნებით ოპოზიციურმა რვიანმა **„მნიშვნელოვანი გზავნილი“** მისცა ქართველ საზოგადოებას და საერთაშორისო თანამეგობრობას, რომ ან უნდა მოხდეს შეთანხმება საარჩევნო სისტემის რეფორმაზე, ან არ იქნება დემოკრატიული არჩევნები.

იმავე სატელევიზიო ინტერვიუში რესპუბლიკური პარტიის ლიდერმა გააკრიტიკა ის ოპოზიციური პარტიები, რომლებიც რევოლუციაზე საუბრობენ და მმართველ პარტიასთან მოლაპარაკებების წინააღმდეგ გამოდიან იმ მოტივით, რომ სამართლიანი არჩევნების ჩატარება მხოლოდ პრეზიდენტ სააკაშვილის გადაყენების შემდეგ იქნება შესაძლებელი.

**„ასეთი ვარდისფერი ზღაპრები ჩვენ საქართველოში უკვე რამდენჯერმე ვნახეთ,** – განაცხადა უსუფაშვილმა, – **საქართველოში ხელისუფლების დამამხობელი ჩაატარებს ისეთსავე არჩევნებს, როგორიც ჩაატარა მიხეილ სააკაშვილმა“.**

## ნანა ლეჟავა: თუ ხელისუფლება მხოლოდ ამქვეყნად გვატყუებდა, ახლა მისი სიცრუე იმ ქვეყანასაც სწვდება

ამას წინათ მიხეილ სააკაშვილი პოეტ მუხრან მაჭავარიანის მშობლიურ სოფელ არგვეთს ეწვია, სადაც ადგილობრივ მოსახლეობას ამცნო, რომ პოეტის უკანასკნელი სურვილი შეასრულა და სოფელს 24-საათიანი წყალმომარაგება ექნებოდა, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, სააკაშვილმა კიდევ ერთხელ იცრუა.

არგვეთში წყალთან დაკავშირებული ვითარების გასარკვევად ჟურნალისტები ჩავიდნენ, რომლებმაც იქ არსებული სიტუაცია ეთერში გააშუქეს.

**„როგორც აღმოჩნდა, თუ ხელისუფლება აქამდე მხოლოდ ამქვეყნად გვატყუებდა, ახლა მისი ტყუილი იმ ქვეყანასაც სწვდება“,** – განაცხადა ჟურნალისტმა ნანა ლეჟავამ, რაც ტელეარხების მიერ გადმოცემულ ინფორმაციას სრულად აბათილებს.

ტელეარხებით ხალხმა მიიღო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ პრეზიდენტმა ახალი წყალგაყვანილობის სისტემა შეამოწმა და რომ სისტემა კარგად მუშაობს, თუმცა, როგორც გაირკვა, ადგილზე ჩასულ სააკაშვილს მდინარე ყვირილადან სახანძრო მანქანებით ამოტუმბული წყალი დაალევინეს, რომელიც სიცოცხლისთვის არცთუ ისე უსაფრთხოა.

ადგილობრივთა განცხადებით, სააკაშვილთან შეხვედრაზე სპეციალურად შერჩეული ხალხი მიიყვანეს, არგვეთელები პრეზიდენტთან არც კი მიუშვეს – სამართალდამცველებმა ისინი ავტომანქანებში ჩასხეს და მანამდე **„დაასეირნებდნენ“**, ვიდრე ქვეყნის პირველმა პირმა ტერიტორია არ დატოვა.

აღნიშნულ საკითხზე კომენტარი საჩხერის გამგებელმა ზურაბ ცერცვაძემაც გააკეთა, რომელმაც უწყლობა უშუქობას დააბრალა და აღნიშნა, რომ შეფერხება დროებითია, თუმცა, როდესაც ჟურნალისტები მისგან ინტერვიუს იღებდნენ, სოფელ არგვეთს შუქი შეუფერხებლად მიეწოდებოდა.

ამასთან, გადაცემაში საჩხერეში გახსნილ საცურაო აუზზეცაა საუბარი, რომელიც პრეზიდენტმა სააკაშვილმა რაიონში ვიზიტისას გახსნა, სინამდვილეში კი აუზი ადგილობრივებს ბიზნესმენმა ბიძინა ივანიშვილმა აუშენა და ის სამი თვის წინათ გაიხსნა. ადგილობრივების თქმით, ეს მიხეილ სააკაშვილის მიერ დადგმული კიდევ ერთი მორიგი სპექტაკლი იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თუ სააკაშვილი ზეწოლას იგრძნობს, ყველაფერს გააკეთებს, რათა მოხდეს კიდევ ერთი ომი რუსეთთან

*ინტერვიუ ჯიმი ჯალიაშვილთან*

მოსკოვსა და თბილისს შორის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრიანებასთან დაკავშირებით მიმდინარე მოლაპარაკებებზე, სააკაშვილის დონალდ ტრამპთან ვიზიტსა და ბოლო დროს გან ვითარებულ სხვა მნიშვნელოვან მოვლენებზე გვესაუბრება პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ჯიმი ჯალიაშვილი.

**— ბატონო ჯიმი, რაც დრო გადის, სულ უფრო მეტ ადამიანს სჯერა, რომ ადრე თუ გვიან, ხელისუფლების შეცვლა საქართველოშიც ისეთივე ფორმით მოხდება, როგორც ეს ეგვიპტესა და ტუნისში გააკეთა ათწლეულების მანძილზე ავტორიტარიზმის უღელქვეშ მყოფმა მოსახლეობამ; თქვენ რა აზრის ხართ ამ ყველაფერზე და როგორ აფასებთ იმავე ამერიკის ვიცე-პრეზიდენტ ბაიდენის მიერ რამდენიმე დღის წინათ მოსკოვში გაკეთებულ განცხადებას: "არც ერთ ქვეყანას, რომელიც დემოკრატიულად არჩეული ლიდერის გადასაგდებად სახელმწიფო გადატრიალების მოწყობას გადაწყვეტს, მხარს არ დავუჭერთ". — უპირველესად, პოლიტიკურმა სპექტრმა, ვგულისხმობ ოპოზიციას, და ასევე საზოგადოებამაც უნდა გაიაზროს და გააანალიზოს, რას ნიშნავს ის, რომ რეალურად სახეზე გვაქვს ავტოკრატული სისტემა და შეერთებული შტატები ამ რეჟიმს და ზოგადად აქ არსებულ ვითარებას აფასებს დადებითად. ჩემი აზრით, ეს არის მთავარი ამოსავალი წერტილი და, თუ საკითხს ამ კუთხით არ შევხედავთ, ვფიქრობ, შეუძლებელია, პასუხი გავცეთ კითხვას, რომელიც თქვენ დასვით და რომელიც დღეს ბევრს უჩნდება.**

— არაერთ ინტერვიუში მითქვამს, მათ შორის თქვენთანაც, რომ ამერიკის ინტერესები საქართველოს მიმართ არ განისაზღვრება იმით, თუ რამდენად მაღალია აქ დემოკრატიის ხარისხი. ჩვენთან და მთლიანად კავკასიის რეგიონთან დაკავშირებით მათ სულ სხვა გეოპოლიტიკური ამოცანები აქვთ. ასე რომ, ასჯერ და ათასჯერ უფრო მძიმეც რომ იყოს რეჟიმი, რომელსაც ეს ხელისუფლება წარმოადგენს, ღრმად ვარ დარწმუნებული, არც ერთი ამერიკელი ოფიციალური პირი სააკაშვილის გადაყენებას მხარს არ დაუჭერს.

რაც შეეხება ვიცე-პრეზიდენტის განცხადებას, საერთოდ ბაიდენი ყოველთვის გამოირჩეოდა და დღესაც გამოირჩევა სააკაშვილისადმი განსაკუთრებული ლოიალური დამოკიდებულებით და ის, რაც მან თქვა, დემოკრატიულად არჩეული ხელისუფლების დამხობას მხარს არ დავუჭერთო, ვფიქრობ, იყო მკაფიო სიგნალი როგორც ოპოზიციის, ისე ჩვენი საზოგადოების მისამართით, რომ სააკაშვილი და მთელი მი სი გარემოცვა, ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე მაინც, ხელშეუხებელია. ამასვე მოწმობს "თეთრი სახლის" სხვა მაღალჩინოსანთა განცხადებებიც, რომელთა ბოლოდროინდელ გამოსვლებს თუ დავუჯერებთ, საქართველოში თურმე დემოკრატიული პროცესებიც სწრაფად ვითარდება, არჩევნებიც ნორმალურად ტარდება და მოსახლეობის დასაქმების მხრივაც ყველაფერი კარგად ყოფილა...

**— ანუ თქვენ ამბობთ, რომ სააკაშვილს ვაშინგტონიდან ყველაფერზე "მწვანე" აქვს ანთებული? თუ ასეა, მაშინ მართლა უძლეველი და ყოვლად უალტერნატივო ძალასთან გვქონია საქმე ამ ხელისუფლების სახით.**

— გვინდა თუ არა, ეს ასეა და ამის დაუნახაობა, უბრალოდ, შეუძლებელია. მეტიც, ამერიკის მხარდაჭერის გარეშე, მე მგონი, ეჭვი არავის ეპარება იმაში, რომ ეს რეჟიმი აქამდე ვერ მოაღწევდა. თუმცა, როცა ლაპარაკია ხელისუფლების შეცვლაზე, ისიც უნდა ითქვას, რომ ამ შემთხვევაში შეერთებული შტატები არ არის ერთადერთი შემაფერხებელი ფაქტორი. ის მდგომარეობა, რომელშიც ამჟამად ჩვენ ვიმყოფებით დიდწილად ოპოზიციის არასწორი პოლიტიკითა და არაადეკვატური ნაბიჯებითაა განპირობებული, რაშიც საკმაოდ დიდი წვლილი საზოგადოებასაც მიუძღვის...

**— თქვენ დემოკრატიის არარსებობაზე საუბრობთ, ექსპერტთა გარკვეულ წრეში კი იმაზე მსჯელობენ და კამათობენ, არის თუ არა საქართველოში ავტოკრატია...**

— კამათით ყველაფერზე შეიძლება ვიკამათოთ, მაგრამ მე პირადად, როგორც ამ ქვეყნის რიგითი მოქალაქე, რასაც ვგრძნობ და ვხედავ, ასეთი მკაცრი ავტოკრატიული რეჟიმი არ მახსოვს და არც ყოფილა ოდესმე საქართველოში. დღეს საქართველოში არის ავტოკრატული სისტემა, რომელიც პირდაპირ თრგუნავს და ამონებს ადამიანს; ყველაზე საგანგაშო და დამაფიქრებელი კი ის არის, რომ ამ სისტემას არ აქვს, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით, არ უჩანს დასასრული, საზღვარი, რომ შორეულ პერსპექტივაში მაინც პროცესების შემობრუნებასა და რამე პოზიტიურ ძვრებზე ვისაუბროთ. ამიტომაც არის დღეს საზოგადოებაში ნიჰილიზმი გამეფებული და მოსახლეობის უდიდეს ნაწილს სჯერა, რომ ჩვენი ერთადერთი გამოსავალი იმ გზაშია, რომელიც უკვე გაიარა ორმა აფრიკულმა სახელმწიფომ - ტუნისმა და ეგვიპტემ...

**— თქვენ ფიქრობთ, რომ აქაც შეიძლება, მოვლენები მსგავსი სცენარით განვითარდეს?**

— ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, ამის ალბათობა დიდი უნდა იყოს, ვინაიდან ავტორიტარული რეჟიმი, რომელიც აქ მძვინვარებს, ყველა პირობას ქმნის იმისათვის, რომ ერთ მშვენიერ დღეს მოსახლეობა აფეთქდეს; თუმცა რეალობა სხვა რამეზეც მეტყველებს — საზოგადოება არ არის ერთიანი, პირიქით, უკიდურესად დაქსაქსულია და სწორედ ეს არის ის გარემოება, რაც ხელისუფლებას საშუალებას აძლევს, იმოქმედოს პრინციპით: **"დაყავი და იბატონე"**. გარდა ამისა, მაქსიმალურად დისკრედიტებულია ოპოზიცია, არ არსებობს ძალა, რომელმაც რაიმე მიმართულება შეიძლება მისცეს მთელ ამ მიმდინარე პროცესებს და რეალურად ქვეყანაში ვერ იქმნება ის პოლიტიკური ასპარეზი, რასაც ოპოზიციური ფრონტი ჰქვია. სეზონური პარტიები, რომლებიც ხელისუფლების საჭიროების მიხედვით იქმნებიან, ბუნებრივია, ვერ გასწევენ ერის წინამძღოლობას. ასე რომ, პასუხი კითხვაზე — მოსალოდნელია თუ არა საქართველოში "ტუნისი" და "ეგვიპტე" — ასეთია: ლოგიკურად მოსალოდნელია, ყოველ შემთხვევაში, უნდა იყოს, მაგრამ რეალობა, რომელიც აქ არის ოპოზიციური სპექტრის სიძლიერისა და, რაც მთავარია, საზოგადოების შეკრულობის თვალსაზრისით, ცალსახად გამო რიცხავს აქ მოვლენათა ამგვარი სცენარით განვითარებას.

**— თქვენ თქვით, რომ ვაშინგტონი საქართველოში ხელისუფლების შეცვლას მხარს არ დაუჭერს. არსებობს მოსაზრეობა, რომ იმ შემთხვევაში, თუკი ევროპა და ამერიკა სააკაშვილზე რაიმე ზეწოლას მოახ დენს, ამ უკანასკნელმა, შესაძლოა, გარკვეული ანტიდასავლური ნაბიჯები გადადგას. თქვენი აზრით, ხომ არ იყო ერთ-ერთი ასეთი ნაბიჯი ირანთან უვიზო რეჟიმის შემოღება?**

— გითხარით და კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ერთადერთი საყრდენი, რაზეც ეს ხელისუფლება დგას, არის დასავლეთის, კერძოდ ამერიკის მხარდაჭერა. ასე რომ, წარმოუდგენლად მიმაჩნია, სააკაშვილმა რაიმე ნაბიჯი ისე გადადგას, რომ ეს ყველაფერი ზედმიწევნით შეთანხმებული არ იყოს ვაშინგტონთან. ისე, გარკვეული ლოგიკა, რა თქმა უნდა, არის იმაშიც, რომ დასავლეთმა მართლა შეიძლება, რაიმე სახის ზეწოლა მოახდინოს ამ ხელისუფლებაზე, ვინაიდან დასავლურ სამყაროში მთლად ყველაფერს მარტო ამერიკა ვერ წყვეტს. მაგრამ, თუ ეს მოხდება, დარწმუნებული ვარ, სააკაშვილი ყველაფერს გააკეთებს, რათა უფრო და უფრო გაამწვავოს კრემლთან ურთიერთობა და მოხდეს კიდევ ერთი ომი რუსეთთან...

**— რადგან რუსეთი ახსენეთ, 9-10 მარტს შვეიცარიის დედაქალაქ ბერნში გამართულ მოლაპარაკებებზეც გკითხავთ, სადაც მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრიანებასთან დაკავშირებით ისაუბრეს რუსმა და ქართველმა დიპლომატებმა. თქვენი აზრით, რა პერსპექტივა აქვს ამ მოლაპარაკებებს და საერთოდ, რამდენად არის ეს ყველაფერი ის პოლიტიკური ბერკეტი, რომლითაც საქართველომ შეიძ ლება რამე ზემოქმედება მოახდინოს კრემლის პოლიტიკაზე?**

— უპირველესად, დავიწყოთ იმით, თუ რას ნიშნავს თვითონ რუსეთისთვის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანება, რამდენად არის ეს მისთვის პრიორიტეტული და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი. ან დავსვათ საკითხი ამგვარად: ვის უფრო სჭირდება დღეს რუსეთი ამ ორგანიზაციაში — დასავლეთს თუ თვითონ რუსეთს? ნუ დაგვავიწყდება, რომ აქ გადამწყვეტ როლს თამაშობს ის ენერგორესურსები, რო მელთა საშუალებითაც ოფიციალური მოსკოვი ყოველთვის ქმნიდა და დღესაც ქმნის პოლიტიკურ ამინდს ევროპის სივრცეში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ მარტო კრემლის ინტერესებთან კი არ მოვდივართ წინააღმდეგობაში, არამედ - თითქმის მთელი ევროპის, უპირველესად, გერმანიის სტრატეგიულ ამოცანებს ვუპირისპირდებით. ეს ძალიან კარგად ესმით ჩვენს ხელისუფლებაში და ამიტომაც გა ნაცხადა სააკაშვილმა ამასწინათ თავის ერთ-ერთ სატელევიზიო გამოსვლაში ხაზგასმით, რომ საქართველო რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებასთან დაკავშირებით ვაშინგტონისგან ზეწოლას არ განიცდისო. ჩემი აზრით, ამ განცხადების მთავარი ქვეტექსტი იყო სწორედ ის, რომ ამერიკისგან განსხვავებით, სააკაშვილზე ევროპა უკვე ახორციელებს გარკვეულ ზემოქმედებას, რათა დაჩქარდეს მთელი რიგი პროცესები და რაც შეიძლება მოკლე ვადაში გაწევრიანდეს რუსეთი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში...

**— თუმცა საქართველოსაც აქვს თავისი მოთხოვნები, კონტროლის დაწესება როკისა და ფსოუს გამშვებ პუნქტებზე.**

— სწორედ ამაზე მინდოდა მესაუბრა... მსოფლიო ისტორიაში არ არსებობს პრეცედენტი, რომ დამარცხებულ ქვეყანას მოთხოვნები წაეყენებინოს გამარჯვებულისთვის. ეს მარტო ჩვენ ვართ, ქართველები, ასეთი ირაციონალური და არაადეკვატური ყველაფერში და სადამდეც მიგვიყვანა ამ, მაპატიეთ და, სიბრიყვემ, ყველა კარგად ვხედავთ. მე მიმაჩნია, რომ დღეს საქართველომ საერთოდ უნდა დაივიწყოს და უარი თქვას ულტიმატუმებზე, მოთხოვნებზე და ყოველგვარი წინაპირობების გარეშე ყველანაირად უნდა ეცადოს, რომ უკეთესობისკენ თუ არა, უარესობისკენ მაინც არ წავიდეს ჩვენი ურთიერთობა რუსეთთან. ერთხელ და საბოლოოდ უნდა გაიგოს ჩვენმა პოლიტიკურმა ელიტამ, რა წონის სახელმწიფოსთანაც გვაქვს საქმე და რამდენად დიდია მისი მნიშვნელობა ჩვენი და ჩვენი ქვეყნის მომავ ლისთვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, პროცესი, რომელიც აქ ახლა მიმდინარეობს, დაღუპავს საქართველოს და, უპირველესად, თუ ვინმე შეეწირება ამ ყველაფერს, ეს ვიქნებით ჩვენ — ამ ქვეყნის რიგითი მოქალაქეები, ხალხი, ხელისუფლება კი სათავისო გამოსავალს ყოველთვის მოძებნის...

**— თქვენ ულტიმატუმები ახსენეთ და ამასწინათ ბაიდენთან შეხვედრაზე პუტინმა პირდაპირ განაცხადა, რუსეთი საქართველოს სასარგებლოდ რაიმე დათმობაზე წასვლას არ აპირებსო. როგორ ფიქრობთ, რა აზრი აქვს ასეთ პირობებში ჩვენი მხრიდან რუსეთისთვის ულტიმატუმის წაყენებას?**

— მეც მოვისმინე პუტინის ეს გამოსვლა და, ჩემი აზრით, ამ განცხადების ადრესატი არ არის არც საქართველო და არც ქართველი ხალხი; ამ განცხადების ადრესატია სააკაშვილის რეჟიმი და მასში ნათლად და მკაფიოდ ჩანს კრემლის პოზიცია ჩვენი დღევანდელი ხელისუფლებისადმი — სანამ სათავეში გვეყოლება სააკაშვილი, რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობის მოგვარება შეუძლებელი იქნება. ეს თავისთავად ცხადია და ამას საზოგადოება ისედაც უნდა ხედავდეს. ასე რომ, თუ ჩვენი ნომერ პირველი ამოცანა არის ის, რომ მოვაგვაროთ ურთიერთობა რუსეთთან და ავიცილოთ ის საფრთხეე ბი, რასაც სწორედ ეს დაძაბული ურთიერთობები გვიქადის, მაშინ ისევ და ისევ ცალსახად მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ ერთადერთი გამოსავალი არის ხელისუფლების შეცვლა. ეს კი სწორედ ის მიზანია, რომლის მიღწევაც შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ ერთიანობითა და უკომპრომისო ბრძოლით იმ რეჟიმის წინააღმდეგ, რომელსაც სააკაშვილი და მისი **"ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"** ჰქვია.

ჯაბა ქვანია

# სოციალიზმი განათლების სფეროში

საქინფორმის რეგიონული კორესპონდენტი ზუგდიდიდან გვატყობინებს:

„ახლახან საქართველოს პარლამენტში შეტანილმა ცვლილებამ კერძო სკოლების ვადამდელი ავტორიზაციის შესახებ საგონებელში ჩააგდო კერძო სკოლების მეპატრონეები.

მათი ფუნქციონირების შესახებ კანონი 1997 წელს მაშინდელი მთავრობის მიერ იქნა მიღებული. 2005 წელს „ვარდოსანმა ხელისუფლებამ" ყველა ლიცენზირებულ და კერძო სკოლას 2009-10 წწ. მისცა მოქმედების ვადა, მაგრამ 2009 წელს საქართველოს პარლამენტმა ეს ვადა კერძო სკოლებს 2014-2015 სასწავლო წლამდე გაუგრძელა. ახლა პარლამენტში კი ისევ შეტანილია ცვლილება კერძო სკოლების ვადამდელი ავტორიზაციის შესახებ. საქართველოში 300-მდე კერძო სკოლაა და ავტორიზაციისათვის შესატანი თანხა 6000 ლარს შეადგენს, თანაც არც ერთ სკოლას არ აქვს ავტორიზაციის გავლის გარანტია.

დღემდე განათლების სამინისტროს საჯარო სკოლების ოპტიმიზაციით გამოთავისუფლებული არც ერთი სკოლის შენობა გასაყიდად ან საიჯაროდ არ გაუტანია აუქციონზე და, ამდენად, არც ერთ კერძო სკოლას არ აქვს საკუთარი კორპუსი. განათლების სამინისტროს კერძო სკოლების განვითარების ხელშეწყობისათვის არასოდეს უფიქრია, თუმცა ეს კანონით ევალება, სამაგიეროდ, სოციალიზმი უნდა დამყარდეს განათლების სფეროში და მხოლოდ საჯარო სკოლები უნდა დარჩეს, რადგან ავტორიზაციას საკუთარი კორპუსის გარეშე ვერცერთი კერძო სკოლა ვერ გაივლის. ზუგდიდში ამჟამად 6 კერძო სკოლა ფუნქციონირებს და, ავტორიზაციის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ალბათ ყველა შეწყვეტს არსებობას.

მაინც, რამ განაპირობა განათლების სამინისტროს სასწრაფო გადაწყვეტილება კერძო სკოლების ავტორიზაციის თაობაზე? ამ საკითხთან დაკავშირებით თავის მოსაზრებას გვიზიარებს განათლების დარგის ზუგდიდელი ექსპერტი საბა ქორიძე: „განათლების სამინისტრო გადააკვდა საჯარო სკოლების მორთვა-მოწყობას, მათ ეგზავნებათ ყველაფერი, რაც კი სჭირდებათ: კაბინეტ-ლაბორატორიები, კომპიუტერები, სასწავლო ინვენტარი და, რაც მთავარია, გაზრდილი ვაუჩერები. მიუხედავად ამისა, საჯარო სკოლებმა ვერ შეძლეს მთავარი – ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დისციპლინების მინიმალურ დონემდეც კი სწავლება, ამ მხრივ კერძო სკოლებში სასწავლო საგნების სწავლება მაღალ დონეზე დგას, რასაც საჯარო „პრესტიჟული" სკოლებიდან საუკეთესო მოსწავლეების კერძო სკოლებში გადასვლაც ამტკიცებს. ბავშვები საუკეთესო გარემოს მქონე საჯარო სკოლებიდან ცოდნის მისაღებად ღარიბი მატერიალური ბაზის მქონე კერძო სკოლებში არჩევენ სწავლას. ამის გამო სამინისტრო თვითონ აღმოჩნდა უდიდესი პრობლემის წინაშე, კერძოდ, კარზე მომდგარ საატესტატო გამოცდებს სამინისტროსგან მიტოვებული კერძო სკოლების მოსწავლეთა 90%-ზე მეტი ჩააბარებს, ხოლო სამინისტროს ფავორიტი საჯარო სკოლების მოსწავლეთა მხოლოდ 10-15%-ს აქვს ჩაბარების უნარი. სწორედ ამიტომ განიზრახა განათლების სამინისტრომ, სამაგალითოდ დასაჯოს კერძო სკოლები ვადამდელი ავტორიზაციით. ამით მყარდება სოციალიზმი ამ სფეროში – თუ არ იქნება კერძო სექტორი, არ იარსებებს ჯანსაღი კონკურენცია საჯარო და კერძო სექტორს შორის. ამით საჯარო სკოლები მანც ვერ განვითარდება".

საატესტატო გამოცდებამდე თვეზე მეტი დარჩა, მოსამზადებელი სამუშაოების დასრულებას ჯერ კიდევ ბევრი უკლია. არ არის საკმარისი კომპიუტერები, ვერ ამონტაჟებენ ვიდეოკამერებს. ამიტომ ყოველი რაიონი დაიყო 4-5-კილომეტრიან ზონებად. ამ ზონაში მოხვედრილი სკოლების მოსწავლეები ერთ სკოლაში ჩააბარებენ გამოცდებს. თუ როგორ უზრუნველყოფენ გამოცდებზე სხვადასხვა სოფელში მცხოვრები ბავშვების დროულად მოყვანას, ჯერჯერობით უცნობია".



ეროვნული ბიბლიოთეკა

# როგორ გასხვისდა აფხაზეთი

## გთავაზობთ ნაწყვეტებს ბატონ ნაპო მესხიას ამავე სახელწოდების წიგნიდან

სოფელში დიდხანს ვერ დავრჩი. მიუხედავად იმისა, რომ 1993 წლის ბოლო თვეებიდან მძიმე სტრესულ მდგომარეობაში ვიმყოფებოდი, ვგრძნობდი: ყველას ბოლომდე არ ჰქონდა გათვითცნობიერებული, თუ რა ტრაგედია დატრიალდა. ბევრს არც სჯეროდა ის, რაც მოხდა. სჯეროდათ, რომ ეს დროებითი მოვლენა იყო და სულ მალე დავუბრუნდებოდით ჩვენ-ჩვენ საცხოვრისს, ჩვენი წინაპრების საძვალეებს...

მაშინ არავინ ფიქრობდა იმაზე, რომ ეს დროში გაიწელებოდა (მერე კი საერთოდ **"დე-იურედაც"** დაგვეკარგებოდა – **"ილორი"**), ან ვინ იფიქრებდა, რომ საკუთარ ქვეყანაში ასეთი დამცირებული და დაუცველი აღმოვჩნდებოდით. ვხვდებოდი, რომ გულხელდაკრეფილად ჯდომა არ შეიძლებოდა, განდეგილობა კი არა, მოქმედება იყო საჭირო, ისეთი გზების მოძიება, რომლებიც გაურკვეველი თუ გარკვეული საშინელებებიდან გვიხსნიდა.

ვგრძნობდი იმასაც, რომ საამისო რესურსებიც გამაჩნდა.

ბევრმა ეს იცოდა და ამიტომ მოსვენებას არ მაძლევდნენ. ყოველივე ამან ნელ-ნელა გამომიყვანა დეპრესიული, დათრგუნული მდგომარეობიდან და კვლავ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობაში ჩავერთე – ზუგდიდში გადავედი.

სახლში დავტოვე ვალია ჟიტკოვა. ის ერთხანს იქ ცხოვრობდა, შემდეგ კი ჩემთან, ზუგდიდში გადმოვიყვანე. რამდენიმე წლის წინ დაავადდა და კუჭის კიბოთი გარდაიცვალა. დავკრძალე ჩემი მშობლების გვერდით, ქრისტიანული წესით.

1994 წლის დასაწყისში, თანამოაზრეებთან ერთად, შევქმენი საორგანიზაციო ჯგუფი, რომელშიც შედიოდნენ აფხაზეთში ცნობილი ადამიანები: **მერი გეგეჭკორი, სერაპიონ მალანია, გივი კილასონია, იური კაკავა, იპოლიტე ჩოკორაია, რაფიელ გელანტია, ვლადიმერ (ლოთი) ჭანტურია, ბორის დიდიშვილი, გიორგი ბენდელიანი** და სხვები. შევიმუშავეთ დებულება, ჩავატარეთ დევნილთა ყრილობა და დავაფუძნეთ სახალხო მოძრაობა **"მშვიდობიანი აფხაზეთისათვის"**. მასში გაერთიანდა ათასობით დევნილი. ჩვენი წინადადებები გავაცანი საქართველოს ხელისუფლებას. მან მოიწონა ჩვენი წამოწყება. პირველ ხანებში ვგრძნობდი მხარდაჭერას, სანამ არ ჩამოყალიბდა ავადსახსენებელი **"მოქალაქეთა კავშირი"**. მალევე გაირკვა, რომ ჩვენი მოძრაობის წევრები, მათ შორის, აქტივისტებიც კი, აღნიშნულ კავშირში გაწევრიანებულან. შედეგად მარტოობაში აღმოვჩნდით.

ასე ჩაიშალა და ისტორიას ჩაბარდა ჩვენი სანუკვარი მიზნები – ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარებაში უშუალო მონაწილეობის მიზნით, სახალხო დიპლომატიის წინა პლანზე წამოწევა.

ამის შემდეგ, გარკვეული პერიოდი, ვიდრე კანცელარიაში პრეზიდენტის მრჩევლად დამნიშნავდნენ, პოლიტიკურ სარბიელზე განსაკუთრებული აქტიურობით არ გამოვირჩეოდი – უფრო პროფესიულ საქმიანობაში ვიყავი გადართული, თუმცა ჩემი ძირითადი მოწოდება, ქირურგობა, ერთი წუთითაც არ შემიწყვეტია.

### ბოლოთქმა.

ასეთი იყო საქმის ვითარება აფხაზეთში. ასეთი იყო რეალობა. ასეთია ჩემი შეხედულებები და მიდგომა იმ საკითხებისადმი, რომლებიც აფხაზეთში მომხდარ მოვლენებთანაა დაკავშირებული.

მკითხველმა შეიძლება იფიქრა, რომ თვითგვემით ვარ დაკავებული და ვამართლებ აფხაზურ მხარეს. არავითარ შემთხვევაში! მათ ლომის წილი მიუძღვით ყოველივე იმაში, რაც მოხდა. მე მხოლოდ სააშკარაოზე გამოვიტანე ჩვენი ცოდვები, რადგან, ჩვენ უფრო შეგვეძლო მოგვეგვარებინა ის პრობლემები, რომლებიც უთუოდ არსებობდნენ. მათი გადაწყვეტის შემთხვევაში ავცილდებოდით აფხაზეთში განვითარებულ გართულებებსა და ტრაგიკულ მოვლენებს.

ვფიქრობ, ნაკლებად ინფორმირებულმა მკითხველმა გაიცნობიერა, რომ აფხაზეთში არსებული პრობლემების მოგვარება მშვიდობიანი გზით შეიძლებოდა. მაგრამ ხელისუფლებაში მოსულ პირთა წრემ ეს არ გააკეთა – არ ეყოთ ჭკუა-გამოცდილება, კომპეტენცია, ეს მათ არ სჭირდებოდათ, უფრო არეულობა და საზოგადოებრივი დესტაბილიზაცია აძლევდათ ხელს, რათა ამბოხებული ხალხის ძალისხმევა სულ სხვა რამისკენ მიემართათ. მათთვის ეთნოკონფლიქტი იყო საჭირო. სხვა შემთხვევაში გამძვინვარებული სამოქალაქო ომი წალეკავდა ხელისუფლებაში ძალადობრივად მოსულ დაჯგუფებებს და მათ მომხრეებს. ამიტომ წავიდნენ ავანტიურაზე – ჯარი და ჯავშანტექნიკა შეიყვანეს აფხაზეთში, სადაც კონფლიქტისათვის ნოყიერი ნიადაგი უკვე არსებობდა.

ჩვენ უკვე ვნახეთ როგორ აალდა ცეცხლი, ვინ მიაყარა ფიჩხი და დაასხა ნავთი.

**შევარდნაძის ხელისუფლებამ ყველაფერი იღონა იმისთვის, რომ ხანძარი ხანგრძლივად არ ჩამქრალიყო.**

**პოსტშევარდნაძისეული პერიოდიც არ გამოირჩეოდა გონივრული და წინდახედული პოლიტიკით. მისი მემკვიდრე, როგორც ბეჯითი და ერთგული, აგრძელებს წინამორბედის გზას (გადაასწრო კიდეც, რადგან 2008 წლის უაზრო, დანაშაულებრივი სამდღიანი ომით მან ფაქტიურად დაგვიკანონა ძველქართული ტერიტორიების დაკარგვა – "ილორი"). სააკაშვილის მოღვაწეობის პერიოდი ასევე გამორჩეულია პრობლემებისადმი არასწორი მიდგომით: საგარეო პოლიტიკაში მას აქცენტები მთლიანად გადააქვს ოკეანის გადაღმა და სრულ იგნორირებას უკეთებს რუსეთს – ჩვენს დიდ და უახლოეს მეზობელს, მის ინტერესებს კავკასიაში და, კერძოდ, საქართველოში. ეს, რა თქმა უნდა, დიდი შეცდომაა. თავისი იმპულსურობით, გაუწონასწორებლობით, კუნთების დემონსტრირებით, იარაღის ჟღარუნით, მილიტარისტული რიტორიკით, შეურაცხმყოფელი გამოთქმებით ის უკიდურესად ართულებდა ქართულ-რუსულ ურთიერთობებს. ასეთ უტაქტო რევერანსებს მოჰყვა აგვისტოს ომი, საქართველოს დიდი ნაწილის დაპყრობა რუსეთის მიერ და 2008 წლის 26 აგვისტოს პრეზიდენტ დიმიტრი მედვედევის მიერ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დამოუკიდებელ სახელმწიფოებად გამოცხადება.**

ეს არის კატასტროფული შედეგი, რაც წინა ხელისუფლების დანაშაულებრივ საქმიანობას, მისი შეგირდის არაპროგნოზირებად, გაუწონასწორებელ მოქმედებებს და პოლიტიკას მოჰყვა.

აგვისტოს ომმა – რუსეთსა და საქართველოს შორის მომხდარმა შეიარაღებულმა დაპირისპირებამ, რადიკალურად შეცვალა არა მარტო ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა, არამედ თვით სამყარო და საერთაშორისო პოლიტიკაც. მან დაგვანახა, რამდენად აგრესიული და სასტიკია ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი, მისი დაუფარავი ზრახვები და პრეტენზიები საქართველოსთან მიმართებაში. ამასთან ერთად გამოაშკარავდა და ყველასთვის ნათელი გახდა, თუ რა უსუსურ და დაუბალანსებელ პოლიტიკას ვეწევით საერთოდ და, კერძოდ, რუსეთთან მიმართებაში. მაგრამ ეს სხვა თემაა. იგი ცალკე გამოკვლევასა და განზოგადოებას მოითხოვს.

სავსებით ბუნებრივია, რომ ამ ომმა არსებითად შეცვალა აფხაზეთის საქართველოს იურისდიქციაში მოქცევის პერსპექტივები, უფრო ბუნდოვანი და შორეული გახადა ისინი. ნაწილობრივ დაკარგა აქტუალობა პრობლემის გადაწყვეტის ზემოდაღნიშნულმა ჩვენმა მოსაზრებებმაც.

ცხადია, ახალ პოლიტიკურ ვითარებაში ურთიერთობები ქვეყნის შიგნით, თუ ქვეყნის გარეთ საჭიროებს თანამედროვე, უფრო მოდერნიზებული და მოქნილი პოლიტიკის გატარებას, მათ შორის, რუსეთთან მიმართებაშიც, ხოლო აფხაზეთთან და აფხაზებთან – ჩვენს მოძმე ერთან, მიდგომა უცვლელად უნდა დარჩეს, ანუ გაგრძელდეს პოლიტიკური დიალოგი, შევთავაზოთ მათთვის მომგებიანი პოლიტიკური მოწყობის მოდელი, მიმზიდველი სოციალური და ეკონომიკური გარემო და ა.შ., რათა თვით აფხაზებმა გააკეთონ თავიანთი არჩევანი, თუმცა ეს ახლა უკვე შორეული პერსპექტივაა.

როცა ეს შესაძლებელი იყო, რამდენჯერმე ვცადე ხმა მიმეწვდინა ქვეყნის პრეზიდენტისათვის. ამას მოწმობს ჩემი არაერთი მიმართვა მისადმი, მისი გარემოცვისადმი. მე მათ ვთავაზობდი აფხაზეთის პრობლემების მოწესრიგებასთან დაკავშირებულ მოსაზრებებსა და წინადადებებს, ვინაიდან გამაჩნდა აფხაზურ მხარესთან მუშაობის გარკვეული პოზიტიური გამოცდილება, მიმესვლებოდა აფხაზურ მხარესთან, მის ლიდერებთან და თვით აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებთან, ვითხოვდი ჩემი შესაძლებლობები გამოეყენებინათ ყველასათვის სანუკვარი მიზნების მისაღწევად, საერთო სახელმწიფოებრივი პოლიტიკის ფარგლებში ეს მოგვცემდა აფხაზებთან კარდინალური და აქტიური კულუარული მუშაობის საშუალებას.

აი, ეს მამოძრავებდა, როდესაც გამუდმებით მივმართავდი პრეზიდენტ სააკაშვილს, მაგრამ ამაოდ!..

2008 წლის მარტში, პრეზიდენტ სააკაშვილის მოსკოვში გამგზავრებისა და პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინთან უკანასკნელი შეხვედრის წინ ხელისუფლებას ჩვენ ვთავაზობდით:

– ამ შეხვედრამდე რამდენიმე დღით ადრე რუხში, ენგურის პირას დევნილთა საერთო კრების გამართვას და მსოფლიოსათვის იმის დემონსტრირებას, რომ ჩვენ, აფხაზეთიდან დევნილები ბევრად უფრო მეტნი ვართ, ვიდრე აფხაზეთის დღევანდელი მოსახლეობა.

ამ საქმეში ხელისუფლების მხარდაჭერა იყო საჭირო. ასეთი აქცია, თავისი არსით, პოლიტიკური დატვირთვით, გაცილებით უფრო ძლიერ და მნიშვნელოვან გამოხმაურებას მიიღებდა. ის უფრო წონადი იქნებოდა და გაცილებით მეტი რეზონანსი მოყვებოდა, ვიდრე ჩვენს ხელში არსებულ ჯავშანტექნიკას და მის ჟღარუნს;

– აფხაზეთიდან დევნილთა მოძრაობის, სახალხო დიპლომატიის სახელმწიფო დონეზე აყვანას და მისთვის ხელშეწყობას;

– დევნილი მოსახლეობიდან ერთი ან რამდენიმე პირის შერჩევას, აფხაზურ მხარესთან, უშუალოდ აფხაზების წარმომადგენლებთან გახსნილი, გულწრფელი დიალოგის წარმართვის, საქმიანი ურთიერთობისა და ნდობის აღდგენისათვის;

– აფხაზეთის საკითხებში პრეზიდენტის წარმომადგენლის ან საგანგებო დავალებათა დესპანის სტატუსის შემოღებას;

– გალის რაიონში სოციალურ-ეკონომიკური პროექტების განხორციელებას, აფხაზებისათვის ალტერნატიული გარემოსა და არჩევანის საშუალების გაჩენას და ა.შ.

ეს წინადადებები, პრეზიდენტის აპარატის თანამშრომლის თხოვნით, განმეორებით გადავუგზავნე ბატონ სააკაშვილს, რათა ჩვენთან შეხვედრამდე გაცნობოდა მათ და მხოლოდ ამის შემდეგ, როგორც გვპირდებოდნენ, მიგვიღებდა იგი, მაგრამ მან დრო არც მოსკოვში გამგზავრებამდე **"გამონახა"** და არც მის შემდეგ. ჩვენი წინადადებები საბოლოოდ აღმოჩნდნენ დევნილთა რეინტეგრაციის სამინისტროში, მინისტრ იაკობაშვილის უწყებაში, რატომღაც მის ბუღალტერიაში, სხვა საბუღალტრო (!) საბუთებს შორის. მინისტრ იაკობაშვილს არც კი უცდია ჩვენთან შეხვედრა და გასაუბრება, ხოლო როდესაც მივმართეთ შესაბამისი თხოვნით, მშრალი უარით გამოგვისტუმრა.

აი, ასეთი იყო და არის ჩვენი ქვეყნის ხელისუფლების მუშაობის სტილი და საქმისადმი მიდგომა. ამას იმიტომ ვაცხადებ, რომ ხალხმა გაიგოს, თუ სად და რა **"დემოკრატიულ"** ქვეყანაში ვცხოვრობთ და ვინ მართავს ამ ქვეყანას. ამას იმიტომ ვწერ, რომ ყველამ იცოდეს: სწორედ ასეთ ამპარტავან და გამოუცდელ ადამიანთა ამბიციებს, სავარძლებისთვის ბრძოლას, პოლიტიკურ დაპირისპირებებს შეეწირა ქვეყნის ბედი და მომავალი. სწორედ ასეთი ხალხის ნამოღვაწარია ის, რაც მოხდა და სახეზეა! მათ არც აქვთ გაცნობიერებული თუ რა მოხდა 2008 წლის აგვისტოში. ამის დასტურია ის ჟრიამული და ტაშ-ფანდური, რომელიც იმართებოდა ხელისუფლების მხარდამჭერითა და ხელშეწყობით.

**სწორედ ამიტომ მივდივარ იმ დასკვნამდე, რომ აფხაზეთთან და სამაჩაბლოსთან დაკავშირებული ტრაგედია კარგა ხნით ადრე იყო დაგეგმილი და ყველაფერი წარიმართა წინასწარ გათვლილი სცენარის მიხედვით. აქ შევარდნაძე და ნისი მემკვიდრე სააკაშვილი ოკეანისგაღმელი პატრონების მორჩილი-მარიონეტები არიან!**

გამოსავალი?

**გამოსავალი, მხოლოდ ერთია: არსებული ხელისუფლების არჩევნების გზით შეცვლასთან ერთად, უარი უნდა ეთქვას საქართველოს ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში შესვლის იდეას. დროებით მაინც! მანამდე, სანამ არ მოხდება ქვეყნის გამთლიანება. მხოლოდ ამის შემდეგაა შესაძლებელი ქვეყნის გამთლიანება. მხოლოდ ამის შემდეგაა შესაძლებელი ჩვენი ნატოში გაწევრიანება. სხვაგვარად აფხაზეთსა და სამაჩაბლოს საბოლოოდ დავკარგავთ!**

**ბრმა ან მოღალატე უნდა იყო, რომ ეს არ დაინახო და არ შეისმინო! ეს უნდა გაიგოს ერმა და ბერმა!**

**მე არაფერი მითქვამს თვით ომზე – საომარ მოქმედებებზე: როგორ ვიბრძოდით, როგორ კლავდნენ, თუ** აწამებდნენ ორივე მხარეს (ომი ომია...). იგი ცალკე საუბრის საგანია, თუმცა ამ ომზე ბევრია დაწერილი და ნათქვამი, მაგრამ უფრო მეტია საიდუმლოებით და ბურუსით მოცული!

მე მხოლოდ შევეცადე ბოლომდე მეთქვა სიმართლე იმაზე, თუ რამ განაპირობა ეს ომი, ვისი მიზეზით და რის ფასად მივიღეთ ასეთი შედეგები.

აფხაზურ მხარესაც, ისევე როგორც ჩვენ, გააჩნია თავისი სიმართლე.

ეს სიმართლე შეიძლება სხვადასხვა იყოს, მაგრამ ჭეშმარიტება, მოგეხსენებათ, ყოველთვის ერთია. ენგურს გაღმა და გამოღმა არ შეიძლება არსებობდეს ორი ჭეშმარიტება! ყველა შემთხვევაში იგი ერთია და მდგომარეობს იმაში, რომ აფხაზეთი საქართველოს ისტორიულად განუყოფელი ნაწილია. აფხაზები ჩვენი ერთიანი სამშობლოს – საქართველოს თანასწორუფლებიანი შვილები არიან!

ასეთი იყო და არის ღვთის ნება: საუკუნეთა მანძილზე დაგვებედა თანაარსებობა და თანაცხოვრება. ჩვენ ვცხოვრობდით და შეგვიძლია ვიცხოვროთ მომავალშიც ერთად, თუკი მივუტევებთ ერთმანეთს, ვაღიარებთ ერთმანეთის უფლებებს და არის კიდევ, ერთი მთავარიც – თუ მოგვცემენ ამის საშუალებას!

ძველი ბერძნებისა არ იყოს, **ძალა არა ღმერთში, არამედ სიმართლეშია**. მე კი ვიტყოდი სხვაგვარად – **სიმართლე და სამართალია თავად ღმერთი!**

აფხაზეთის ტრაგედიაზე – ჩვენს მოუშუშებელ ტკივილზე, ჩადენილ დანაშაულზე და დაშვებულ შეცდომებზე სიმართლეს ადრეც ვამბობდი, არ მოვრიდებივარ არავის. ეს იყო პირადი შეხვედრებისას თუ პრესაში და ტელევიზიით გამოსვლის დროს. შეიძლება ყველამ თვალი ვერ მიადევნა...

ჩემი მეცადინეობა, შეხედულებები და შეფასებები, მათ გარეშე, არ იქნება სრული. ამიტომ, ამ წიგნის მეორე ნაწილში მინდა უცვლელად შემოგთავაზოთ გამოქვეყნებული ჩემი წერილები და გამოხმაურებები მათზე.

ვფიქრობ, წიგნის პირველ ნაწილთან ერთად, ისინი განსჯისათვის სრულ სურათს შეგიქმნიან.

**ნაპო მესხია**


11. სოხუმი. XX საუკუნის 10-იანი წლები
Аҟəа. XX ашəышықəса 10-тəи ашықəсқəа

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სეპარატიზმის თეორეტიკოსი და უკანასკნელი მოჰიკანი

**(გთავაზობთ ნაწყვეტებს ბატონების ვახტანგ გვარამიასა და გიორგი ციციშვილის წიგნიდან "მეგრული საკითხი")**

როგორც არაერთგზის აღვნიშნეთ, ხშირად გვხვდება უსაფუძვლო განცხადებები ისაკ ჟვანიას, მაშასადამე ზუგდიდის პარტიული ორგანიზაციის, მაზრის კომუნისტების, აგრეთვე, მეგრული მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილისათვის დამახასიათებელი ავტონომისტურ-სეპარატისტული სულისკვეთების შესახებ. წინამდებარე წიგნის სათანადო თავებში მობილიზებული მასალების ანალიზის შუქზე ვნახეთ, რომ სამეგრელოს ქართულის არმცოდნე გლეხობას აწუხებდა არა სამეგრელოს ავტონომიის არარსებობა, არამედ მისი ერთადერთი მშობლიური ენის სახელმწიფოებრივი უგულვებელყოფა და ამის გამო მათთვის წარმოებისა და საყოფაცხოვრებო სფეროში აღმოცენებული სიძნელეების, ანუ **"მეგრული საკითხის"** მოუგვარებლობა. ი. ჟვანიასა და მაზრკომს არაფერი ჰქონდა საერთო სამეგრელოს ავტონომიისა და საქართველოდან სამეგრელოს გამოყოფის მოტრფიალე ერთეულებთან, გარდა იმისა, რომ დევნიდნენ მათ. სათანადო წყაროების ანალიზმა გვიჩვენა, რომ ი. ჟვანია და ზუგდიდის სამაზრო კომიტეტი უკომპრომისოდ ებრძოდა, ერთის მხრივ, ავტონომისტ-სეპარატისტებს, ხოლო, მეორე მხრივ, **"მეგრული საკითხის"** გამყალბებლებს. მაგრამ მკითხველთა და მკვლევართა ერთ ნაწილში ყალბი აზრი ი. ჟვანიას ავტონომისტობასა და სეპარატისტობის შესახებ იმდენად ძლიერ დამკვიდრდა, რომ საჭიროდ მიგვაჩნია დამატებითი მაგალითების შუქზე კიდევ უფრო საგნობრივად გავარკვიოთ, რისთვის იბრძოდნენ და ვის ებრძოდნენ ავტონომისტ-სეპარატისტები, რა არგუმენტებს ეყრდნობოდნენ, რა მემკვიდრეობითი დამოკიდებულება ჰქონდათ მათ, ერთი მხრივ, ნამდვილ **"მაფალუელებთან"**, ხოლო მეორე მხრივ, ვითომ მათ წინამორბედ, მეფის რუსიფიკატორებთან და მათ აგენტ თადა აშორდიასთან. საკითხის ასეთი დაყენება, გამოკვლევა და გაშუქება საშუალებას მოგვცემს ერთხელ და საბოლოოდ დავრწმუნდეთ, რომ აღნიშნულთა შორის არავითარი კავშირი არ არსებობდა, ხოლო ა. გეგეჭკორისა და ი. ჟვანიას ხაზი **"მეგრულ საკითხში"** პრინციპულად უპირისპირდებოდა და ებრძოდა, ერთი მხრივ, **"ავტონომისტ-სეპარატისტებს"**, ხოლო მეორე მხრივ, საქართველოს ცენტრში მოკალათებულ **"მეგრული საკითხის"** პოლიტიკან-გამყალბებლებს. მაგრამ სამეგრელოს ავტონომიისათვის მებრძოლთა სეპარატისტული არგუმენტები და სამეგრელოს დამოუკიდებელი მოწყობის მოთხოვნები, ერთი მხრივ, აფრთხობდნენ, ხოლო, მეორე მხრივ აქეზებდნენ საქართველოს კომპარტიის ცეკაში თავმოყრილ **"მეგრული საკითხის"** ბერიასეული მოგვარების მხარდამჭერ, საქართველოს განუყოფლობისა და ერთიანობის მოტივით ქართულის არმცოდნე მეგრელი გლეხების სამართლიანი მოთხოვნების დამამუხრუჭებლებს. ისინი ზუგდიდის პარტიულ ორგანიზაციაში არსებული დაპირისპირების ცეცხლზე ნავთს ასხამდნენ და ამას სამეგრელოს და ერის ინტერესების დაცვის პატრიოტული მოსაზრებით ამართლებენ.

ზემოთ აღნიშნული ჩვენი, ამ უაღრესად მნიშვნელოვანი მიზანდასახულობის ხორცშესხმისათვის საჭიროდ გვესახება გავარკვიოთ რა ამოძრავებს სამეგრელოს ავტონომიისა და სამეგრელოს საქართველოდან გამოყოფის ყველაზე თავგამოდებულ თეორეტიკოსს და მებრძოლ-მომჩივანს გრიშა ახალაიას, განსაკუთრებით ვის უპირისპირდება იგი და რა **"საფუძველს"** ეყრდნობოდა. ამისათვის საჭირო ხდება კიდევ ერთხელ მოვიხმოთ ძირითადად უკვე წარმოჩენილი ის არგუმენტები და აგრეთვე კონკრეტული ინფორმაცია, რომლებიც მოწმობენ, რომ ავტონომისტურ-სეპარატისტული მოთხოვნების ავტორების გამაღიზიანებელი საფუძველი უთუოდ არსებობდა, მაგრამ არსებობდა მათი დემაგოგიური სეპარატისტული არგუმენტებიცა და მტკიცებულებებიც.

როგორც ვნახეთ, იმ თხოვნასაჩივრებსა და დაბეზღებებს შორის, რომლებსაც სხვადასხვა დონის ხელმძღვანელობის მისამართით აგზავნიდნენ **"ჩხოუშიელი"** ავტონომისტ-სეპარატისტები, ხელმომწერთა სიმრავლითა და სეპარატისტული შინაარსით გამოირჩეოდნენ ის **"დოკუმენტები"**, რომლებსაც ხელს აწერდნენ გრიგოლ ახალაია და მისი ცალკეული მიმდევრები. ამ **"დოკუმენტების"** ხელმოწერებიდან კარგად ჩანს, რომ გრ. ახალაია იყო ყველა მათგანის ავტორი, ხოლო დანარჩენები ხელს აწერდნენ მხოლოდ სოლიდარობის სახით. ასე მაგალითად, **"სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის"** მიმართ, სამეგრელოს ცენტრის, ზუგდიდის მთხოვნელთა 1925 წლის 20 მარტის წერილს ხელს აწერენ გრ. ახალაია, ალ. კვარაცხელია, ზ. ხუფენია, აბ. კვარაცხელია და ა. ჯინჯოლია. მაგრამ ეს წერილი, ისე, როგორც მრავალი სხვა, რომელთა გვერდების საერთო რაოდენობა ორმოცდაათს აღემატება, დაწერილია გრ. ახალაიას ხელით. ამას გარდა, ხელმოწერებიდან აშკარად ჩანს, რომ ალ. კვარაცხელია ხელს აწერს ორჯერ, მათ შორის მეორედ გადაშლილი სოლომონ ჯგერენაიას ნაცვლად, ხოლო მარაზი ხუბუტია რუსულ ხელნაწერზე ხელმოწერას ადასტურებს ქართულად, რაც იმას მოწმობს, რომ მან არ იცის რუსული და ტექსტს საკუთრივ არც კი გასცნობია; გრ. ახალაია იყო თვითნებურად გამოცემული მეგრული გაზეთ **"ნოთეს"** დამფუძნებელი-რედაქტორი და იმ ლექსის ადრესატი, რომელიც გამოირჩევა საეჭვო აზრის შემცველი სტროფით: **"რა ენაზეც ვლაპარაკობთ, იმ ენაზე ვწეროთ, აღვადგინოთ დედა ენა და ხალხს მოვახმაროთ..."**

1925 წლის 18 ივნისს წერილი რომ გაეგზავნა **"საქართველოს კომპარტიის ცეკას"** – გაზეთ **"ნოთეს"** გამოცემის განახლების თხოვნით, ამ წერილის ხელმომწერებად ჩამოთვლილი არიან გრ. ახალაია, ალეკო კვარაცხელია, ა. ჯინჯოლია, ლეო ვეკუა, ო. კიკალია, თ. ვეკუა, აბრამ კვარაცხელია, ზ. ხუფენია და ტ. შენგელია (თარიღი 17. VI. 1925), მაგრამ, ჩვენი აზრით, ნათლად ჩანს, რომ ყველა ხელმოწერა ეკუთვნის გრ. ახალაიას. 29 ივნისს გრ. ახალაიამ უკვე საკუთრივ გაუგზავნა დეპეშა საქართველოს კომპარტიის ცეკას. გრ. ახალაიას, ტ. შენგელიას და ა. კვარაცხელიას ხელმოწერით გაეგზავნა დეპეშა **"სსრკ აღმასრულებელ** (ცენტრალურ – ავტ.) **კომიტეტს"**. 1925 წლის 2 ივლისის წერილის ხელის მომწერად გათვალისწინებული ყოფილა ტ. შენგელიას ნაცვლად ო. წულაია. კერძოდ, გრ. ახალაიამ გაუგზავნა წერილი აკადემიკოს ნ. მარს სამეგრელოს საქართველოსაგან განსხვავებულობის საძიებელ **"მამტკიცებელი"** ლიტერატურის მოპოვების მიზნით (23. VII. 1925). აღნიშნულთა გარდა, გრ. ახალაიას მიერ შესრულებული ა. გეგეჭკორისადმი, მისი 8 სექტემბრის პუბლიკაციის პასუხად დაწერილი რეცენზია: **"პასუხი ყოფილ შემოდგომის აზნაურს (Дворянчику** – გრ. ახალაია) **ა. გეგეჭკორს"**, რომელიც 1925 წლის 15 სექტემბრით თარიღდება; გრ. ახალაიამ 1926 წლის დასაწყისში საკუთრივ ხელმოწერილი წერილი-საჩივარი გაუგზავნა: **"სსრკ ცაკ-ის თავმჯდომარეს კალინინს, ზინოვიევს, სტალინს, ტროცკის, რიკოვს, ლუნაჩარსკის და ტომსკის"**; 1926 წლის თებერვლის შემდგომ უახლოეს დღეებში გრ. ახალაიამ ვრცელი წერილი გაუგზავნა **"სსრ კავშირის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს"**; მის ხელნაწერთა შორის იძებნება აგრეთვე ამ წერილის მსგავსი ხელნაწერი, რომელსაც ბოლო ფურცელი აკლია. არ გამოვრიცხავთ, რომ ამ წერილის შექმნაში მას ვინმე ეხმარებოდა, მაგრამ მათი ხელწერა გვარწმუნებს, რომ ყველა ჩამოთვლილი მისი ინიციატივით იქმნება.

გრ. ახალაიას წერილები შესრულებულია რუსულ ენაზე. ზოგიერთი წერილი ქართულ ენაზეა ნაწერი. ჩვენ ხელთა გვაქვს, აგრეთვე, მისი ხელნაწერი მეგრული ლექსი. წერის კულტურა და კალიგრაფია. ეს ყველაფერი მოწმობს, რომ მისი სახით საქმე გვაქვს არა ფსიქიურად დაავადებულ ადამიანთან, როგორც მას ლ. ბერია უწოდებს, არამედ განათლებულ პიროვნებასთან, რომელსაც აკვიატებული აქვს გარკვეული წარმოდგენები და შეხედულებები მეგრელების ნაციონალური თვითმყოფადობისა და ქართველებისაგან განსხვავებულობის, აგრეთვე საქართველოს **"იმპერიული ცენტრისაგან"** დამოუკიდებელი სამეგრელოს მიზანშეწონილობის შესახებ. ამის თაობაზე მის მიერ შექმნილი პროდუქციის განხილვის დროს გვექნება საუბარი, ახლა კი საჭიროა აღინიშნოს, რომ, როგორც მისი მონაწილეობით გაგზავნილი წერილებიდან და დეპეშიდან ჩანს, იგი იყო საჩივრების მთავარი ავტორი და ზოგი სხვა ხელისმოწერების ორგანიზატორი. ამასთანავე ჩანს, რომ გრ. ახალაიას თანდათანობით ჩამოსცილდნენ მხარდამჭერები და ბოლოს ეულად დარჩა, როგორც ე.წ. **"ავტონომისტ-სეპარატისტების"** ყოფილი თეორეტიკოსი. ასე რომ, გრ. ახალაიას გარშემო გაერთიანებულთა შორის უმთავრესი იყო პირადად იგი, ხოლო რამდენიმე პირი (ბესელია, ბუკონია) ჩანს, როგორც აქტიური მხარდამჭერი, დანარჩენები კი აშკარად მხოლოდ თანამგზავრები არიან. მაშასადამე, ე.წ. ავტონომისტ-სეპარატისტები სულ რამდენიმე კაცს აერთიანებდნენ და მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო იდეოლოგი იყო გრ. ახალაია, რომელიც 30-იანი წლების ავტონომისტებში აღარ ჩანს. სამაგიეროდ, როგორც ქვემოთ სათანადო თავში ვნახავთ, ახლა თავი იჩინეს ავტონომისტებმა ტარასი შენგელიამ, ალე საჯაიამ, ტრიფონ ხუფენიამ, კორტავამ და ვახტანგ კვარაცხელიამ. მაგრამ ესენი რაიმე სერიოზულ ანტიეროვნულ ძალას არასდროს წარმოადგენდნენ. მათ გარშემო განგაში იმიტომ კი არ ატყდა, რომ იგი თავიანთი საქმიანობით მართლა რაიმე ეროვნულ; საფრთხეს ქმნიდნენ, არამედ იმიტომ, რომ, ისინი მნიშვნელოვანწილად სწორად აკრიტიკებდნენ საქართველოს კომპარტიის ცეკა-ს და ამხელდნენ მის უხეშ, მასების გულისწადების სამართლიან გაგებას მოკლებულ, უპირატესად ძალადობაზე აგებულ მუშაობას, ააშკარავებდნენ მას და მენშევიკების პლასტიკასთან აიგივებდნენ. ამით **"ავტონომისტ-სეპარატისტები"** და მათი დაბნეული მიმდევრები მოსკოვის ცენტრის წინაშე ეწეოდნენ საქართველოს საბჭოური ხელისუფლების დისკრედიტაციას.

***(გაგრძელება იქნება)***

---

**გთავაზობთ ნაწყვეტებს ცნობილი ქართველი ხელოვნებათმცოდნისა და ლიტერატორის, ბატონ გივი ბოჯგუას მიერ შედგენილი წიგნიდან "მეგრული ხალხური პოეზია – 100 ლექსი".**

## მახა

მახა, მა სქანოთ კირიბი
ვორდა
ირ გაჭირებაშ გალუაფარი,
მახა, მა სქანოთ სანთელი
ვორდა
ხატიშ ნოხოლე ონდღულაფარი!
სი ორდი ვარდი უგუუფაჩუ,
ვორდი მობირე მა მაფშალია,
გუგაღურჭულე, გუგოპუაფე,
შურით ქოგინთხე მა,
მახარია!
ენა მუჭოთი თაში ორდუნი,
ვფიქრენქ, ვათქუე სითი
ვარია.
მაფშალიაშოთ გოფაჩილიში
ვარდიში მინჯე რდასო
კვარია?

## მახა

მახარია (გამხარებელო), მე
შენთვის კრავი ვიყო
ყოველ გასაჭირის
სანაცვლო (შემოსავლები),
მახა, მე შენთვის სანთელი
ვიყო
ხატის წინ დასადნობი
(ჩამოსაღვენთი),
შენ იყავ ვარდი გაუშლელი,
ვიყავ მომღერალი, მე ბულბული,
გიჭიკჭიკე, აგაყვავილე,
გიყნოსე კიდეც მე, მახარია!
ეს რომ ასე იყო,
ვფიქრობ, არ თქვა შენც
უარი.
ბულბულისთვის გაშლილის
ვარდის პატრონი იყოს
ყვავი?

## სისა, ტურა

ნანაია, ნანა სქუა, ნანას
ჭირიმა,
აკვანიშა აშამჯანუ ვარდიშ
პირი მა,
გამუნონწყი შქართუნი დო
აშვოჯინი მა,
ბჟა დო თუთას ქოგურაფუ,
მუში ჭირიმა!
სისა, ტურა მუ(უ)რსია,
ბონდო ბოშის ლურსია,
ბონდო ბოში ოხუტოლუ
მუშ ნანასი გურსია.
ცასე დონაბადი რექ,
ბჟა დო თუთაშ ნარდი რექ,
მორდუდენი, მარდი რექ,
გოფაჩილი ვარდი რექ,
დიირულე, ნანა-სქუა, ლურს
გური უჩი,
ე დროებით მუშა გაში
ლურიშ უჯგუში

## სისა, ტურა

ნანაია, შვილო, ნანას ჭირიმე,
აკვანში მიწევს ვარდის
კოკორი მე,
გადავხადე საბანი და
დავხედე მე,
მზეს და მთვარეს დამსგავსებია, მისი ჭირიმე!
სისა, ტურა მოდისო,
ბონდო ბიჭს სძინავსო,
ბონდო ბიჭი ეხუტება (ჩახუტებია)
თავის დედას გულშიო.
ცისგან დაბადებული ხარ,
მზისა და მთვარის
გაზრდილი ხარ,
რომ გაიზრდებოდე, მადლი
ხარ,
გაშლილი ვარდი ხარ.
დაიძინე, ნანა-შვილო,
ძილს მიეცი თავი,
ჯერჯერობით (ასეთ დროს)
ვერაფერს იშოვი ძილზე
უკეთესს.

---

# აქციებზე გასვლის საბაბად მოსახლეობა სოციალურ პრობლემებს ასახელებს

**„სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების"** მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, რესპონდენტთა მხოლოდ 8,1% აცხადებს, რომ საპროტესტო აქციების გამართვის მიზეზებს ვერ ხედავს.

გამოკითხულთა დანარჩენი ნაწილი კი აქციებში შესაძლო მონაწილეობის სხვადასხვა საბაბს ასახელებს. მათ შორის, მთავარი აქცენტი, ძირითადად, სოციალურ პრობლემებზე კეთდება.

კვლევის შედეგების მიხედვით, პირველ ადგილზე 16,9%-ით უმუშევრობაა; მეორეზე 14,7%-ით – მაღალი ფასები და დაბალი ხელფასები; გამოკითხულთა 9,5% აქციებზე ადამიანის უფლებების დარღვევის მიზეზით გავა, 8,4% – მაღალი გადასახადების გამო. აღსანიშნავია, რომ რესპონდენტთა 7,4% საკითხს პესიმისტურად უყურებს და ფიქრობს, რომ აქციებში მონაწილეობას აზრი არ აქვს, რადგან ყველაფერი მაინც ძველებურად დარჩება.

საარჩევნო საკითხებისა და მოქალაქეთა პრიორიტეტების შესახებ კვლევა „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ" (ISFED), ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის ფინანსური მხარდაჭერით, პროექტის – **„დიალოგისა და შესაძლებლობათა განვითარების ხელშეწყობა ეფექტური ეროვნული საარჩევნო პროცესებისათვის"** – ფარგლებში განახორციელა.

---

# ნონა თოლორაია: ზუგდიდში საჯარო რეესტრს პროკურატურა განაგებს

როგორც საქინფორმის რეგიონული კორესპონდენტი სამეგრელოდან გვატყობინებს, საქართველოს **„რესპუბლიკური პარტიის"** ზუგდიდის ორგანიზაციის ხელმძღვანელი ნონა თოლორაია ხელისუფლებას ზუგდიდის რაიონის სოფლების – ანაკლიის, განმუხურის, ერგეტის – მოსახლეობის პირადი საკუთრების ხელყოფაში ადანაშაულებს. **„ხელისუფლების ძალმომრეობას სამეგრელოში საზღვარი არ აქვს, მაგრამ კოლხეთის მოსახლეობა არ შეეგუება აბუჩად აგდებას, ხელისუფლების ყველა ქმედება იქნება მხილებული.ანაკლიის, განმუხურის, ერგეტის მოსახლეობის 90%-ს ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე წაართვეს მათ საკუთრებაში არსებული მიწები, რომლებიც გატარებულია საჯარო რეესტრში. მოსახლეობა ითხოვს წართმეული ქონების დაბრუნებას ან ფულად კომპენსაციას. საჯარო რეესტრში გატარებული ქონება არის ხელშეუხებელი. საჯარო რეესტრი ზუგდიდში არის უუფლებო, უუნარო მდგომარეობაში; არ აქვთ უფლება, გასცენ საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტის ამონაწერი. თანამშრომლები მხრებს იჩეჩენ, რადგან ზუგდიდში საჯარო რეესტრს საოლქო პროკურატურა განაგებს"**, – აღნიშნა ბრიფინგზე ნონა თოლორაიამ.

თოლორაიას განმარტებით, საზოგადოება პასუხს ელოდება ხელისუფლებისგან. დაზარალებულ მოსახლეობას აქვს საპროტესტო განცდა. **„არავინ არის შენების წინააღმდეგი, მაგრამ არა წართმევისა და წაგლეჯის ხარჯზე. ჩვენ გვაქვს სათანადო დოკუმენტები, რომელთაც გავაცნობთ საერთაშორისო ორგანიზაციებს. მიუხედავად მოსახლეობის დაშინებისა, უკანდახევასა და დათმობას არ ვაპირებთ. ამიტომაც ვმართავთ გამაფრთხილებელ ბრიფინგს"**, – დასძინა ნონა თოლორაიამ.

ილორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ეკონომიკური და სოციალური პრობლემები საქართველოში

## ხელისუფლების არაგონივრული ქმედებების შედეგია

ა.წ. 14 აპრილს სასტუმრო **„თბილისი მარიოტში“** კავკასიური თანამშრომლობის ცენტრის ინიციატივით არსებული ეკონომიკური პრობლემების შესახებ სემინარი მოეწყო. სემინარში მონაწილეობდნენ ეკონომიკური სფეროს ანალიტიკოსები: დემურ გიორხელიძე, ნოდარ ჯავახიშვილი და სოსო არჩვაძე. შეხვედრაზე მოწვეული იყვნენ პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები და საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო **„საქინფორმის“** ეკონომიკურ საკითხებზე მომუშავე ჟურნალისტები.

ცნობისათვის: კავკასიური თანამშრომლობის ცენტრი ახლად შექმნილი რუსულ-ქართული ექსპერტული ორგანიზაციაა, რომლის თავმჯდომარეც **„მგიმო“**-ს ექსპერტი ნიკოლაი სილაევია. ცენტრი სხვადასხვა საინტერესო საკითხზე სემინარებს ყოველთვიურად მოაწყობს. ამჯერად კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სემინარი ეკონომიკურ პრობლემებს მიეძღვნა.

ქვეყანაში ეკონომიკური ვარდნის პროცესი გრძელდება: მცირდება ბიზნესის აქტივობა, საინვესტიციო კაპიტალი ტოვებს ქვეყანას, რეალური სექტორი – სოფლის მეურნეობა არ ვითარდება. ეს ყველაფერი კი საბოლოოდ სამუშაო ადგილების კიდევ უფრო შემცირებაში, შესაბამისად, უმუშევრობის ზრდასა და სოციალური რისკების მატებაში აისახება. სიტუაცია არასახარბიელოა. რიგითი მოქალაქეებისთვის თანდათან უფრო რთული ხდება თვიდან თვემდე თავის გატანა, რასაც ჩვენში, უბრალოდ, ოჯახის რჩენას ეძახიან. უკვე რამდენიმე თვეა, ლარის კურსი დოლართან მიმართებაში გამყარდა, მაგრამ ამას სურსათზე ფასების კლება არ გამოუწვევია. ამ და ქართული ეკონომიკის სხვა ჭირ-ვარამზე ეკონომიკური სფეროს ანალიტიკოსებმა კიდევ ერთხელ იმსჯელეს. იმსჯელეს და დაადგინეს, რომ ჩვენი სოციალური უბედურების (რაც პირდაპირ კავშირშია ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობასთან) თავი და თავი მიზეზი სულაც არ არის ეკონომიკური ფაქტორი; ყველაფერი განპირობებულია ქვეყნის ხელისუფლების პოლიტიკით.

**„ბოლო პერიოდში აქცენტი გადატანილია პოლიტიკურ ჭრილში. თვით ინფლაციაც კი პოლიტიკური საკითხი გახდა და არ ხდება ეკონომიკური ანალიზი. თუ ბოლო 6 წლის საბიუჯეტო სახსრებს გავაანალიზებთ, აღმოჩნდება, რომ ხარჯების ნახევარზე მეტი მოდიოდა იმ სტრუქტურების დაფინანსებაზე, რომლებიც ემსახურება არსებული სისტემის შენარჩუნებას. აქედან გამომდინარე, რეალურია საფრთხე, რომ სახელმწიფო გახდეს საკუთარი თავისთვის მომუშავე. იმავე ბიუჯეტიდან მხოლდ 9% იხარჯება სოციალურ პროგრამებზე, მაშინ, როდესაც ევროკავშირის ქვეყნებში ბიუჯეტის 30% მიმართულია სწორედ სოციალური პროგრამებისკენ“**, – აღნიშნა ექსპერტმა ეკონომიკურ საკითხებში **სოსო არჩვაძემ.**

სოფლის მეურნეობის წილი ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში შემცირდა 8%-მდე. ამ დროს სოფლად ცხოვრობს ქვეყნის მოსახლეობის 53%, ხოლო სოფლის მეურნეობაში, ჩვენი საკმაოდ უცნაურად მომუშავე სტატისტიკის უწყების ცნობის თანახმად, 48%-ია დასაქმებული. სოსო არჩვაძის განცხადებით, წარმოება ეფექტიანია მაშინ, როცა ერთი დასაქმებული არჩენს საკუთარ თავს და კიდევ ორ სხვა ადამიანს. დღეს სოფლის მეურნეობაში დასაქმებულები კი საარსებო მინიმუმის შესაბამის პროდუქტსაც ვერ ქმნიან.

**დემურ გიორხელიძის** განცადებით კი, არც თბილისის და სხვა ქალაქების მცხოვრებნი არიან უკეთეს დღეში:

**„საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ 5% ცხოვრობსძალიან კარგად, 9% – კარგად, ანუ დაახლოებით 350-400 ათასი კაცია, ვისაც არსებობის პრობლემა არ აქვს. მოსახლეობის 86% კი მხოლოდ სიღარიბის ხარისხით განსხვავდება ერთმანეთისგან. სოციალური პოლიტიკა ჩვენი ხელისუფლებისთვის მხოლოდ პენსიის მომატებით განისაზღვრება. ამ დროს მსოფლიოში სოციალური პოლიტიკა ასე არ გაიგება. აქედან გამომდინარე, დასაქმების პრობლემის მოგვარების არანაირი პერსპექტივა არ არსებობს, რადგან უმუშევრობა რომ დაძლიო ,საჭიროა გონიერი სახელმწიფო პოლიტიკის გატარება. ჩვენს ხელისუფლებას კი ეს პოლიტიკა არ აქვს“.**

ექსპერტები ხელისუფლების ილუზიად მიიჩნევენ ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტენდენციასაც:

**დემურ გიორხელიძე:** **„ბევრს საუბრობენ ეკონომიკურ ზრდაზე, მაგრამ თუ სწორი ეკონომიკური მიმართულებით ვივლით, სამი წელი მაინც გვჭირდება, ომამდელ მაჩვენებელს რომ დაუბრუნდეს ეკონომიკური ზრდა. არასწორი მიმართულებით სიარულისას კი, სამწუხაროდ, ჩვენი ხელისუფლება სწორედ ასე მოქმედებს, 4-5 წელი მაინც დაგვჭირდება. არსებული მძიმე მდგომარეობა – ეკონომიკის შეკუმშვა და კერძო სექტორის დაკნინება, საფინანსო სისტემის დეფექტები – არის ხელისუფლების არასწორი პოლიტიკის შედეგი. საქართველოში ეკონომიკური პრობლემები აშკარად მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის დაწყებამდე და აგვისტოს ომამდე ადრე გამოიკვეთა. ომმა გადაარჩინა საქართველო. მაშინ დახმარების სახით მიღებულმა ფულადმა რესურსმა ხელისუფლებას საშუალება მისცა, რაღაც გაეკეთებინა, თუმცა ის ფული არასწორად გაიხარჯა. იმ ფულის ნაწილი კერძო სექტორის, ადამიანების ქმედითუნარიანობის შენარჩუნებისთვის უნდა დახარჯულიყო“.**

ფულის დეფიციტს ხელისუფლება არც ახლა განიცდის, დახმარებებსა და გრანტებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, სესხს სესხზე იღებს და ვალს ვალით ისტუმრებს. ბოლო დღეებში სახელისუფლო ვერტიკალის ყველა შტოს წარმომადგენლები სახეგაბადრული ამცნობენ საზოგადოებას, რომ ახალი ევრობონდების გამოშვებით საქართველოს საგარეო ვალების პრობლემა მოიხსნა და 2021 წლამდე შეგვიძლია მშვიდად ვიყოთ. ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტის – ნოდარ ჯავახიშვილის განცხადებით კი, ხელისუფლების აღტყინება არაადეკვატურია:

**„ეს არის მხოლოდ 500 მილიონი. ეს ნამდვილად ვერ მოხსნის ვალის პრობლემას, რადგან მთლიანობაში საქართველოს საგარეო ვალი სხვადასხვა დონორი ორგანიზაციისა და ქვეყნების მიმართ წლის ბოლომდე 8 მილიარდს გადააჭარბებს.**

**ეს ხელისუფლების მორიგი ტყუილია. ბანკშიც კი, თუ სესხის ვადაზე ადრე დაფარვას მოისურვებს დებიტორი, ჯარიმას ახდევინებენ. 2008 წელს გამოშვებული ევრობონდების მფლობელები რატომ მიიღებენ ვალს ნაადრევად და უარს იტყვიან სარგებელზე? 2 წლით ადრე როგორ უნდა გადაიფაროს? მე სერიოზული ეჭვი მაქვს, რომ მთავრობა იტყუება. ვფიქრობ, გაუჭირდათ და ეს თანხა ბიუჯეტის ხარჯებისა და ვალდებულებების დასაფინანსებლად სჭირდებათ“**, – განაცხადა **ჯავახიშვილმა.** მისი თქმით, არც ის არის სატრაბახო, რომ საფონდო ბირჟაზე ქართული ევრობონდებით დაინტერესება მაღალია, რადგან ეს ბუნებრივია, როცა სხვა ქვეყნებთან შედარებით მაღალ პროცენტს სთავაზობენ. 7,5% პროცენტი კი ძალიან მაღალია.

## ტურიზმი, სოფლის მეურნეობა, ინგლისური ენა და ბოლოს ქართული – რა იქნება შემდეგი "პრიორიტეტი

როგორც ცნობილია, ევროსაბჭომ საქართველოსთან დაკავშირებით რეზოლუცია მიიღო, რომელსაც წინ ადამიანის უფლებების დაცვის შესახებ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიში უძღოდა. ორივე დოკუმენტი საკმაოდ კრიტიკული იყო საქართველოსთან მიმართებაში. ცნობილია ისიც, რომ ევროსტრუქტურებისთვის ძირითად პრიორიტეტებს შორის, სასამართლოსა და მედიის თავისუფლებისა და თავისუფალი არჩევნების გარდა, ეთნოუმცირესობების უფლებების დაცვაცაა.

კრიტიკული დოკუმენტების გამოქვეყნებას, რატომღაც, დაემთხვა პრეზიდენტ სააკაშვილის კიდევ ერთი ახალი ინიციატივა, რომელიც, ერთი მხრივ, ქართული ენის მოვლას, მეორე მხრივ კი, სწორედ ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვას ეხება. ხელისუფლებას რომ ქვეყნის განვითარების კონკრეტული გეგმა და პრიორიტეტული მიმართულებები არ გააჩნია, ფაქტია. პრიორიტეტი ხან – ტურიზმი, ხან – სოფლის მეურნეობის განვითარება, ხანაც ინგლისური ენის პოპულარიზაციაა. ამჯერად სააკაშვილმა პრიორიტეტად ეროვნული უმცირესობებისთვის ქართული ენის მაღალ დონეზე სწავლება დაასახელა. საგანგებოდ მოწვეულ თათბირზე მან საზღვრისპირა რეგიონებში ქართული ენის გაძლიერებული სწავლების შესახებ ისაუბრა. პრეზიდენტმა მათ გარკვეული დავალებებიც გასცა:

1) კურსის აღება იმაზე, რომ მომავალი წლის ბოლომდე ყველა არაქართულენოვან სკოლაში საგნების 30% მშობლიური ენის პარალელურად ქართულად ისწავლებოდეს;

2) თუკი ბაკალავრები, რომლებსაც მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელება სურთ, წავლენ და ქართულის მასწავლებლად იმუშავებენ რეგიონებში, 500-ლარიანი ხელფასის გარდა, ერთწლიანი მუშაობის შემდეგ, სახელმწიფო მაგისტრატურაში სწავლას სრულად აუნაზღაურებს;

3) დოქტორანტურის ყველა სტუდენტს კრედიტებში ჩაეთვლება ქართული ენის სწავლება. ყველა ადგილობრივი მასწავლებელი კი, ვინც საგნებს ორ ენაზე ასწავლის, მაგალითად, მათემატიკას ასწავლის ქართულად და აზერბაიჯანულად, ან გეოგრაფიას – ქართულად და სომხურად, მიიღებს 200-ლარიან დანამატს.

4) უნდა გაიხსნას ქართული ენის სახლები ყველა დასახლებაში, სადაც ისწავლიან არა მხოლოდ სკოლის მოსწავლეები, არამედ ყველა ასაკის ადამიანები;

5) პატრიოტთა ბანაკებში დამსვენებელთა კონტინგენტის ნახევარი მაინც, უნდა იყვნენ ისინი, ვინც ქართულად არ ლაპარაკობენ ან ლაპარაკობენ ცუდად. მაგალითად, ანაკლიის ბანაკში, რომელიც წელს ზეკლასის იქნება, უნდა იყვნენ ქართულის მასწავლებლები და მას, ვინც ამ სამოთხეში წავა დასასვენებლად, ყოველდღე ქართულის გაკვეთილი ექნება;.

**P.S. რაღა თქმა უნდა, ხელისუფლების ახალი პრიორიტეტი, მშობლიური ენის მოვლისა და დაცვის თვალსაზრისით, ცუდი არაა, თუმცა ამ მხრივ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ თითქმის არაფერი გაკეთებულა. ხელისუფლებამ ზრუნვა ჯერ ინგლისურ ენაზე დაიწყო, არადა, ალბათ, ნამდვილად ჯობდა, ამ პროგრამაში ჩადებული თანხები ჯერ მშობლიური ენის გასაძლიერებლად გამოეყენებინა. გარდა ამისა, „პრიორიტეტული“ ინგლისური ენის პარალელურად, ალბათ, ურიგო არც რუსული ენის სწავლების გაძლიერება იქნებოდა, რადგან თითქმის ყველა მეზობელ ქვეყანასთან რუსულ ენაზე გვიწევს საუბარი. პრეზიდენტის გარდა, რუსული ენა თითქმის აღარავინ იცის ისე კარგად, რომ მეზობელს დაელაპარაკოს. მცოდნე პრეზიდენტთან საუბარი კი, მოგეხსენებათ, რუსეთის ხელისუფლებას არ სურს.**

## ჯავახეთში განხორციელებულმა ინვესტიციებმა ერევანი შეაშფოთა

სომხური არასამთავრობო ორგანიზაცია **„მიტკი“** ოფიციალურ ერევანს და სომეხ მეწარმეებს ურჩევს, საქართველოში ინვესტიციები არა აჭარაში, არამედ სამცხე-ჯავახეთის რეგიონში განახორციელონ. ამის მიზეზად სომეხი ექსპერტები აღნიშნულ რეგიონში თურქული და აზერბაიჯანული კომპანიების გააქტიურებას ასახელებენ და შიშობენ, რომ ეს რეგიონის მუსულმანიზაციას გამოიწვევს, რაც სომხეთს გარკვეულ პრობლემებს შეუქმნის. **„დღეს სომეხი მეწარმეები დაინტერესებულნი არიან, რომ ინვესტიციები საქართველოს ზღვისპირა ქალაქებში – ბათუმსა და ქობულეთში ჩადონ. მეწარმეებს უნდა ესმოდეთ, რომ მათთვის ერთადერთი და საიმედო გზა დანარჩენ მსოფლიოსთან დასაკავშირებლად ჯავახეთის რეგიონია, სადაც მუსულმანური ელემენტები მუდმივად აქტიურდებიან. მოვლენების ასეთი განვითარება, პირველ რიგში, ეწინააღმდეგება სომხეთის ხელისუფლების ინტერესებს“**, – აცხადებს ექსპერტი ვაგე სარქისიანი. იგი მთავარ პრობლემად ჯავახეთში მიმდინარე რამდენიმე პროექტს ასახელებს. მათ შორის, ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას ფარავნის ტბასა და მტკვარზე, ასევე, სამცხე-ჯავახეთის გზის რეაბილიტაციას. მისი თქმით, ყველა ამ მნიშვნელოვან პროექტს სწორედ თურქული და აზერბაიჯანული კომპანიები ახორციელებენ.

## ისრაელმა საქართველო საშიში ქვეყნების ნუსხაში დააბრუნა

*ან მართლაც საქართველოს მტერი უნდა იყო, ან საქართველოს მოძულე სომეხი*

ისრაელის ტერორიზმთან ბრძოლის შტაბმა, რომელიც ნაციონალური უსაფრთხოების საბჭოში შედის, გაავრცელა განცხადება, სადაც რეკომენდაციაა, ისრაელის მოქალაქეებმა პასექის დღესასწაულის წინა დღეებში თავი შეიკავონ საქართველოსა და სომხეთში გამგზავრებისაგან.

განცხადების მიხედვით, ამ ქვეყნებში არსებობს ისრაელის მოქალაქეთა მოტაცების საფრთხე „ჰეზბოლას“ ან „ჰამასის“ ტერორისტების მიერ. განცხადებაში, ასევე, ნათქვამია, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში არის „კონკრეტული საფრთხე“. ინფორმაციას ამის შესახებ „Іზღუს“ ავრცელებს.

საშიში ქვეყნების რიცხვში კიდევ ორი პოსტსაბჭოთა ქვეყანა მოიაზრება – აზერბაიჯანი და ტაჯიკეთი. თურქმენეთი ამ სიიდან დღეისათვის ამოღებულია.

ისრაელის შტაბის ეს განცხადება საფრთხეს შეიცავს იმ თვალსაზრისით, რომ აქამდე საქართველოში „ჰეზბოლა“ და „ჰამასი“ არასოდეს უხსენებიათ და ჩვენს ქვეყანას არც არასოდეს აკავშირებდნენ მათთან. სავარაუდოდ, აღნიშნული გადაწყვეტილება უნდა მიღებულიყო საქართველოში ორი ებრაელი ბიზნესმენის დაკავების გამო, რომლებსაც მაღალჩინოსნის მოქრთამვის მცდელობა ედებათ ბრალად. ამ მეთოდით ისრაელის ზოგი სტრუქტურა ცდილობს საქართველოსა და ისრაელის ტურისტული თანამშრომლობის ჩაშლას.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ჭყლოჭყმყ“

## ბორჯი პირველი

პატარა ოტობაია მართლაც ერთიათად ჩამოუვარდება დიდს ტერიტორიით თუ სულადობით, ოღონდ იქ ხალხი გაცილებით შეძლებულია, ვინაიდან მდინარისპირა ზოლში თხილის საარაკო მოსავალი იცის, ხოლო ჩვენები ძირითადად სიმინდით ირჩენენ თავს.

ჩვენი ოჯახი ხომ მთლად ბოგანოა, რამეთუ, როგორც მოსამსახურეებს 1500 კვადრატული მეტრის მიწას მოგვიზომავენ თავიდან. ეს ნაბდისგაშლა მამული დედაჩემის ძალისხმევით ჯერ 2500-მდე გაიზრდება, შემდეგ სახლისგან მოშორებით კიდევ ავიღებთ საყანე ნაკვეთს. მას აქეთ ჩვენი საცხოვრისის წინ, ვაჰანიებისგან ჩალის ფასად შევიძენთ გაუდაბურებულ სამოსახლოსაც, მაგრამ ნაპო ბიძიასგან განსხვავებით მაინც ალთა-ბალთას გაფანტული მეურნეობა გვაქვს და შესაბამისად იქაურ მადლსა და ბარაქას ვერაფრით შევიტკბობთ.

პატარა ოტობაიელებზე ერთსაც დავსძენ: თავმომწონე ხალხია იქ, მომეტებით თავმოყვარენი, თორემ ოტობაიელის ენიანობისა მომიხსენებია.

ჰოდა, ერთხელ, ამერიკაში საგასტროლოდ წარმგზავრებულ ყველასთვის საამაყო ზურაბ სოტკილავას, რომელიღაც სიმღერის ჩამთავრების შემდეგ, დარბაზიდან მეგრულად შემოეხმიანება ფრაკიანი ხანდაზმული:

— სონ რექ წიე, სი?

— ჰიჭე ოტობაიაშე!— მკვირცხლად უპასუხებს სცენიდან ტენორი.

— დიდ მუთუნ ვარდ დო ჰიჭე მუ იყი? — გადაიხარხარებს იანკი კოლხი და ხელებგაშლილი გაემართება მსახიობისკენ.

ეს ყველაფერი სასხვათაშორისოდ.

ჩვენი სამკვიდრობლის ჩრდილოეთით საზანთარაიაოა, ზურგს უკან, რადგან აღმოსავლეთი ჩვენგან ხელმარცხნივაა, უკუღმართად. ისინი ლამის გაგიდამდე არსებულ სივრცეს ავსებენ და განსაკუთრებული დაბდურხასიათით გამოირჩევიან.

ზანთარაიაზეა თქმული, ღელეში სავსე მთვარის ანარეკლი სულუგუნი ეგონა ბედოვლათს და მოადინა კიდეც შიგ დღვაბანი იანვრის მიწურულსო;

მათზე ხითხითებენ დღემოსწრება, მარილი რომ დათესა თურმე მეურნე კაცმა ხასაიას შემოამხანაგებით, უხვ მოსავალს მოვიწევთ და ავშენდებითო;

ზანთარაიებზე წახუმრებულია მათემატიკის ცოდნის უიშვიათესი მაგალითი, როცა ას ჭოლოკს მიიტანს კაცი შინ და საჭიროებისას ორმოცდაათიღა აღმოჩნდება დიასახლისის ხელმარჯვობის თუ მეზობლის ქურდბაცაცობის მეოხებით:

— გახმა და აბა, რა იქნებოდა, განახევრდაო, — იმართლებს თავს.

სამხრეთით სახუფენიაოა, ნაპო ბიძია, სერაპიონის ბიჭები, ჯიბა გოლკიპერი, მეცხენენი და გუთნისდედანი, ჩემი კბილა ზურა, სიმღერაში უბადლო;

იქ საჯაიებიც მკვიდრობენ უხვად, გულფიცხელანი, ხშირწარბება ვალიკოს მეთაურობით, რომელსაც ნატყვიარი მარჯვენა სულმუდამ მოკეცვია და კიდევ — ალფენიძეები, რუსულის მასწავლებელი ტრიფო, ერთადერთი სალანძღავი ეპითეტით: **„სი ძუიკი“** — შე ჟულიკო;

შეუდარებელი ბარიტონი ჭუკა მრავალრიცხოვანი ჯალაბით, ბერანძეები...

დასავლეთი ძაძუებს, იზორიებსა და ჭანიებს დავუთმოთ, ტუჩნაჭრილობევ მეწისქვილე დოროთეს, ჯაგარაულვაშიან გრიშას, ნოეს, ვარადის, როხროხა ორდეს, ხეკულე ვაგის და ვინ მოსთვლის.

მათში გაბნეულა ჩემი თანაკლასელი ტარზან თოდუას მამა გუგუ, გაკვეთილს რომ დააწყებინებენ და ნახევრის შემდეგ:

— ჭუჭუ, შენ გააგრძელეო, გადაულაპარაკებს უმცროს ძმას.

რაც შეეხება აღმოსავლეთს, მესხიებისთვის, შენგელიებისთვის და გამისონიებისთვის გვიბოძებია.

მათში დაუნჯებულა ენაკვიმატი ნოჩო თაკალანძე.

საქვეყნოდ ცნობილია მისი დიალოგი გალის რაიკომის პირველ მდივანთან, დამიანე გოგოხიასთან.

ეკითხება ლადის ძე უხუცეს ოტობაიელს:

— ხომ ვერ გვეტყვით, სოფლის წინსვლას ვინ უშლის ხელს თქვენთან?

— რატომაც არა? — სერიოზულია ნოჩო თაკალანძე, — სამი კაცია სულ, თავმჯდომარე, პარტკომი და ბუღალტერი.

— გაიმეორებთ ამას კრებაზე?

— უეჭველად! — უდასტურებს ნოჩო ყალიონის პლაკუნით.

ოტობაიელები დაფაცურდებიან. კრებამდე გვარიანი დროა და ჩაუყრიან ნალიაში სამ ურემ სიმინდს, ორ ფუთ ლობიოს, ფულსაც ცალკე წეკოსთვის, მთელი წელიწადის სამყოფს.

აგერ, კლუბში მოგროვილია საზოგადოება. აქ ბრძანდება კიტელიანი ნოჩოც. დამიანე ხელით ანიშნებს ასაკმოყრილ წვეროსანს: აბა, ილაპარაკეო და ისიც წამოიმართება სანახევროდ წელშიგაღუნული, ჭერისკენ თვალაპყრობილი:

— ამხანაგო, მდივანო, ტყუილი მოგახსენეთ, სამი კაცი ყვლეფს სოფელს-მეთქი: თავმჯდომარე, პარტკომი და ბუღალტერი; ახლა უკვე ოთხია, გაჩუმებისთვის მომართვეს წეღან სიმინდი ურმეულებით და თავს ზემოთ ძალაა?

ასეთია ჩემებურების არეალი სიყრმისჟამინდელ ოტობაიაში. იქ გოჯით არ შეცვლილა საგვარეულოთა განლაგება გეოგრაფიული თვალსაზრისით. მოხდა მხოლოდ თვისებრივი გადაადგილება ყოველდღიურობიდან მარადისისკენ, ანუ საწუთროდან სამუდამო სასუფევლისკენ — სასაფლაოსკენ. იქ კი, იმ ყურუმ ადგილას, მოშლილია უკვე სამყაროს კოორდინატთა სისტემა, მისი აღმოსავლეთ-დასავლეთი თუ ჩრდილოეთ-სამხრეთი, მაღლითა თუ დაბლითა, შორი თუ ახლო; იქ განსაკუთრებული კანონზომიერებით განისვენებენ ჩემებურების ნათელი სილუეტები: მაგალითისთვის, მიხეილ ფეტელავა, იგივე მიშა, მიხფე, დასავლეთით რომ მოქცეულა, ნაპო ხუფენია აღმოსავლეთითაა, ჰერიკო პაპასქუა — ჩრდილოეთით და თომა გელენავა განუყრელი მუთარეთი — სამხრეთით, თუმცა ამ მეტამორფოზას ვითომ გააჩნია არსებითი მნიშვნელობა, როცა ცოკოლამდეა შემუსრილი აფხაზებისა და მათი დამქაში სომეხ-კაზაკჩეჩენის ხელით კოპწია საცხოვრისები?!

ზოგი მათგანის პატრონი იმ ნაგებობის უკეთ ასაბრიალებლად მიმატებია კიდეც ცეცხლის ენებს საწვავ მასალად.

ისე კი მომხდური მთლად არ განძირალებულა, წლების მანძილზე საფლავებისთვის იოტისოდენად არ უხლია ხელი.

ნუთუ ფეთქავს მათ არსებაში სინდის-ნამუსის ძარღვის ნატამალი?

დანაცრეს ოდა-სახლი; დაანახშირეს სამზადი, ნალია, საქათმე და საღორე, საბძელი; აამტუტეს ყოველივე, რაც სიცოცხლის ნიშან-წყალს შეესაბამება, ტუალეტიც კი, მხოლოდ საფლავებს არ გაკარებიან და ისიც იმ მოტივით, ალბათ, რომ სიკვდილის ატმოსფეროსთვის ხაზი გაესვათ; რომ ამ სოფლად ყოველივე მიცვალებულია:

მკვდარია ბუხრები, საიდანაც კვამლი ამოდიოდა ოდესღაც;

გარდაცვლილია ჭები, ვინაიდან მჭყარებს გადაელოცა იგი გაუქმებული ოწინარის თამადობით; მორღვეულა ღობეები, ეკალ-ბარდს მინებებულა ჩემებურების ნაოფლარ-ნაღვაწი საუკუნოობით;

მხოლოდ საფლავები, მხოლოდ მარმარილოში ამოვლებული ოტობაიელთა სამუდამო სავანეა ხელუხლებლად.

ესეც მტრის ქვეტექსტური ნიშნისმოგება:

— არაფერი დარჩება შენგან საფლავის გარდა. არარაია ამ მიწაზე შენი საწილო სამარის მეტიო, — გეუბნება დუშმანი უსიტყვოდ.

ჩემი ვარაუდის მართებულობას ერთი ფაქტიც ადასტურებს.

დღესაც, ამ მამასისხლურ დამოკიდებულებაში, მამაპაპისეულ სასაფლაოზე მხოლოდ მიცვალებულთა გადმოსვენებაა შეუფერხებელი, უშლაგბაუმო. ცოცხალს ყელს გჭრიან, სისხლს ხვრეპენ შენი ძარღვებიდან წამოანკრებულს და როცა ცხედრებით მიბრუნდები იმავ მიწაზე, კარები ფარღალალაა შენიანთა ნეშტების დასამარხად. მკვდარი კარგია სათვალთვალოდ, გულის მოსაოხებლად.

— რა ნაზი ბეწვი გქონია, რა ხატულაო, — მახსენდება ფოლკლორიდან დაურვებულ ვეფხვზე თქმული ბალადა, და ასეა შენი ძვალშესალაგი მომხდურისათვის, ბრჭყალებდალეწილი, უვნებელი, ბუტაფორია მხოლოდრე!

ძუძუმტეს ველოსიპედის აღმა-დაღმა ქროლება მიხსენებია, მაგრამ აღარც ურიკელასთანაა მაინცდამაინც მწყრალად. ტყუილად როდი ვეძახით ბრიკეტას. ხშირად ვმეურვეობ ძუძუმტეს, თუმცა რა მეურვეობა, ჯირკივით ჩაკირული თუ გააბრაზე, ბოკვერივით შემოგიღრენს. ისევ მეგობრობა სჯობია, ჰოდა, გამოიძებნება ჩვენი თანხმობის უებარი საშუალება — ბიბლიოთეკა, წიგნები.

ნაპო ბიძიასთან უფრო ისტორიული ხასიათის ტომეულებია: ივანე ჯავახიშვილი, სტრაბონი, ლამბერტი, ბოროზდინი, ჰეროდოტე; მხატვრული ლიტერატურაც მსგავსი ყაიდისაა, ისტორიული რომანები: **„გმირთა ვარამი“, „დავით აღმაშენებილი“, „აივენჰო“**... ეს წიგნები ჩემთანაცაა. ჩვენი ბიბლიოთეკა მხატვრულ-მეცნიერულის ნაჯვარია.

ზედა თაროზე **„დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის“** სრულყოფილი, შავყდიანი ზორბა ტომეულებია. მერე მოდის თხზულებები ანთროპოლოგიაზე, ბიოლოგიაზე, ფარმაკოლოგიაზე, ქიმიასა და ფიზიკაზე. ათეისტური ხასიათის წიგნების სიმრავლეა. გამადიდებული შუშითაც ვერ დალანდავ ძველსა და ახალ აღთქმას. ეს ყველაფერი ილუსტრირებულია და ამდენად, ოთარიც გამოჭერილი მყავს, როცა საკითხი დათვალიერებას, თვალსაჩინოებას ეხება. ამ მხრივ ჩემი ბიბლიოთეკა მთელი სამეზობლოს თანატოლებს იზიდავს: აშორტიებს, ელიავებს, რატიებს, იზორიებს. ჩვენ ვფურცლავთ ენციკლოპედიებს და რიგრიგობით ვითვისებთ ყოველ შემხვედრ რეპროდუქციას. ვისაც ფერადი ერგება გალაღებულიც ისაა. წრეში ვსხედვართ უმეტესწილად. ერთი კრემლს რომ მიისაკუთრებს, მეორეს მავზოლეუმი ერგება ლენინითურთ, ან კიდევ — დრეზდენის სამხატვრო გალერეა თუ სულაც სფინქსის გამოსახულება. ცხადია, ეს ნაგებობანი ამგვარი თანამიმდევრობით როდი განლაგებულა ძვირფას გამოცემაში, ახლა, ჩემეული მონტაჟის წყალობაა გონებით, მაგრამ ხომ გარკვეულა ჯილდო-მიდრეკილებათა ნუსხა?!

ოთარსთან ძუძუმტეობის გარდა უამრავი ნათესაური განცდა მაკავშირებს. ყველაფერს რომ მოვეშვათ, ჩვენ სისხლხორცი დები გვიყვარს, უფროსი — მე და შუათანა — ბრიკეტას. ისინი ჩვენ-ჩვენი თანაკლასელები არიან. ამის თაობაზე ყველაფერი უწყიან მშობლებმა. შემოტევა ორივე ფლანგზე ანგარიშგასაწევია, მაგრამ ქოქოლას სიყვარული ჯერეთ ვისთვის მოუშლევინებია, ჩვენ რომ მოგვაშლევინოს?!

ისე, გასაოცარია ფრიად, რატომ ზომავენ მშობლები სარძლოებს და სასიძოებს საკუთარი არშინადლებით?! რატომ არ ძალუძთ წამით მაინც გარდაისახონ და იმნაირად ჩააშტერდნენ თავიანთი შვილების სატრფოებს, როგორც ამას მათი მემკვიდრეები ახერხებენ?!

არა, მშობლები გაცილებით უცხონი არიან შვილებისთვის, ვინემ— ქუჩა, მოედანი, წისქვილი, სტადიონი. ჰოდა, რადგანაც მიჯნურებითაც ვემოყვრებით ერთმანეთს მე და ოთარი, ბუნებრივია, შეშის დახერხვა გვერდიგვერდ გვირჩევნია, კუნძების დაპობაც, ჭიდან წყლის ამოღებაც თუ წისქვილში წამგზავრება ზოგჯერ ველოსიპედით და უფრო ხშირად — ურიკელათი.

ეთერ დეი დასაქმების წინ უცილობლად დაგანაყრებს ფუმფულა პურით და მტკავლის სიგრძის სულუგუნის ნაჭრით. ჩვენს ოჯახში სულუგუნი დიდხანს ვერ ჩერდება. ერთი ძროხა იძლვანკება ორ-სამ ლიტრ რძეს, რომლისგან მუჭისისხო კაზლა ყველი ძლივს გამოდის. დანარჩენ რძეს წამოადუღებს დედა და ეგრევე ზეზეურად მივირთმევთ მარილით გაჯერებულს. ხოლო ხუფენიებისას ყოველ დილა-საღამო მოზრდილი ქვაბი მისჩერებია დიასახლისს თვალებში:

— მომიფრთხილდი ჭირიმე, მზერა ნურსაით გაგექცევა, თორემ შეიძლება ისე უცაბედად წამოვფუვდე, ნახევარიც არ დავრჩე ჭურჭელში უპატივცემლობის გამოო.

ეთერ დეი ჩემი დიდი ქომაგია. იცის კალამს ვაჭრაჭუნებ და ვეამაყები. თავისუფალ თემებს, დამრიგებელი ნელი შამუგხე რომ მაწერინებს გაკვეთილებზე, უსულგულო გარჩევების სანაცვლოდ, დეიდა კითხულობს უკლებლივ, მეხსიერებით აღდგენილს. ჩამისწორებს შიგადაშიგ, თანაც რჩევა-დარიგებასაც შემომაშველებს. შეყვარებულის დედისა და დეიდაჩემის შეფასებანი შეთანხმებულივით ემთხვევა ერთურთს.

სადღაც **„ორმოტრიალი“** მეწერა, რაზედაც ეთერ დეი ბევრს იცინებს, მერე დაყვავებით, გულდინჯად ამიხსნის ამ სიტყვის წარმომავლობას. რაც მე აქამდე ორმოში ტრიალი მეგონა, (ვინაიდან ომი საბოლოოდ ორმოში, საფლავში გვაწვენს აქეთაც და იქითაც მოურჩენელი შედეგებით), თურმე ორი ომის ტრიალი ყოფილა, ანუ ორის ქიშპობა, სამკვდრო-სასიცოცხლო პაექრობა.

ახლა, სანამ უშუალოდ სიყვარულის ფესვებს მოვაშიშვლებდეთ, ბარემ ომის ბატალიებსაც გადავავლოთ მზერა და რადგანაც ნადს ჯერაც არ დაუმთავრებია სიმინდის ტაროების გარჩევა, ჯერ კიდევ მეორე სართულის ფართო აივანზე აქვთ გაძეგილი კალათები შოთა მარღანიასა და ხუტა ხუფენიას; ჯერ კიდევ მწუხარების სუროებით არ შემოსილა ამათი დაკუთხული სვეტები; ჯერ კიდევ თავი არ ჩამოუხრჩვია ოჯინჯალეზე სილოვან ბიძიას, ნაპოს უმცროს ძმას და ხელის ერთი მოსმით არ დაობლებულან ჩვენი კარის მეზობლები, რომელთაც მრავლად მიაგებს პატივს აქამდეც გულჩათხრობილი ბიძა. ჰოდა, წარმოუდგენელია ისე ჩამთავრდეს სამუშაო, რომ ერთხელ მაინც არ ამოტივტივდეს ომის თემატიკა სრული მასშტაბით.

სოფლის ცენტრში, ვიდრე ახალ კინოთეატრს აგვიშენებდეს სახელმწიფო ტიტიკო ალფენიძისა და ჰერიკო პაპასქუას ხელით, დიდ-პატარა მიწატკეპნილ კლუბში დავყრილვართ, სოხანესაც რომ იტყვიან იმერეთით.

გართობას დანატრებული საზოგადოების სამყოფი სკამი თუ მერხი სად მოიძევება იმ ავგიას თავლაში?! ჰოდა, ვბუღრაობთ პრეისტორიულ ბუღში. კადრების გარჩევა ჭირს თამბაქოს კვამლსა და მტვრის გრაგნილებში. მაინც არას ჩივი, ყირაზე გადადიხარ ფილმის მაჟორული პასაჟებით მოხიბლული, მაგრამ **„ჭიჭა ხარჩილავა მოვიდაო“**, ჩაგეწვეთება ყურში და ზურგზე ბურძგლი დაგასხდება მყისვე. მკვდრების გამპატიოსნებელია ჭიჭა ხარჩილავა, ეშმაკის ნაშობი, ჭინკა; ჭიანაჭამი კბილებით გაგიღიმებს და შუბლი დაგიცვარნამდება. ინდოელი ფაკირი მიმიქარავს, გველები დაჰყავს უბით და არ იცი ფეხებს რა მოუხერხო: ვაი თუ გაუშვა რომელიმე, ან გაეპარა?!

მისჩერებიხარ ეკრანს კინკრიხოზე თმა აჯაგრული და ომის საშინელებანი, აფეთქებები, ნგრევები, ბომბდამშენების წუილი, მოუხელთებელი პარტიზნების სიმამაცე და სანაცვლოდ მშვიდობიანი მოსახლეობის კედელთან მიყენება, საბოლოოდ გავიწყებს ჭიჭა ხარჩილავას არსებობას თუ უბეებით შემოყვანილი უნასების ლაშქარს.

მოზარდის გონებაში ჯიუტად იკვეთება ეჭვმიუტანელი რეალობა: საბჭოთა ჯარისკაცი უძლეველია დედამიწის ზურგზე. ამიტომაც ჩვენიანებს ვეძახით წითლებს და ცხადია, მტრის ხატიც საპირისპირო განზომილებით წამოგვესვეტება თვალწინ.

გმირების მეტი ვინ ჰყავს XX საუკუნის კაცთაკვლას პოლიტიკური ნიშნით, რამაც ორმოცდაათი მილიონი ადამიანის სიცოცხლე წაასულსწრაფა მოუსავლეთში.

სად უნდა ჰპოვო ჰუმანიზმის ტაძრები, მეჩეთები თუ სინაგოგანი?! ან რა უსუსურია არესის დამანგრეველ ძალასთან შედარებით ბიბლიური შეგონებანი: **„არა კაც ჰკლა“, „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი“** და კიდევ უფრო მიუწვდომელი, კაცობრიობის შორადშორეული ოცნება — **„გიყვარდეს მტერი შენი“** — ქრისტეს ბაგეთაგან აღმომსკდარი უკვდავების წყარო, ოდეს კიდურებს უმსჭვალავენ და შუბის ბუნიკით ღვიძლს უსინჯავენ ძმარნასვამს?!

რომელი ქორონიკონის მაგნიტურ არეში მოუქცევია სახელმძღვანელო პროგრამად ჩვენი ცივილიზაციის იდეალთა იდეალი არსთაგამრიგეს?

მახვილით და ცეცხლით ჩაიგრიალებს პირველი ათასწლეული.

ჰიროსიმასა და ნაგასაკის სოკოსმაგვარი აფეთქებებით ბოთლიდან ამოშვებულ ჯინივით დაგვმხობია თავზე მეორე.

ძალმომრეობის განუზომელი ღვარცოფით მიგვაქანებს მესამისკენ კაცთმოძულეობის საყოველთაო სულისკვეთება და ძველი აღთქმისეული ათმცნებიანი მორალი კვლავაც კედელზე შეყრილი ცერცვია მგლური ხასიათის მოსათოკად.

სასაკლაოა ევროპა.

სისხლი გუბდება კავკასიაში.

გასისხლმდინარებულა აფრიკის, ამერიკის, ავსტრალიისა თუ აზიის კონტინენტები, ზოგან პოლიტიკური, სხვაგან პატროფილური, სოციალური თუ რელიგიური შინაარსით, და ჰომო საპიენსი სამისდღემშიოდ დაასაბუთებს, რომ მას მოაზროვნე ცხოველისა არაფერი სცხია, ურეგვენესია უგუნურთა შორის — შეუთავსებელი, პოლარული, უაზრო.

აღარაფრისმთქმელია მისი წამიერი გაცისკროვნების ჟამს მოხელთებული ზევსის ქანდაკებანი, სემირამიდის ცაში დაკიდებული ბაღები, ალექსანდრიის შუქურა, ჩინური კედელი, პირამიდები, ჰომეროსთა **„ილიადანი“** თუ ბეთჰოვენთა **„სიმფონიები“**;

ცხოველს კვადრატში ახარისხებული მძვინვარებით აჯობებს ადამიანი. იგი რაღაცნაირად კი გამოეთიშება ამ ველურს, მაგრამ ამაღლებულ განცდათა ქოროს იქ დატოვებს, არსებობისთვის ბრძოლის იმ ჯუნგლურ შხამთაფრქვევაში და ცივილური ურთიერთობისათვის მხოლოდ დრაკონულს, მხოლოდ ურჩხულისათვის სადაგ თვისებებს დაინარჩუნებს. ჩვენი ასწლეული სამარცხვინოზე სამარცხვინო თავფურცელია დედამიწის ცივილიზაციის არსებობის მანძილზე, რომელიც კანიბალიზმის ნაირსახეობა ეგოიზმით აგვირგვინებს სასაკლაო-სამსხვერპლოდ სახელდებული XX საუკუნის ცათამბჯენის გუმბათს, თუმცა მოვეშვათ განსჯა-მედიტაციას და ჩვენი თხრობის რეალურ პასაჟებს მოვუბრუნდეთ.

აფიშაზე თუკი ომის აჩრდილი გამოკრთება, შეუძლებელია ნაპო ბიძია კინოფილმის საყურებლად წამოიყოლიო. ასეთ დროს მისი ოჯახის წევრები ჩვენ დაგვემგზავრებიან. გაიელვებს ზოგჯერ მაცდური სათაური, როცა ფილმის შინაარსი გაურკვეველია, როდესაც კინოსტუდიის ვინაობაც არ მჟღავნდება და თანაც შინაურებიც აგიჯუჯღუნდებიან ზომაზე მეტად. ამისთანა შემთხვევაში კი აიდევნებენ ნაპო ბიძიას სოფლის კლუბისკენ ფილმის სანახავად, მაგრამ კინოლენტს პირველივე მეტრიდან შეატყობს თუ არა, იქსულ მალე ნატუსალის სუნი უნდა დატრიალდესო, სიგარეტს ამოიღებს, მოუკიდებს და საქვეყნოდ ცნობილი ხველებით გრილ საღამოს მიაშურებს. ის ბუხუნი მერე არანაკლებ ჩაგვესმის ყურში ბომბების დგანდგარსა თუ ქვემეხების გრიალში, თითქოს ნაპო ბიძიაც არტილერიის მხარდამხარ მჭექარებდეს თავისი ფილტვებით ომის გაგანიაში.

ახლა კი, ამ შემთხვევაში, როცა კბილმეჩხერი ცისანა გოგოხხეს ჩონგური დადუმებულია ჩონჩორ ჯოჯუას მონადირულ ხათაბალაზე; როცა ხის ჭიშკრიდან შემოტეულა საკმაოდ შეზარხოშებული სილოვან ხუფენია განუყრელი წინაფრიანი ქუდით; როცა სიმინდის გარჩევის პროცესს წუთშესვენება გასჯდომია ძვალ-რბილში მასლაათის თვალსაზრისით; როცა თვით ელა და მინაკას პროტოტიპი მუნჯი დებიც წამით გარინდულან, მარტო აბრეშუმივით ფუჩეჩი შრიალებს, ნადს ბანჯგვლიანი მაჯები ლასტის ნაირფერი ულვაშით გაგლესვია. ყუნწში მომტვრეული ტაროების ტკაცანია, თხილის ტკეჩისგან მოწნულ კალათაში რომ ცვივიან მერმე ნაირგვარი ხმიანებით, ისევ თამშუქ მარღანია წამოიწყებს ნაპო ბიძიას ნაფაზის მხარდამხარ მომძლავრებულ ხველებათა სერიალში:

— თედოევიჩ, შენ ომის უშუალო მონაწილე ხარ, — **„ვიჩებით“** მიმართვა იმდროინდელ ოტობაიაში ჩვეულებრივი მოვლენაა, განსაკუთრებით საუბარი სანდომიანი ხასიათის თუა, — ჯოჯოხეთგამოვლილი კაცი, მაგრამ მე რომ მკითხოს ვინმემ, გულწრფელად ვუპასუხებ, ლენინს და სტალინს რევოლუცია რომ არ მოეხდინათ, ამდენი ადამიანი ნამდვილად არ დაიხოცებოდა მთელს მსოფლიოში. ძალადობას ძალადობა მოსდევს. აზნაურები ვიყავით ჩვენ, მაგრამ შეძლებულ გლეხზე მეტი არაფერი გაგვაჩნდა ტიტულის გარდა და კიდევ — ტრადიციით გადმოცემული ჩვევები. პაპაჩემი გვეტყოდა: ხელცთუნებას ნუ აჰყვებით თორემ ფეხები გაგიმრუდდებათ და კბილები დაგცვივათო, — თამშუქ მარღანია აზიურებს აიჭიმავს გალიფე შარვალზე. ჭორფლიანია, სახენაყვავილარი. სერგო კლდიაშვილის ტყუპისცალია ჩესუჩას განუყრელი ხალათითა და დასვრეტილი თახვისფერი ცილინდრით. ლექსებით უხვად ასაჩუქრებს თანასოფლელს თუ ვინმე ნომენკლატურულ პირს, მაგრამ სანაცვლოდ ადრესატს გასამრჯელოსაც მოსთხოვს უცილობლად — ძვირფასყდიან წიგნს და ერგას წელიწადში უნიკალური ბიბლიოთეკა დაურახტავს, რომელიც, ჩვენეული შიოს მარნისგან გამორჩევით საიმედოდაა შემინულ კარადებში დაცხრაკლიტული, — იყო რაღაც მორალი, მდაბიოთა განსხვავებით ზედმიწევნით რომ გადმოგვეცემოდა. ესენი კი მოვიდნენ თედოევიჩ და ორნახადი არაყი თუ რახი, თავის დროზე ჩინებულად გამოცალკევებული, კვლავ ერთ ჭურჭელში ჩაასხეს, გაათანაბრეს მდარე და დაჯაჭვული. რაღა გამოვიდა ყოველივე ამისგან? საერთო სიუშნოე, სიგონჯე, სიბეჩავე, რომელსაც ვეღარაფრით ვიცილებთ თავიდან. ბევრის მნახველი ხარ, კარელიიდან დაიწყე და მანჯურიათი დაამთავრე. ლამის შვიდი წელიწადი დაჰყავი ზღვასა თუ ხმელეთზე და რომ გეკითხები, სხვებსაც აინტერესებს აქ, რომელთაც ომში წასვლამ არ მოუწიათ მიზეზთა გამო.

**გური ოტობაია,**

*(გაგრძელება იქნება)*

## მსოფლიოს დიდი ფეხბურთელები

მას შემდეგ, რაც მე-19 საუკუნეში ინგლისელებმა აღადგინეს სპორტის უძველესი სახეობა, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში იბადებოდნენ დიდი ფეხბურთელები, რომლებიც ქმნიდნენ მთელ ეპოქას და მათი მიღწევები ოქროს ასოებით იწერებოდა პლანეტის სპორტულ ისტორიაში. ისინი გვხიბლავდნენ თავიანი საფეხბურთო საშემსრულებლო ოსტატობით. ეს ხდებოდა მაშინ, როცა ფეხბურთი ის-ის იყო იდგამდა ფეხს მსოფლიოში და ჯერ კიდევ არსად არ იყო აშენებული, არამც თუ გიგანტური, არამედ ათასმაყურებლიანი სტადიონებიც კი. მაგრამ სწორედ მათმა ოსტატობამ დაუდო სათავე სპორტის ამ ულამაზეს სახეობას, რომელსაც დღეს ლამის მთელი მსოფლიო ეთაყვანება. მას შემდეგ უამრავი დიდი ფეხბურთელი მოევლინა სამყაროს, მაგრამ ჩვენი რუბრიკა მაინც წინ აყენებს იმ დიდი სპორტსმენების ხსოვნას, რომელთაც მსოფლიოს განახლებული სახით უძღვნეს ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე დიდი ხნით ადრე ჩინეთში შობილი სანახაობრივი სპორტი – ფეხბურთი! მალე დაინტერესებულ პირთა ვიწრო წრეში აღიარებული ეს სანახაობა მასიურ ღონისძიებად იქცა, რამაც წარმოქმნა შესაბამისი სპორტული ბაზების აშენების აუცილებლობა. სწორედ წარსულის დიდი ფეხბურთელების დამსახურებაა, რომ გვაქვს შესანიშნავი სპორტული კომპლექსები "მარაკანა", "აცტეკა", "ნოუ კამპი", "სანტიაგო ბერნაბეუ", "ლუჟნიკები", "ოლიმპიაშტადიონი", "ჰემპდენ პარკი" და სხვა და სხვა. სწორედ ამ სპორტულ "მონსტრებს" ავსებენ პირთამდე დღევანდელი ფეხბურთის "გრანდები", რომლებიც მონდომებითა და წარმატებით აგრძელებენ თავიანთი დიდი წინაპრების საქმეებს.

ამ რუბრიკით ჩვენ გაგაცნობთ მსოფლიოს ფეხბურთის პიონერებსაც და იმ დიდ თანამედროვე ფეხბურთელებსაც, რომლებიც ქმნიან მსოფლიო ფეხბურთის ისტორიას.

### არტურ ფრიდენრეიხი

დაიბადა 1898 წლის 18 ივნისს ბრაზილიაში.

თამაშობდა საფეხბურთო კლუბებში **"ჟერმანია"**, **"იპირანგი"**, **"ამერიკო"**, **"პაულისტანუ"**, **"სან პაულუ"**, **"ფლამენგო"** (ბრაზილია).

არტურ ფრიდენრეიხი გახლდათ ჭეშმარიტად პირველი დიდი ბრაზილიელი ფეხბურთელი. მისმა სპორტულმა ვარსკვლავმა მაშინ გაიბრწყინა, როცა მსოფლიოში ფეხბურთი როგორც ევროპის, ასევე ამერიკის კონტინენტებზე, ის-ის იყო ფეხს იდგამდა. სწორედ მან გადააბიჯა პირველად 1000-გოლიან ზღვარს და სხვადასხვა დონის საფეხბურთო მატჩებში, საერთო ჯამში, გაიტანა 1329 გოლი. დღეისათვის, არტურ ფრიდენრეიხს, ამ შედეგით მხოლოდ ლეგენდარული პელე სჯობნის, სხვები კი ოდნავადაც ვერ უახლოვდებიან სხვადასხვა დროს მოთამაშე ამ ორი ბრაზილიელის მართლაც ფენომენალურ შედეგს.

არტურ ფრიდენრეიხი ბრაზილიაში, გერმანელი ემიგრანტის ოჯახში დაიბადა. მას დედა შავკანიანი ჰყავდა და თავადაც ფერადი კანით მოევლინა სამყაროს. ამიტომ, ფრიდენრეიხს პირველ ხანგ სპორტსმენად თვლიან, რომელმაც თავის გამოიჩინა მსოფლიო ფეხბურთის სამყაროში და დაანგრია ბრაზილიის ფეხბურთში არსებული რასობრივი განსხვავების მანკიერი პრაქტიკა.

ფეხბურთის სამყაროში **"ვეფხვად"** წოდებულმა ფრიდენრეიხმა დიდ მოედანზე თამაში 17 წლის ასაკში დაიწყო და 43 წლის ასაკში დაასრულა. 1914 წლიდან 1930 წლამდე ბრაზილიის საფეხბურთო ნაკრების შემადგენლობაში გამართულ 17 მატჩში მან გაიტანა 8 გოლი. მწარედ გასახსენებელი იყო მისი დებიუტი ბრაზილიის ჩემპიონატში, როცა ფრიდენრეიხმა, ინგლისის კლუბ **"ექსეტერის სიტისთან"** შეხვედრაზე მცველთან შეჯახებისას, ორი კბილი დაჰკარგა.

### პაოლო ფუტრე

დაიბადა 1966 წლის 28 თებერვალს პორტუგალიაში.

თამაშობდა კლუბებში **"სპორტინგი"**, **"პორტუ"** (პორტუგალია), **"ატლეტიკო"** მადრიდი (ესპანეთი), **"ბენფიკა"** (პორტუგალია), **"მარსელი"** (საფრანგეთი), **"რეჯანა"**, **"მილანი"** (იტალია), **"ვესტ-ჰემ იუნაიტედი"** (ინგლისი), **"ატლეტიკო"** მადრიდი (ესპანეთი).

პაოლო ფუტრე სულ 17 წლის ყმაწვილი იყო, როცა მისი დებიუტი შედგა პორტუგალიის საფეხბურთო ნაკრების შემადგენლობაში. შემდეგ მისმა ვარსკვლავმა გაიკიაფა **"პორტუში"**, სადაც ნიჭიერი და იმედისმომცემი ახალგაზრდა ფეხბურთელი დიდი შეპირებების ფასად გადაიტყუეს **"სპორტინგიდან"**. სწორედ ამ გუნდის შემადგენლობაში დაეუფლა ფუტრე პორტუგალიის თასს 1987 წელს. ამ ამბიდან ზუსტად ერთი კვირის შემდეგ ფუტრემ ხელი მოაწერა კონტრაქტს მადრიდის **"ათლეტიკოსთან"** და ამ გუნდში გადაბარგდა. შემდეგ სპეციალისტები ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ ეს გახლდათ მადრიდელთა ახალი პრეზიდენტის ჰესუს ჰილის მეტად იღბლიანი შენაძენი. **"ათლეტიკოში"** ფუტრეს უამრავი თავგადასავალი გადახდა, ვიდრე კვლავ არ დაუბრუნდა მშობლიურ პორტუგალიას და ჩაირიცხა **"ბენფიკას"** შემადგენლობაში. მაგრამ ფინანსურმა კრიზისმა ეს გუნდი აიძულა ფუტრე **"მარსელისათვის"** მიეყიდა. სამწუხაროდ, ფინანსურმა სიძნელეებმა **"მარსელშიც"** იჩინეს თავი, რის გამოც გუნდი 8 მილიონ ფუნტ სტერლინგად შეელია ამ შესანიშნავ ფეხბურთელს. იტალიის **"რეჯანა"** იყო მეოთხე გუნდი ფუტრეს კარიერაში. მაგრამ, სამწუხაროდ, პაოლო ფუტრე აღარ იყო ის **"დიდი"** ფუტრე, რომლის თამაშის სანახავად სპეციალურად ჩამოდიოდნენ გულშემატკივრები, რადგან პირველივე მატჩში მან მუხლის მყესები დაიზიანა და მალე საერთოდ დაემშვიდობა დიდ ფეხბურთს.

### გეორგე ხაჯი

დაიბადა 1965 წლის 5 თებერვალს, რუმინეთში.

თამაშობდა კლუბებში **"კონსტანცა"**, **"სპორტულ სტუდენეცესკ"**, **"სტიაუა"** (რუმინეთი), **"რეალი"** მადრიდი (ესპანეთი), **"ბრეშია"** (იტალია), **"ბარსელონა"** (ესპანეთი), **"გალატასარაი"** (თურქეთი).

15 წლის ხაჯი უკვე თამაშობდა რუმინეთის ახალგაზრდულ საფეხბურთო ნაკრებში, 17 წლის ასაკში იგი რუმინეთის ეროვნული ფეხბურთის ვარსკვლავად იქცა, 18 წლის ასაკში კი პირველად მოირგო რუმინეთის ეროვნული საფეხბურთო ნაკრების მაისური. ერთი წლის შემდეგ გეორგ ხაჯიმ მონაწილეობა მიიღო ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის ფინალურ მატჩებში. 1985 წელს რუმინეთის ჩემპიონატებში გაიტანა 20 გოლი, 1986 წელს კი – 31 გოლი. ამასთან, მან ერთ მატჩში 6 გოლი გაიტანა, რაც დღესაც რჩება არა მხოლოდ რუმინეთის რეკორდად. ავტორიტეტულ გუნდ **"სტიაუაში"**, შეიძლება ითქვას, რომ ხაჯი გარკვეული დეტექტიური წიაღსვლების შედეგად მოხვდა, რადგან იგი მართლაც ქუჩიდან მოიპარეს რუმინული სპორტის მესვეურებმა. რა თქმა უნდა, ფეხბურთელის **"მოპარვა"** რუმინეთის დიქტატორ ნიკოლა ჩაუშესკუს ხელდასხმით მოხდა, რომელიც **"სტიაუას"** დიდი გულშემატკივარი და მხარდამჭერი გახლდათ. 1990 წლის მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატის შემდეგ, როცა რუმინეთი უკვე **"გახსნილი"** სახელმწიფო გახდა, გეორგ ხაჯი ჯერ ესპანეთის კლუბებში თამაშობდა, შემდეგ კი იტალიაში გადაინაცვლა. 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ იგი გარკვეული პერიოდის განმავლობაში **"ბარსელონაში"** თამაშობდა, მონაწილეობა მიიღო საფრანგეთში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატშიც, მაგრამ შემდეგ ისეთი რეზულტატიანი ველარ იყო და მალე დაანება თავი დიდ მინდორზე თამაშს.

გიორგი ჯალაღანია

## იუმორი

* * *

– ჩვენს მაიკოს მალე 36 წელი შეუსრულდება, ისე კი ვერ იტყვი, რომ ამდენის ხდება. ასე არაა?

– გარეგნულად შეიძლება 10 წელი ჩამოაკლო, მაგრამ ჭკუის მხრივ – 28-ც არ ეყოფა...

* * *

ჩემს განწყობაზე მარსი მოქმედებს.

– ჩემსაზე – ვენერა.

– ვენერას აქტიურობისას დაიბადეთ?

– არა, ვენერა ჩემს ცოლს ჰქვია!

* * *

დედა-ეშმაკი შვილ-ეშმაკს:

– მოიცა, მოვიდეს მამაშენი სახლში! მოვახსენებ, როგორ ანგელოზივით იქცეოდი მთელი დღე!

* * *

უცხოელი მასწავლებელი მეორეკლასელ გოგონას ეკითხება:

– რომ გაიზრდები, რა უნდა გამოხვიდე?

– ბოზი!

– რაო, გაიმეორე ჩქარა!

– ბოზი!

– მადლობა ღმერთს! მე გავიგონე "ბომჟი".

* * *

– ღმერთო, როგორ მიყვარდა მაია, სანამ ცოლად მოვიყვანდი, მინდოდა შემეჭამა! – ოხრავს კაცი.

– ახლა?

– ახლა ვნანობ, რომ არ შევჭამე!

* * *

– ვეტერინარის კაბინეტში ტელეფონი რეკავს:

– გისმენთ!

– ახლა თქვენთან მოვა ჩემი სიდედრი ბებერი ძაღლით. თქვენ უნდა გაუკეთოთ სწრაფადმომქმედი შხამის ინექცია, რომ უწვალებლად მოკვდეს!

– კი ბატონო, მაგრამ მერე ძაღლი სად წავიყვანო?

## თბილისს აფხაზეთიდან და ცხინვალიდან ჩამოსულები სტუმრობდნენ

არასამთავრობო ორგანიზაცია „International alert"-ის ორგანიზებით, თბილისს აფხაზეთის 12 და ცხინვალის რეგიონის 7 წარმომადგენელი სტუმრობდა.

როგორც ცნობილმა ბიზნესმენმა და საზოგადო მოღვაწე გოგი თოფაძემ ჟურნალისტებს აცნობა, აფხაზები და ოსები თბილისში სამი დღის განმავლობაში სხვადასხვა მისიით იმყოფებოდნენ, მათი ვიზიტი კი ორგანიზებული იყო საერთაშორისო ორგანიზაცია „International alert"-ის მიერ, რომლის წარმომადგენელი საქართველოში თენგიზ სვანიძეა.

**„სტუმრების ნაწილი ჩვენთან სამკურნალოდ იყო ჩამოსული. ნაწილმა აქ ახლობლები მოინახულა. თბილი შეხვედრები გვქონდა. ვისაუბრეთ ბევრ საკითხზე, მათ შორის, აღდგომის მეორე დღეს აფხაზეთში ახლობლების საფლავების მოსანახულებლად ქართული დელეგაციის შესვლა რომ მოხერხდეს. ეს იდეა მათაც მოეწონათ და დაგვპირდნენ, რომ დე ფაქტო მთავრობას გაესაუბრებიან. იმედი მაქვს, აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებაში არსებული ზოგიერთი რადიკალის წინააღმდეგობის მიუხედავად, ეს მაინც მოხერხდება"**, – განაცხადა თოფაძემ, რომელმაც აფხაზეთიდან ჩამოსული სტუმრები გააცილა.

ჟურნალისტების შეკითხვას – იყო თუ არა ინფორმირებული ამ ვიზიტის შესახებ საქართველოს ხელისუფლება, მან უარყოფითი პასუხი გასცა.

**„ამ ხელისუფლებასთან პირადად მე სალაპარაკო არ მაქვს"**, – დასძინა თოფაძემ.

აღსანიშნავია, რომ მსგავსი შეხვედრები დაახლოებით ერთი თვის წინათ ნეიტრალურ ტერიტორიაზე – კვიპროსში გაიმართა. მაშინ ქართული, აფხაზური და ოსური მხარეების წარმომადგენლების შეხვედრის ორგანიზატორი 2005 წელს შექმნილი ორგანიზაცია **„ბიზნესისა და განვითარების კავკასიის ქსელი"** იყო, რომელიც კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების პროცესში ბიზნესის როლის გაზრდაზე მიმართულ პროექტებსა და ინიციატივებს ახორციელებს.

ვიზიტის ფარგლებში ქართული და აფხაზური მხარე – 7-7 წევრით, ოსური კი 2 ბიზნესმენით იყო წარმოდგენილი. მხარეებმა ეკონომიკური თანამშრომლობის პერსპექტივები განიხილეს და კონფლიქტის მოგვარების კვიპროსულ მოდელს გაეცნენ.

**„ჩვენ გავეცანით კონფლიქტის მოგვარების კვიპროსულ მოდელს, თუმცა პირადად მე იგი არ მომწონს. კვიპროსში, რომელიც ევროკავშირის წევრი ქვეყანაა, ფაქტობრივად, ორი სახელმწიფოა: კვიპროსის თურქული რესპუბლიკა და მისი ბერძნული ნაწილი. ევროკავშირის ქვეყნებში ექსპორტის განხორციელება მხოლოდ კვიპროსის ბერძნულ ნაწილს შეუძლია, რადგან ევროკავშირი მას აღიარებს, თურქულ ნაწილს კი მხოლოდ თურქეთში ექსპორტის საშუალება აქვს. მე პირადად მსგავსი მშვიდობა მშვიდობად არ მიმაჩნია"**, – განაცხადა გოგი თოფაძემ.

## სასამართლოში გაღიმება ადვოკატს 100 ლარი დაუჯდა

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში ბიზნესმენ ნუგზარ ბოჭორიშვილთან დაკავშირებით გახმაურებული სისხლის სამართლის საქმის განხილვა მიმდინარეობს. საქმეს მოსამართლე მარინა სირაძე იხილავს. ბოჭორიშვილის ადვოკატები კი მანანა კობახიძე და ლალი აფციაური არიან.

როგორც ადვოკატი მანანა კობახიძე აღნიშნავს, ბოლო პროცესზე ის და ლალი აფციაური 300-300 ლარით დააჯარიმეს.

**„საქმის განხილვისას ჩვენ კითხვებს ვუსვამდით შსს-ს ექსპერტს, რომელიც 21 წლისაა. კითხვაზე, რომელიც მის საექსპერტო გამოცდილებას ეხებოდა, მიპასუხა, რომ ბაკალავრის ხარისხი და ერთი წლის სტაჟი აქვს. ამაზე გამეღიმა და ეჭვქვეშ დავაყენე მისი როგორც ექსპერტის კომპეტენცია. მოსამართლემ ეს სასამართლოს უპატივცემულობად მიიჩნია და დამაჯარიმა 100 ლარით. ამის შემდეგ იმავე სხდომაზე არაერთხელ მოვითხოვეთ დარღვევების კონკრეტულ ოქმში დაფიქსირება და თავმჯდომარის სახელზეც გამოვთქვით აბსოლუტურად კანონიერი პროტესტი. მე და ადვოკატი ლალი აფციაური ამის გამო კიდევ დავჯარიმდით, მთლიანობაში თითოეულს 300-ლარიანი ჯარიმა გამოგვივიდა. მათ შორის, ერთ-ერთი ჯარიმა, უშუალოდ ღიმილისთვის იყო. მოსამართლემ ზუსტად ასევე მიუთითა მდივანს, ოქმში ჩაეწერა: „ღიმილი, რომელიც სასამართლოს უპატივცემულობის გამომხატველია". 10 წელია ამ სფეროში ვარ და მსგავსი რამ არ გამიგია"**, – აცხადებს კობახიძე.



ISSN 1987-8966 ილორი
9771987896009
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე

რედაქციის მისამართი:
თბილისი,
ბაქრაძის ქუჩა №6
მე-4 სართული
სარეგ. №01018002930

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
მთ. რედაქტორის მოადგილე: დავით ქობალია
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია

WWW ilori.ge
e-mail: elisabetthal@yahoo.de
რეკლამის განთავსება
34-32-95 893-51-01-71
899-34-37-27